

# **HIV/AIDS Glossary**

**აივ ინფექცია/შიდსთან  
დაკავშირებული ტერმინების  
განმარტებითი ინგლისურ  
ქართული ლექსიკონი**

თბილისი, 2009 წელი

**აივ/შიდსის ტარმინთა განმარტაბითი  
ლექსიკონის რედაქტორი:**

**თენგიზ ცერცვაძე**

ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის გენერალური დირექტორი, შიდსის ნაციონალური პროგრამის კოორდინატორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

**აივ/შიდსის ტარმინთა განმარტაბითი  
ლექსიკონის ავტორი:**

**ნინო ბაღრიძე**

ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი

აივ/შიდსის ტარმინთა განმარტაბითი ლექსიკონი  
გამოცემაულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის  
საქართველოს ნარმომავანელობის  
მხარეაქვრით

## წინასიტყვაობა

აივ ინფექცია/შიდსის ტერმინთა ინგლისურ ქართული განმარტებითი ლექსიკონი მომზადებულია აივ/შიდსზე მომუშავე ექიმებისათვის, ზოგადი პროფილის და სხვა ვიწრო სპეციალობის ექიმებისათვის, აივ ინფექცია/შიდსზე მომუშავე მოხალისეებისათვის და თანასწორ განმანათლებლებისათვის, სოციალური მუშაკებისათვის და სხვა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ასევე ლექსიკონი შესაძლებელია გამოყენებული იქნას შიდსზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლების, აივ ინფიცირებულების და ყველა იმ ადამიანის მიერ ვინც დაინტერესებულია აივ/შიდსის საკითხებზე.

მოცემული განმარტებები იძლევა მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და არ გამოიყენება თვითმკურნალობისათვის და არ ცვლის ექიმთან კონსულტაციას. ლექსიკონი შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი ტერმინების გაგებისათვის.

განმარტებითი ლექსიკონი შედგენილია აშშ აივ/შიდსის მკურნალობის ინფორმაციული ცენტრის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს შიდსის პროგრამების განმარტებით ლექსიკონებზე დაყრდნობით.

მოცემული ტერმინები დალაგებულია ინგლისური ალფავიტის მიხედვით.

**A B C D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z**

**AACTG – ADULT AIDS CLINICAL TRIALS GROUP**

**შფაჯ – შიდსით დაავადებული მოზარდული ადამიანების ჯგუფი**, რომელიც მონაწილეობს კლინიკურ კვლევებში.

**ABAKAVIR SUCCINATE**

**აბაკავირის სუქცინატი (აბაკავირი) იზივე – ზიაზანი** – ანტი-რეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი, შესაძლებელი გვერდითი ეფექტები ალერგიული რეაქცია წითელას მსგავსი გამონაყარი. აღენიშნება პაციენტების 3-5%-ს ჰიპერსენსიტიურობის გამო. აბაკავირის დანიშნამდე აუცილებელია აბაკავირისადმი ჰიპერსენსიტიურობის ტესტი HLA B5701-ზე. გვერდითი ეფექტებიდან აღსანიშნავია გულისრევა, ლებინება, მადის დაკარგვა.

**ABSCESS**

**აბსესი, ჩირქროვა** – ჩირქის დაგროვება სხვადასხვა ქსოვილში/ორგანოში. აბცესის ყველაზე ხშირი მიზეზია ბაქტერიით გამონვეული ლოკალური ინფექცია, ძირითადად სტაფილოკოკით. მკურნალობა ანტიბიოტიკები და/ან ოპერაციული ჩარევა.

**ACQUIRED IMMUNITY**

**შეძენილი იმუნიტატი** – იხილეთ **პასიური იმუნიტატი**.

**ACQUIRED IMMUNODEFICIENCY SYNDROME (AIDS)**

**შეძენილი იმუნოდეფიციენციის სინდრომი** – ადამიანის იმუნოდეფიციენციის ვირუსით (აივ) გამონვეული დაავადების სტადია, როდესაც ხდება კლინიკური ნიშნების გამოვლენა. შიდსით დაავადებულ პირებს ხშირად უვითარდებათ ფილტვების, ტვინის, თვალების და სხვა ორგანოების ინფექციები. ისინი ხშირად იკლებენ წონაში, აქვთ დიარეა და შეიძლება განუვითარდეთ ისეთი სიმსივნური დაავადებები, როგორიცაა კაპოშის სარკომა, არაჰოჯკინისეული ლიმფომა. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულია ოპორტუნისტული ინფექციების და სიმსივნეების ჩამონათვალი, რომელთა განვითარება აივ ინფიცირებულ პირებში შეესაბამება შიდსის სტადიას. 1993 წლიდან აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის მიერ გარდა კლინიკური მაჩვენებლებისა შემოტანილი იქნა ლაბორატორიული მაჩვენებლები 1 მლ სისხლში CD4 ლიმფოციტების რაოდენობის მიხედვით შიდსის სტადიის დადგენა. ჩვეულებრივ, ნორმალური იმუნური სისტემის მქონე

პირებში (5 წლის ასაკიდან) CD4 ლიმფოციტების რაოდენობა 1 მლ სისხლში მერყეობს 500-1500. თუ აივ ინფიცირებულ მოზარდსა და მოზრდილში CD4 ლიმფოციტების რაოდენობა (აბსოლუტური რიცხვი)  $\geq 200$ , ეს შიდსის სტადიის მაჩვენებელია, მიუხედავად კლინიკური ნიშნების არარსებობისა. იხილეთ **აივ ასოცირებული დაავადებები** (HIV disease); **ოპორტუნისტული ინფექციები** (opportunistic infections); **შიდსის განვითარების სინდრომი** (AIDS wasting syndrome) და სხვ.

## ACTIVE IMMUNITY

**აქტიური იმუნიტატი** - დაავადებისგან დაცვა, რომელიც ყალიბდება მაშინ, თუ ადამიანს შეხება ჰქონდა ამ დაავადების გამომწვევ აგენტთან (გადატანილი აქვს ეს დაავადება, ან ჩატარებული აქვს ვაქცინაცია ამ დაავადების წინააღმდეგ).

## ACUPUNCTURE

**აკუპუნქტურა** - ჩინური ტრადიციული მედიცინის სახე, რომლის დროსაც ხდება სტერილური, უნვრილესი ნემსის სპეციალურ ნერტილებში (ენერგეტიკული ნერტილები) ჩარჭობა. ისტორიულად აკუპუნქტურა ჩინური მედიცინის ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც მოიცავს თეორიას, პრაქტიკას, დიაგნოსტიკას, ფიზიოლოგიას და სამკურნალოდ მცენარეების გამოყენებას. აკუპუნქტურა გამოიყენება ტკივილის გაყუჩებისათვის და ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ.

## ACUTE

**მწვავე** - სწრაფად პროგრესირებადი, მძიმედ მიმდინარე, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში დაავადება, სიმპტომი, შეტევა. მრავალი დაავადებისათვის დამახასიათებელია მწვავე ფაზა, რასაც თან მოსდევს გამოჯანმრთელება ან ქრონიკულ ფაზაში გადასვლა. მწვავე და ქრონიკულ ფაზაში მკურნალობა შესაძლებელია განსხვავებული სახის იყოს. აივ-ის შემთხვევაში მწვავე ფაზა დაკავშირებულია სეროკონვერსიის განვითარებასთან.

## ACUTE HIV INFECTION

**მწვავე აივ ინფექცია** - აივ ექსპოზიციის შედეგად ვირუსის რეპლიკაციის პერიოდი, რომელიც აივ ინფიცირებულების 80-90% ხასიათდება გრიპის მსგავსი სიმპტომებით, ცხელებით, ლიმფადენოპათიით, ფარინგიტით, თავის ტკივილით, მიალგიით და ზოგიერთ შემთხვევაში გამონაყარით. მწვავე აივ ინფექციის პერიოდში შესაძლებელია პლაზმაში ვირუსის მაღალი რნმ-ს დონის აღმოჩენა.

## ACUTE RETROVIRAL SYNDROME

**მწვავე რეტროვირუსული სინდრომი** - პირველადი აივ-ის მწვავე პერიოდი, ინფიცირების მომენტიდან 3 თვის მანძილზე. ზოგჯერ მიმდინარეობს უსიმპტომოდ. შესაძლებელია განვითარდეს გრიპის ან ინფექციური მონონუკლეოზის მსგავსი სიმპტომები.

## ADENOPATHY

**ადენოპათია** – ნებისმიერი სახის დაავადება, რომელიც იწვევს ჯირკვლოვანი ქსოვილის, განსაკუთრებით ლიმფური კვანძების გადიდებას.

## ADENOVIRUS

**ადენოვირუსი** – ვირუსების სახეობა, რომლებიც იწვევენ გაციების ან გრიპის მსგავს მოვლენებს (სიმპტომებს).

## ADHERENCE

**ადჰერენსი, რეჰიზის დაცვა** – პაციენტი რამდენად სწორად და რეგულარულად იღებს დანიშნულ პრეპარატს.

## ADJUVANT

**დამხმარე პრეპარატი** – ნივთიერება, რომელიც ემატება დანიშნულებას (დანიშნულ პრეპარატებს) და აძლიერებს ან მოდიფიცირებს უკეთეს ძირითად ნივთიერებას. შესაძლებელია გამოყენებული იქნას აივ თერაპიის ან ვაქცინაციის დროს.

## ADMINISTRATION

**პრეპარატის მიღება** – (გამოყენების გზა) პრეპარატის ორგანიზმში შეყვანის მეთოდი. პრეპარატის გამოყენება შეიძლება იყოს სისტემური და ადგილობრივი. სისტემური გამოყენება ნიშნავს წამლის მთელს ორგანიზმში შეღწევას, რაც ძირითადად ხდება მისი სისხლის მიმოქცევაში მოხვედრის შედეგად. სისტემური გამოყენება მოიცავს წამლის შეყვანას ორალურ (პირის ღრუს), ინტრავენურ (ვენაში), ინტრამუსკულარულ (კუნთში), სპინალურ(ზურგის ტვინში), კანქვეშა და რექტალური (სწორ ნაწლავში) გზით. ადგილობრივი გამოყენება ნიშნავს პრეპარატის გამოყენებას ლოკალურად, დაზიანებულ ადგილებზე. მედიკამენტის ეფექტი ძირითადად დამოკიდებულია წამლის დაზიანებულ უბნებში შეღწევადობის უნარზე; ამდენად მედიკამენტის გამოყენების გზა და მისი ორგანიზმში განაწილება განსაზღვრავს მედიკამენტის ეფექტურობას.

## ADULT AIDS CLINICAL TRIALS GROUP (AACTG)

**შიდსით დაავადებული მოზარდი ადამიანების ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს კლინიკურ კვლევებში (ჰდმჯ)** – მსოფლიოში ყველაზე დიდი აივ კლინიკური კვლევის ორგანიზაცია, რომელიც მთავარ როლს თამაშობს აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებული პაციენტების მოვლის და მზრუნველობის სტანდარტების შემუშავებაში. **ჰდმჯ** იძლევა საკვანძო ინფორმაციას რომელიც საჭიროა ახალი სამკურნალო საშუალებების, აგრეთვე ოპორტუნისტული ინფექციების და ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალო და პროფილაქტიკური სტრატეგიების დასამტკიცებლად. **ჰდმჯ**-ში გაერთიანებული არიან და ხელმძღვანელობას უწევენ ინფექცია/შიდსზე მომუშავე წამყვანი კლინიკური მეცნიერები. ორგანიზაცია ფინანსირდება აშშ ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ნაციონალური

ინსტიტუტის მიერ. დანვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: <http://aactg.s-3.com>.

### **ADVERSE REACTION**

**გვერდითი რეაქცია (გვერდითი მოვლენა)** - არასასურველი ეფექტი, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს წამლის მიღებას. რეაქცია შეიძლება იყოს მყისიერი (დაუყოვნებლივი) ან მოგვიანებითი. იხილეთ **გვერდითი ეფექტები** (side effects.).

### **AEROSOLIZED**

**აეროზოლის ფორმა** - წამლის გამოყენების მეთოდი, როდესაც პრეპარატი (მაგ. პენტამიდინი) გადაყვანილია აეროზოლის (შხეფის) ან ორთქლის ფორმაში და ხდება მისი ინჰალაციური სახით მიღება (შესუნთქვა).

### **AFFECTED COMMUNITY**

**საზოგადოება, რომელზეც აივ ინფექციამ გავლენა იქონია** - პირთა ერთობლიობა, რომლებსაც რაიმე სახით შეეხოთ აივ ინფექცია (აივ ინფიცირებული, შიდსით დაავადებულები, მათი ოჯახის წევრები, მეგობრები, აივ ინფიცირებული პირების ექიმები, ადვოკატები, ფსიქოლოგები და სხვა სოციოლოგიური განშტოებები).

### **AGAMMAGLOBULINEMIA**

**აგამაგლობულინემია** - ორგანიზმში იმუნოგლობულინების თითქმის სრული დეფიციტი, რაც იწვევს ანტისხეულების გამომუშავების უნარის დაკარგვას. იხილეთ **ანტისხეულები** (antibodies).

### **AGENCY FOR HEALTH CARE RESEARCH AND QUALITY (AHRQ)**

**აჰყ ჯანმრთელობის დაცვის კვლევის და ხარისხის სააგენტო (ჰეიკს)** - სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის შედეგების, ხარისხის, საფასურის, გამოყენების და ხელმისაწვდომობის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისათვის მიწოდებას და მის გავრცელებას. **ჰეიკს** კვლევები ხელს უწყობს მოსახლეობას მიიღოს მეტი ინფორმაცია და მასზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება და გაიუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი. **ჰეიკს** ასევე ცნობილია როგორც ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის და კვლევის სააგენტო. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.ahrq.gov>.

### **AGGRESSIVE TREATMENT**

**აგრესიული მკურნალობა** - მკურნალობის სახე, როდესაც გამოიყენება ყველა სამკურნალო საშუალება ისეთი მედიკამენტების ჩათვლით, რომლებსაც გააჩნიათ არასასურველი გვერდითი ეფექტები.

### **AIDS**

**შიდსი** - იხილეთ **შეაჩენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი**.

## **AIDS CLINICAL TRIALS INFORMATION SERVICE (ACTIS)**

**შიდსის კლინიკური კვლევების საინფორმაციო ცენტრი (შპკსც)** – ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ფედერალური და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული აივ ექსპერიმენტული ნამუშაების ეფექტურობის კლინიკური კვლევების შედეგების სწრაფ და მარტივ ინფორმაციის მიწოდებას. **შპკსც** ფინანსირდება აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს, აშშ ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ნაციონალური ცენტრის, აშშ დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრის და აშშ მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.actis.org>.

## **AIDS DEMENTIA COMPLEX (ADC)**

**შიდსთან ასოცირებული დემენციის კომპლექსი (შადკ)** – დეგენერაციული ნევროლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამომწვეულია აივ ინფექციით, ხასიათდება ჯგუფური კლინიკური მანიფესტაციით, რომელიც მოიცავს კოორდინაციის დარღვევას, ხასითის ცვალებადობას, შეკავების (შეკავებულობის) დაქვეითებას, და ფართოდ გავრცელებულ კოგნიტიურ დისფუნქციას. ეს არის ყველაზე გავრცელებული ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება აივ ინფექციის დროს. ძირითადად, მისი გამოვლენა ხდება მას შემდეგ, როდესაც პაციენტს უკვე განუვითარდა ძირითადი ოპორტუნისტული ინფექციები ან შიდსთან ასოცირებული სიმსივნური დაავადებები. ზოგიერთ შემთხვევაში შიდსთან ასოცირებული დემენციის კომპლექსი შესაძლებელია განვითარდეს ოპორტუნისტული და სიმსივნური დაავადებების განვითარებამდე. შიდსთან ასოცირებული დემენციის მიზეზის ზუსტი დადგენა ჯერ ვერ მოხერხდა, თუმცა ვარაუდობენ რომ მისი განვითარების შესაძლო მიზეზი უჯრედის აივ-ით ინფიცირებაა.

## **AIDS DRUGS**

**შიდსის პრეპარატები** – ელექტრონული მონაცემთა ბაზა რომელიც შექმნილია ნაციონალური მედიცინის ბიბლიოთეკის მიერ. ბაზა მოიცავს ყველა იმ პრეპარატის ჩამონათვალს, რომელიც გადის ტესტირებას აივ ინფიცირების პრევენციის, შიდსის და შიდსთან ასოცირებული კომპლექსის და მასთან დაკავშირებული ოპორტუნისტული ინფექციების სამკურნალოდ. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.actis.org>.

## **AIDS-RELATED CANCERS**

**შიდსთან ასოცირებული სიმსივნეები** – აივ ინფიცირებული პირები უფრო მოწყვლადები არიან ზოგიერთი სახის სიმსივნურ დაავადებების მიმართ, ან ამ დაავადებებს ახასიათებს უფრო აგრესიული მიმდინარეობა არაინფიცირებულ პირებთან შედარებით. ავთვისებიანი სიმსივნეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია იმუნური სისტემის სიმსივნეები, როგორცაა ლიმფომები, კაპოშის სარკომა და ანოვანიტალური კიბო, რომელიც პირდაპირ აზიანებს ანუსს და საშვილოსნოს ყელს. აივ ინფექციას ან



იმუნოსუპრესიას დიდი როლი ენიჭება სიმსივნეების განვითარებაში.

## **AIDS-RELATED COMPLEX (ARC)**

### **შიდსთან ასოცირებული კომპლექსი (შაკ) -**

1. სიმპტომთა ერთობლიობა, რომელიც გამოვლინდება ინფიცირების ადრეულ ეტაპზე. სიმპტომები მოიცავს: პროგრესირებულ გენერალიზებულ ლიმფადენოპათიას, რეციდიულ სხეულის ტემპერატურის მატებას, არამოტივირებულ წონაში კლებას, ლიმფური კვანძების გადიდებას, დიარეას, ჰერპესს, თმოვან ლეიკოპლაკიას, პირის ღრუს და ყელის სოკოვან ინფექციებს.
2. სიმპტომები, რომლებიც დაკავშირებულია აივ ინფექციასთან: ლეიკოპენია (სისხლში თეთრი უჯრედების ნაკლებობა) ან ლიმფური სისტემის ფუნქციონირების დაქვეითება რაც გამოიხატება ლიმფადენოპათიით (ლიმფური კვანძების გადიდებათ), რომელიც გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს და არ არის გამოსატული ოპორტუნისტული ინფექციები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კლინიკურად დაისვას შიდსის დიაგნოზი. იხილეთ **შიდსის განლაპის სინდრომი (AIDS wasting syndrome)**.

## **AIDS WASTING SYNDROME**

**შიდსთან ასოცირებული განლაპის სინდრომი** - სხეულის ძირითადი მასის 10% დაკარგვა ყოველგვარი მიზეზის გარეშე, რომელსაც ემატება ქრონიკული დიარეა (დღეში 2 ჯერ მინიმუმ 30 დღის მანძილზე), ან ქრონიკული დაღლილობა და არამოტივირებული ტემპერატურის მატება.

## **ALLERGEN**

**ალერგენი** - ფაქტორი ან ნივთიერება, რომელიც იწვევს ალერგიულ რეაქციას.

## **ALKALINE PHOSPHATASE**

**ტუტა ფოსფატაზა** - ფერმენტი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოდგენილია ღვიძლის, ძვლის, თირკმლის, კუჭ-ნაწლავსა და პლაცენტის ცენტრალურ უჯრედებში. ამ ორგანოების ქსოვილების უჯრედების დაშლისას ფერმენტები გადადის სისხლში. რაც უფრო ძლიერია დაზიანება, მით უფრო მაღალია სისხლში ფერმენტების რაოდენობა. სისხლში ტუტე ფოსფატაზის მაჩვენებლის განსაზღვრა გამოიყენება ღვიძლის ფუნქციონირების შესაფასებლად.

## **ALOPECIA**

**ალოპეცია** - თმის ცვენა რომელიც დაკავშირებულია ქიმიოთერაპიასთან ან ასოცირებულია რაიმე სხვა დაავადებასთან. შიდსის დროს ალოპეცია დაკავშირებულია ციტოტოქსიკური პრეპარატების გამოყენებასთან.

## **ALPHA INTERFERON (Interferon alpha, IFN)**

**ალფა ინტერფერონი** - სამი კლასის ინტერფერონების ერთ-ერთი წარმომადგენელი ცილა, რომელსაც ორგანიზმი ინფექციებზე საპასუხოდ გამოიმუშავებს. აივ ინფიცირებულ პირებში მომატებული ინტერფერონის დონე დაკავშირებულია დაავადების პროგრესირებასთან. იხილეთ **ინტერფერონი (Interferon)**.

## **ALTERNATIVE MEDICINE**

**ალტერნატიული მედიცინა** - ფართოდ გავრცელებული სამკურნალო სისტემა (მაგ. ჰიროპრატეიკა, ფიტოთერაპია, აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, ნატუროპათია და სპირიტუალური სახეობები) ან კულტურალური ტრადიციული სამკურნალო საშუალებების გამოყენება, როგორცაა ჩინური აიურვედა და სხვა. ალტერნატიული მედიცინა უარყოფს ბიომედიცინის საფუძვლებს. ალტერნატიული მედიცინა ასევე ცნობილია და გამოიყენება როგორც „დამატებითი მედიცინა“. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ გვერდი: <http://nccam.nih.gov>.

## **ALVEOLAR**

**ალვეოლა** - ფილტვის ბრონქიოლების დაბოლოება, ბუშტუკი, რომელიც ამოფენილია ეპითელიუმის უჯრედებით და სისხლის კაპილარებით. მისი ფუნქციაა ორგანიზმში გაზთა (აირთა) ცვლა.

## **AMEBIASIS**

**ამეზიაზი** - ამების ერთ-ერთი სახეობით გამოწვეული დაავადება, როდესაც პარაზიტი შეიჭრება ნაწლავში და ინვესს გახშირებულ ფაღარათს, ლორწოთი და სისხლიანი განავლით.

## **AMINO ACIDS**

**ამინომჟავა** - ნებისმიერი სახის მჟავა, რომელიც შეიცავს აზოტს. ბუნებაში არსებობს 22 სახის ამინომჟავა, რომელიც აღმოჩენილია ადამიანებსა და ცხოველებში. ამინომჟავების ჯაჭვი სინთეზის შედეგად ხდება პოლიპეპტიდების და ცილების (პროტეინების) წარმოქმნა.

## **AMNIONIC FLUID**

**ამნიონური სითხე** - სანაყოფე წყლები, სითხე, რომელიც გარსს აკრავს ნაყოფს მუცლად ყოფნის პერიოდში.

## **AMPRENAVIR**

**ამპრენავირი** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი, შესაძლო გვერდითი ეფექტები - გამონაყარი, დიარეა, გულისრევა, ღებინება.

## **ANAPHYLACTIC SHOCK**

**ანაფილაქსიური შოკი** - მწვავე ალერგიული რეაქცია, რომელიც ხასიათდება ლორწოვანი გარსის შეშუპებით, არტერიული წნევის უეცარი დაქვეითებით. დამახასიათებელი სიმპტომებია: სუნთქვის გაძნელება, უნებლიე ხველა. ანაფილაქსიური შოკი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. შოკის მიზეზი შეიძლება იყოს

ალერგიული რეაქცია მწერების შხამზე, ნამლებზე, ზოგოერთ საკვებზე და სხვ.

## **ANEMIA**

**ანემია** – პერიფერიულ სისხლში ჰემოგლობინის და/ან ერითროციტების (სისხლის წითელი უჯრედების) დაბალი მაჩვენებელი. გამონატული სიმპტომები: სისუსტე, კანისა და ლორწოვანი გარსის სიფერმკთაღე, თავბრუ, გულის წასვლისადმი მიდრეკილება. ანემია ძირითადად გამონვეულია სისხლის დიდი რაოდენობის დაკარგვით, სისხლწარმოქმნის დარღვევით, და/ან ერითროციტების გაძლიერებული დაშლით.

## **ANERGY**

**ანერგია** – მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ინტოქსიკაციის, ინფექციური და სხვა სახის არაინფექციური მძიმე დაავადებების გადატანის, ფიზიკური და გონებრივი გადაღლის, ხანგრძლივი შიმშილობის და სხვ. დროს.

1. დაქვეითებული იმუნური პასუხი გამაღიზიანებელ ნივთიერებაზე ან ანტიგენზე. პაციენტები შესაძლებელია იმდენად იმუნოსუპრესირებული იყვნენ, რომ ორგანიზმს არ ჰქონდეს ანტიგენზე საპასუხო რეაქციის გამომუშავების შესაძლებლობა. მაგალითად, ანერგიულ პაციენტებში ტუბერკულოზის ტესტის ტუბერკულინის კანის სინჯი როგორც წესი, უარყოფით შედეგს იძლევა. არასაკმარისი რეაქცია მიუთითებს ანერგიაზე.
2. უჯრედულ კულტურაზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე მკვლევარებმა დაადგინეს, რომ აივ-ს უნარი აქვს „გამორთოს“ CD4+ T უჯრედების ფუნქცია, რის შედეგადაც T უჯრედები ვერ უზრუნველყოფენ იმუნური სისტემის პასუხის სტიმულაციას.

## **ANGIOGENESIS**

**ანგიოგენეზი** – ახალი სისხლძარღვების წარმოქმნის პრო-ცესი. ანგიოგენეზი აუცილებელია სიმსივნის, განსაკუთრებით კაპოშის სარკომის განვითარებისათვის.

## **ANGIOMATOSIS**

**ანგიომატოზი** – მდგომარეობა, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია სისხლის ან ლიმფური სადინების სიმსივნეებთან. იხილეთ **კაპოშის სარკომა**.

## **ANONIMOUS**

**ანონიმური** – სიტუაცია, როდესაც პიროვნება არ ამჟღავნებს თავის ვინაობას (სახელს და გვარს ან რაიმე სხვა მის ამომცნობ ინფორმაციას). ლაბორატორიული გამოკვლევების დროს ამ პიროვნებას ენიჭება გარკვეული ნომერი, კოდი ან სხვ.

## **ANOREXIA**

**ანორექსია** – მაღის დაქვეითება ან არ ქონა, რომელიც ხელს უწყობს სხეულის მასის დაკარგვას.

## ANTENATAL

**ანტენატალური** - ახალშობილის დაბადებამდე პერიოდი

## ANTIBIOTIC

**ანტიბიოტიკი** - ბუნებრივი ან სინთეზური წესით მიღებული ნივთიერება, რომელიც აფერხებს მიკროორგანიზმის (ბაქტერიების და სოკოების) ორგანიზმში გამრავლებას. ზოგიერთი ანტიბიოტიკი გამოიყენება ინფექციური დაავადების სამკურნალოდ.

## ANTIBODIES

**ანტისხეულები** - პროტეინების (ცილების) კლასის იმუნოგლობულინური მოლეკულები სისხლში და/ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებში, რომლებიც ანადგურებენ ან ანეიტრალებენ ბაქტერიებს, ვირუსებს ან სხვა ტოქსინებს. ანტისხეულების პროდუცირება ხდება ლიმფოციტების სამუშაოებით. ანტისხეულები ანტიგენ სპეციფიკურია.

## ANTIBODY-DEPENDENT CELL - MEDIATED CYTOTOXICITY (ADCC)

**ანტისხეულ-დამოკიდებული უჯრედით განპირობებული ციტოტოქსიურობა (აღუბც)** - იმუნური პასუხი, როდესაც ანტისხეულები უერთდება სამიზნე უჯრედებს. რის დროსაც ხდება მისი ამოცნობა და იმუნური პასუხის გააქტიურება.

## ANTIBODY - MEDIATED IMMUNITY

**ჰუმორული იმუნიტატი** - ანტისხეულების გააქტიურების შედეგად სისხლსა და ლიმფურ ქსოვილში წარმოქმნილი იმუნიტეტი.

## ANTIFUNGAL

**სოკოს სანინააღმდეგო, ანტისოკოვანი, ანტიფუნგალური, ანტიმიკოზური** - ნივთიერება, რომელიც კლავს ან აფერხებს სოკოს გაზრდას.

## ANTIGEN

**ანტიგენი** - მოლეკულური ნივთიერება, რომელიც ააქტიურებს იმუნურ სისტემას ანტისხეულების წარმოსაქმნელად (ცილებს, რომელიც ებრძვის ანტიგენს). იმუნური სისტემა ანტიგენს განიხილავს როგორც უცხო სხეულს და წარმოქმნის ანტისხეულებს მასთან საბრძოლველად. ანტიგენი ძირითადად უცხო ნივთიერებაა, როგორცაა ბაქტერია, ვირუსი, ან სხვა რომელიც შეიჭრება ადამიანის ორგანიზმში.

## ANTIGEN PRESENTATION

**ანტიგენის წარდგანა (პრეზენტაცია)** - T ჰელპერებისათვის უცხო, მათ შორის ვირუსის და ბაქტერიის ცილის ფრაგმენტების მიწოდება. წარდგენის (პრეზენტაციის) პროცესი ხორციელდება ანტიგენ-წარმდგენი უჯრედის ზედაპირზე უცხო ცილის ფრაგმენტის დემონსტრირებით.

## **ANTIGEN-PRESENTING CELL (APC)**

**ანტიგენ წარმდგენი უჯრედები (ანუ)** - უჯრედების ტიპი, რომელიც ახდენს უცხო სხეულების შეგროვებას და შემდგომ მათ გადაამუშავებას ისეთ მცირე ნაწილაკებად, რომ ის ალქმადი იყოს იმუნური სისტემისათვის. ანტიგენ წარმდგენი უჯრედები წარუდგენს ანტიგენს T ჰელპერებს, CD4+ T უჯრედებს. ეს უჯრედები თავის მხრივ იწყებენ უცხო სხეულის მიმართ იმუნური პასუხის გააქტიურებას. ანტიგენ წარმდგენ უჯრედებს მიეკუთვნება B უჯრედები, მაკროფაგები ან დენდრიტული უჯრედები.

## **ANTINEOPLASTIC**

**ანტინეოპლასტიკური, სიმსივნის საწინააღმდეგო, კიბოს საწინააღმდეგო** - ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის სიმსივნური უჯრედების განვითარებას, გამრავლებას და პროლიფერაციას.

## **ANTIPROTOZOAL**

**ანტიპროტოზოული** - პროტოზოას საწინააღმდეგო ნივთიერება, რომელიც კლავს ან აფრხებს ერთუჯრედიანი მიკროორგანიზმების - პროტოზოების ორგანიზმში გამრავლებას.

## **ANTIRETROVIRAL DRUGS**

**ანტირეტროვირუსული პრეპარატები** - პრეპარატები, რომლებიც აფერხებენ რეტროვირუსების (ისეთი, როგორცაა აივ) ორგანიზმში გამრავლებას, ვირუსების უჯრედში შეჭრას და/ან უნარი აქვთ გაანადგურონ ვირუსები.

## **ANTITOXINS**

**ანტიტოქსინი** - ანტისხეულები, რომლებიც ამოიცნობენ და აუვნებელყოფენ მცენარეების, ცხოველების ან ბაქტერიების მიერ წარმოქმნილ ტოქსინებს.

## **ANTIVIRAL**

**ანტივირუსული** - სუბსტანცია, ან პროცესი, რომელსაც უნარი აქვს ორგანიზმში დაშალოს ვირუსი ან შეაფერხოს მისი გამრავლება.

## **APHASIA**

**აფაზია** - მეტყველების უნარის სრული ან ნაწილობრივი მოშლა, რაც ძირითადად დაკავშირებულია თავის ტვინის ორგანულ დაზიანებასთან.

## **APHTHOUS ULCER**

**აფთოზური წაღული** - დაუდგენელი ეტიოლოგიის მტკივნეული ორალური ან ეზოფაგეალური წაღული, რომელსაც გააჩნია ღრმა ეროზირებული ფუძე. აფთოზური წაღული ხშირად გვხვდება აივ ინფიცირებულ პირებში.

## **APOPTOSIS**

**აპოპტოზი** - “უჯრედული თვითმკვლეელი” ასევე ცნობილია როგორც პროგრამირებული უჯრედული სიკვდილი. აივ-ს უნარი აქვს გამოიწვიოს იმუნური სისტემის უჯრედების აპოპტოზი (როგორც დაინფიცირებული ასევე ჯანმრთელი არაინფიცირებული უჯრედების). ჩვეულებრივ, CD4+T უჯრედების მცირე ნაწილს (როდესაც ისინი თიმუსში მომწიფდება) არ შეუძლიათ საკუთარი და არასაკუთარი უჯრედების გარჩევა. ეს უჯრედები სხვა უჯრედებისაგან იღებენ ბიოქიმიურ სიგნალს და ხდება აპოპტოზი.

## **APPROVED DRUGS**

**რემისტრირაზული პრეპარატები/ნამლები** - აშშ-ში ნამლებისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს მიერ ნებადართული, ლიცენზირებული პრეპარატი/ნივთიერება. კომერციულად ხელმისაწვდომობის პროცედურა შედგება რამოდენიმე საფეხურისაგან, რომელიც მოიცავს პრეკლინიკურ ლაბორატორიულ გამოკვლევებს, ცხოველებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის განმსაზღვრელ კვლევებს, ნამლის სააგენტოს მიერ ახალი პრეპარატისათვის აპლიკაციის ფორმის შევსებას. აშშ ნამლებისა და საკვები პროდუქტების ხარისხის სააგენტო შემდგომში განიხილავს აპლიკაციას და გასცემს ინფორმაციას ნამლის ვარგისიანობის (რეგისტრირება/არ რეგისტრირება) შესახებ.

## **ARC - AIDS-RELATED COMPLEX**

**შაკ** - იხილეთ **შიდსთან ასოცირებული კომპლექსი**.

## **ARM**

**მხრა** - შედარებად კლინიკურ კვლევებში მონაწილე ჯგუფი, სადაც ერთი ჯგუფის ყველა წევრი იღებს ერთი სახის ნამალს, რაც განსხვავდება სხვა (მეორე და ა.შ.) ჯგუფში ადმინისტრირებული ნამლებისაგან.

## **ART - ANTIRETROVIRAL THERAPY**

**ართ** - ანტირეტროვირუსული თერაპია.

## **ARTHRALGIA**

**ართრალგია** - სახსრების ტკივილი, ანთება.

## **ASPERGILLOSIS**

**ასპერგილოზი** - სოკოვანი ინფექცია, რომელიც გამოწვეულია სოკო *Aspergillus*-ით. ძირითადად აზიანებს ფილტვებს, მაგრამ შესაძლებელია გადავიდეს სისხლის მიმოქცევის სისტემაში და დაინფიციროს სხვა ორგანოები. სიმპტომები: ცხელება, შემცივნება, სუნთქვის გაძნელება და ხველა, რომელიც შეიძლება გადავიდეს სისხლიან ხველაში. თუ ინფექცია შეაღწევს თავის ტვინში, შესაძლებელია განვითარდეს დემენცია.

## **ASSEMBLY AND BUDDING**

**ასეზმბა და გამოკვირტვა** - პროცესის ნაწილის სახელი, რის შედეგადაც ინფიცირებულ მასპინძელ უჯრედში ფორმირდება ახალი აივ-ი. ვირუსის ბირთვის ცილები, ფერმენტები და რნმ (რიბოქსინუკლეინის მუჟავა) გროვდება მასპინძლის უჯრედის მემბრანაში, მაშინ როცა გარსის ცილების აგრეგაცია (დალექვა) ხდება მემბრანის შიგნით. უჯრედში ფორმირდება მოუმნიფებელი აივ ნაწილაკი, რომელიც გამოდის უჯრედიდან და უჯრედის მემბრანიდან იღებს (იკეთებს) გარსს, უჯრედულ და აივ სპეციფიკურ ცილებს. მოუმნიფებელი აივ ნაწილაკის სრულყოფილ ვირუსად ჩამოყალიბების პროცესი ხდება აივ ფერმენტის - პროტეაზას საშუალებით.

## **ASYMPTOMATIC**

**უსიმპრომომ, ასიმპტომური** - სიმპტომების გარეშე. ძირითადად გამოიყენება აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებულ ლიტერატურაში, აივ პოზიტიური ტესტის შედეგის მქონე და სიმპტომების არმქონე პაციენტის მდგომარეობის აღწერისათვის.

## **ATAXIA**

**ატაქსია** - კუნთოვანი ქსოვილის კოორდინაციის დარღვევა.

## **ATAZANAVIR SULFATE (BMS 232632)**

**ატაზანავირი** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები: სისხლში ბილირუბინის დონის და ცხიმების მაჩვენებლის მომატება, ლიპოდისტროფია. სხვა გვერდითი ეფექტები: თავის ტკივილი, გამონაყარი, დიარეა, გულისრევა, ლებინება, დისკომფორტის შეგრძნება მუცლის არეში.

## **ATTENUATED**

**ატენუირებული** - შესუსტებული მაგ. ატენუირებული ვირუსი შეიძლება გამოყენებული იქნას ვაქცინის დასამზადებლად.

## **AUTOANTIBODY**

**აუტონანტისხეული** -

1. ანტისხეული, რომელიც აქტიურდება ორგანიზმში არსებული ზოგიერთი ქსოვილების საწინააღმდეგოდ.
2. ანტისხეული, მიმართული ორგანიზმის საკუთარი ქსოვილების საწინააღმდეგოდ.

## **AUTOINOCULATION**

**აუტოვაქცინით აცრა** - ვაქცინაცია ორგანიზმის დაზიანებული ადგილიდან აღებული მიკროორგანიზმის შემცველი მასალით, რომელსაც მეორეული ინფექციის გამონევის უნარი გაჩნია.

## **AUTOLOGOUS**

**აუტოგენური** - ეკუთვნოდეს იმავე ორგანიზმს ან იყოს ამ ორგანიზმის ნაწილი. მაგალითად ოპერაციამდე საკუთარი სისხლის დონაცია (რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკუთარი სისხლის გადასხმა), ცნობილია როგორც აუტოგენური ტრასფუზია.

## **A VASCULAR NECROSIS (AVN)**

**ვასკულარული (სისხლძარღვოვანი) ნეკროზი** - ასევე შესაძლოა გადავიდეს ოსტეონეკროზში. დაავადება, რომელიც ვითარდება ძვალში სისხლმბადი უჯრედების პერმანენტული ან დროებითი დაკარგვით. შესაძლებელია განვითარდეს როგორც გვიანი გართულება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მაღალაქტიურ ანტირეტროვირუსულ მკურნალობასთან. დაზიანების ყველაზე ხშირი უბანია ბარძაყის ძვლის თავი. დაავადების განვითარების სხვა რისკ ფაქტორებს წარმოადგენს ალკოჰოლიზმი, კორტიკოსტეროიდების გამოყენება, ჰიპერკოაგულოპათია (სისხლის შედედების უნარის მომატება) და სხვ.

## **AVN – A VASCULAR NECROSIS**

იხილეთ ვასკულარული (სისხლძარღვოვანი) ნეკროზი.



**BACTERICIDAL**

**ბაქტერიციდული** – ბაქტერიების მოკვლის უნარის მქონე.

**BACTERIOSTATIC**

**ბაქტერიოსტატიკური** – ბაქტერიების გამრავლების შეჩერების უნარი.

**BACTERIUM**

**ბაქტერია** – ერთუჯრედიანი მიკროორგანიზმი, რომელიც ბინადრობს ნიადაგში, წყალში, მცენარეებში, ცხოველებსა და ადამიანების ორგანიზმში. ზოგიერთი ბაქტერია იწვევს დაავადებას ადამიანებში. მათ პათოგენური ბაქტერიები ეწოდებათ.

**BACULOVIRUS**

**ბაკულოვირუსი** – მწერების ვირუსი, რომელიც გამოიყენება ზოგიერთი ვაქცინის დასამზადებლად.

**BASELINE****საწყისი –**

1. კვლევის დაწყების ეტაპზე შეგროვებული ინფორმაცია, რასაც ადარებენ კვლევის დამთავრებისას ან შუალედურად მიღებულ შედეგებს.
2. ინფორმაციის მისაღებად სიდიდის ცნობილი ერთეული, რომელიც შედარებადია საკვლევ სიდიდესთან.
3. კლინიკური კვლევების შემთხვევაში ის საწყისი დროის წერტილი (დრო სანამ მოხალისეები დაიწყებენ ექსპერიმენტული წამლის მიღებას). ამ მომენტისათვის ხდება გაზომვადი ცვლადის (მაგ., CD4 ლიმფოციტის) რაოდენობის განსაზღვრა და მისი ჩანერა. წამლის უსაფრთხოების და ეფექტურობის შედეგის დადგენა ხორციელდება ამ პარამეტრის (CD4) პირველადი და ახალი მაჩვენებლების შედარებით.

**BASOPHIL**

**ბაზოფილი** – სისხლის თეთრი სხეულაკების – ლეიკოციტების ერთ-ერთი სახე, რომელსაც ასევე უწოდებენ გრანულარულ ლეიკოციტებს. მათ აქვთ მიკროორგანიზმის მონელების უნარი. ბაზოფილები, ისევე როგორც სხვა თეთრი სხეულაკები პასუხისმგებლები არიან ალერგიული სიმპტომების განვითარებაზე.

**B CELL LYMPHOMA**

**B უჯრედოვანი ლიმფომა** – იხილეთ **ლიმფომა (limphoma)**.

## B CELLS

**B უჯრედები** – იხილეთ **B ლიმფოციტები** (B lymphocytes).

## BDNA TEST - BRANCHED DNA ASSAY

**ბღნ ტესტი** – იხილეთ **განტოტაჟული დნ ტესტი** (Branched DNA Assay).

## BEHAVIORAL DATA

**ქცავითი მონაცემები** – კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც შეისწავლის ადამიანთა ქცევას, რომელიც შეიცავს რაიმე რისკ ფაქტორს. მაგ. აივ ინფექციის დროს შეისწავლება კონდომის გამოყენება სქესობრივი კავშირის დროს, ზიარი ნემსის ან შპრიცის გამოყენება და სხვა.

## BETA 2 MICROGLOBULIN

**ბეტა 2 მიკროგლობულინი** – პროტეინები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბირთვის შემცველი უჯრედების ზედაპირთან, განსაკუთრებით იმუნური სისტემის უჯრედებთან. ბეტა 2 მიკროგლობულინის ( $\beta 2$  მიკროგლობულინი) დონის მატება დაკავშირებულია სხვადასხვა დაავადების განვითარებასთან. რადგან  $\beta 2$  მიკროგლობულინი არ არის აივ სპეციფიკური, მისი დონის მომატება დაკავშირებულია აივ ასოცირებული დაავადებების განვითარებასთან (აივ პროგრესირებასთან).

## BILIRUBIN

**ბილირუბინი** – ნითელი პიგმენტი, რომელიც გვხვდება ნალველში, სისხლსა და შარდში. სისხლში ბილირუბინის დონის მომატებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ღვიძლის დაზიანების ხარისხზე.

## BIOAVAILABILITY

**ბიოაქონება** – პრეპარატის კონცენტრაციის დონე, როდესაც პეროს გზით მიღებული მედიკამენტი გადადის სისხლის მიმოქცევის სისტემაში და კუჭ-ნაწლავის სისტემაში ადსორბციის შედეგად და მიაღწევს დაზიანებულ ქსოვილს.

## BIOLOGICAL RESPONSE MODIFIERS (BRMs)

**ბიოლოგიური პასუხის მოდიფიკატორი** – სინთეზური ან ბიოლოგიური ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს ან ალაღვებს იმუნური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. ასეთია ინტერფერონი, ინტერლეიკინები, თიმუსი, ჰორმონები და მონოკლონური ანტისხეულები.

## BIOPSY

**ბიოფსია** – დიაგნოსტიკის მიზნით ინვაზიური გზით ორგანოს ან ქსოვილის ნაწილის ამოღება და მისი მიკროსკოპული დათვალიერება. ძირითადად გამოიყენება პათოლოგიური უჯრედების აღმოსაჩენად. ბიოფსიის შედეგად ხდება კლინიკური დიაგნოზის დადასტურება და პათოლოგიური პროცესის გავრცელების საზღვრების დადგენა.

## BIOTECHNOLOGY

### ბიოტექნოლოგია -

1. მოდიფიცირებული ნივთიერების დასამზადებლად ცოცხალი ორგანიზმის გამოყენება. მოიცავს დნმ რეკომბინანტულ ტექნიკას (გენეტიკური ინჟინერია).
2. ბიოლოგიური კვლევების, განსაკუთრებით რეკომბინანტული დნმ-ს ან გენური სპლაისინგის (რნმ ფერმენტის ამოჭრა) ინდუსტრიული დემონსტრირება, რაც საშუალებას იძლევა სხვადასხვა სახის გენეტიკური მასალის კომბინაციის შედეგად მოხდეს სინთეზური ჰორმონების ან ფერმენტების წარმოება.

## BISEXUAL

**ბინაქსუალი** - პირი, რომელიც სქესობრივი კონტაქტს ამყარებს როგორც თავისი სქესის, ასევე სანინაალმდეგო სქესის ადამიანთან.

## BISEXUAL CONTACT

**ბინაქსუალური კონტაქტი** - სქესობრივი კონტაქტი როგორც მისივე სქესის, ასევე სანინაალმდეგო სქესის მქონე პარტნიორთან.

## BLINDED STUDY

**ბრმა კვლევა** - კლინიკური კვლევის სახე, სადაც კვლევაში მონაწილეებმა არ იციან როდის იღებენ ექსპერიმენტულ პრეპარატს და როდის პლაცებოს. იხილეთ **ორმაგი ბრმა კვლევა**.

## BLIPS

**ბ.ნ „ბლიპი“** - ვირუსული დატვირთვის განსაზღვრადი დონის დეტექცია, მას შემდეგ რაც ვირუსული დატვირთვა არა-განსაზღვრადი იყო. ეს ტერმინი ძირითადად გამოიყენება იმის ასაღწერად, როდესაც ვირუსულმა დატვირთვამ მოიმატა 50-500 ასლი/მლ მას შემდეგ, რაც სულ მცირე 2 თანამიმდევრობით ჩატარებული ტესტის შედეგად ვირუსული დატვირთვა <50-ზე.

## BLOOD-BRAIN BARRIER

**ჰემატონცეფალური ბარიერი** - შერჩევითი ბარიერი, რომლის დროსაც ტოქსიკური ნივთიერებები ვერ ხვდება თავის ტვინის ქსოვილში სისხლის მიმოქცევის სისტემის საშუალებით. ეს მექანიზმი იცავს თავის ტვინს დაზიანებებისგან. გარკვეულ ნივთიერებებს (ნაწილაკებს) აქვთ ამ ბარიერის გადალახვის უნარი, ხოლო გარკვეული ბაქტერიები ბლოკირდება ჰემატონცეფალური ბარიერით, რის გამოც ვერ ხერხდება მათი თავის ტვინში შეღწევა.

## B LYMPHOCYTES (B CELLS)

**B ლიმფოციტები**, იგივე B უჯრედები, ლიმფოციტების 2 დიდი კლასის ერთ-ერთი წარმომადგენელი. B ლიმფოციტები წარმოადგენენ იმუნური სისტემის უჯრედებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ძვლის ტვინსა და ელენთაში. მათი ერთ-ერთი ფუნქცია ანტისხეულების წარმოქმნაა. ინფიცირების დროს B

უჯრედები გადადიან პლაზმაში, სადაც ანტიგენის სანინალ-მდეგოდ გამოიძუშავენ ანტისხეულებს. ანტიგენისა და ანტი-სხეულების შეერთებით ხდება იმუნური სისტემის გააქტიურება. აივ ინფიცირებულ პირებში B და T ლიმფოციტების ფუნქციონირება დაქვეითებულია იმის გამო რომ ისინი აივ-ის ძირითად სამიზნე უჯრედებს წარმოადგენენ.

## **BODY FLUIDS**

**ბიოლოგიური სითხე** - ადაიანის ორგანიზმში არსებული ნებისმიერი სახის სითხე, როგორცაა სისხლი, შარდი, ნერწყვი, ცრემლი, ნახველი, სპერმა, ქალის რძე, ვაგინალური სეკრეტი, თავ-ზურგ-ტვინის სითხე. ბიოლოგიური სითხეებიდან მხოლოდ სისხლი, სპერმა, ვაგინალური სეკრეტი და ქალის რძე შეიცავს აივ-ს მალალი კონცენტრაციით.

## **BONE MARROW**

**ქვლის ტვინი** - რბილი ქსოვილი, რომელიც მოთავსებულია ძვლის ღრუში. ძვლის ტვინში ხდება ერითროციტების, ლეიკოციტების და თრომბოციტების ფორმირება.

## **BONE MARROW SUPPRESSION**

**ქვლის ტვინის სუპრესია** - მრავალი სიმსივნის სანინალმდეგოდ და ანტივირუსული პრეპარატების გვერდითი ეფექტი, რომელიც ხელს უწყობს ერითროციტების, ლეიკოციტების და თრომბოციტების წარმოქმნას და შესაბამისად სისხლში მათი რაოდენობის დაქვეითებას. ამ უკანასკნელმა შეიძლება გამოიწვიოს ანემია, სპონტანური გაძლიერებული სისხლდენა.

## **BOOSTER**

**ბუსტიარი** - ბუსტერული დოზა, იმუნური პასუხის გაძლიერების მიზნით ვაქცინის განმეორებითი ან დამატებითი დოზის აღმინისტრირება.

## **BRANCHED DNA ASSAY**

**განტოტაჟული დნმ ტესტი** - სადიაგნოსტიკო ტესტი, რომელიც გამოგონილი იქნა ბაიერის მიერ აივ და სხვა ვირუსების რაოდენობის განსაზღვრისათვის 1 მლ სისხლში ან პლაზმაში. განტოტებული დნმ ტესტით მიღებული შედეგები მსგავსია პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციით მიღებული შედეგების, მაგრამ აქვს განსხვავებული ტექნოლოგია. გ-დნმ ტესტი გამოიყენება მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად და ასევე გამოიყენება როგორც მარკერი აივ ინფექციის დაავადების პროგრესირების დასადგენად. ახალი თაობის ტესტ-სისტემებით შესაძლებელია აივ-ის სისხლში უმცირესი რაოდენობის დადგენა.

## **BRONCHOSCOPY**

**ბრონქოსკოპია** - ბრონქების სანათურის ვიზუალური დათვალიერება ენდოსკოპის საშუალებით. ასევე შეიძლება გამოიყენებული იყოს უცხო სხეულის ფილტვის სანათურიდან მოცილებისათვის.

**BUFFALO HUMP**

**პიონის კუზი** – იხილეთ **ლიპოდისტროფია** (Lipodystrophy).

**BURKITT'S LYMPHOMA**

**ბურკიტის ლიმფომა** – B უჯრედების ტიპის ლიმფომა.

**CACHEXIA**

**კახექსია** - კვების ნაკლებობით გამოწვეული დაავადება, რომელიც ხასიათდება დაუძღვრებით, დასუსტებით. კახექსია ძირითადად თან სდევს რაიმე სერიოზულ დაავადებას. იხილეთ **შიდსთან ასოცირებული განლაქვის სინდრომი (AIDS wasting syndrome)**.

**CANDIDA**

**კანდიდა** - საფუარა სოკოს სახეობა, რომელიც ხშირად გვხვდება პირის ღრუს, კანის, საჭმლის მომნელებელ ტრაქტ-სა და ვაგინაში, როგორც ნორმალური ფლორის სოკო. კანდიდა შეიძლება გახდეს პათოგენური (დაავადების გამომწვევი) იმუნოკომპრომენტირებულ პირებში. იხილეთ **კანდილოზი (candidiasis)**.

**CANDIDIASIS**

**კანდილოზი** - კანდიდას გვარის საფუარა სოკო. მისი დასახელებაა *Candida albicans*. შიდსით დაავადებულ პირებში შეიძლება განვითარდეს საყლაპავის, ტრაქეას, ბრონქების ან ფილტვის კანდილოზი. პირის ღრუს ან ვაგინის კანდილოზი არის იმუნური სისტემის დაქვეითების ერთ-ერთი ადრეული გამოვლენა. იხილეთ **ოპორტუნისტული ინფექციები (opportunistic infections); ვაგინალური კანდილოზი (vaginal candidiasis)**.

**CARCINOGEN**

**კარცინოგენური** - ნივთიერება რომელიც ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას.

**CBC - COMPLETE BLOOD COUNT**

იხილეთ **სისხლის საერთო ანალიზი**.

**CBCT - COMMUNITY - BASED CLINICAL TRIAL**

იხილეთ **თემზე დაფუძნებული კლინიკური კვლევა**.

**CBO - COMMUNITY - BASED ORGANIZATION**

იხილეთ **თემზე დაფუძნებული ორგანიზაცია**.

**CCR5**

**CCR5** - უჯრედის ზედაპირული მოლეკულა, რომლის არსებობა აუცილებელია, ისევე როგორც CD4 რეცეპტორისა, იმისათვის რომ მოხდეს იმუნური უჯრედის აივ-ით ინფიცირება. მკვლე-

ვარებმა დაადგინეს, რომ აივ-ით უჯრედის ინფიცირებისათვის აუცილებელია CCR5 და CD4 მოლეკულების არსებობა. დამატებით, ვირუსის ორგანიზმში შეჭრას აკონტროლებს CKR5 რეცეპტორი, ე.წ. ქემოკინი, იხილეთ **ქემოკინები (chemokines); CXCR4.**

## **CDC – CENTERS FOR DISEASE CONTROL AND PREVENTION**

იხილეთ **დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი.**

### **CD4 (T4) or CD4+ CELLS**

#### **CD4 (T4) ან CD4+ უჯრედები –**

1. T უჯრედების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც იცავს ორგანიზმს ვირუსული, სოკოვანი და პროტოზოებით გამონეული ინფექციებისაგან. ეს უჯრედები ძირითადად აკონტროლებენ ორგანიზმის იმუნურ პასუხს სხვა იმუნური სისტემის უჯრედებისათვის სიგნალის გადაცემით, რათა მათ შეასრულონ თავიანთი ფუნქციები. CD4 უჯრედები ასევე ცნობილია როგორც T ჰელპერი (დამხმარე) უჯრედები.
2. აივ-ის ძირითად სამიზნე უჯრედებს წარმოადგენს უჯრედი, რომელსაც ზედაპირზე აქვს CD4 მოლეკულა. ასეთ უჯრედებს უწოდებენ CD4 პოზიტიურ (დადებით) ანუ CD4+ უჯრედებს. შიდსის სტადიაში განვითარებული იმუნოდეფიციციის ძირითადი მიზეზს CD4+ უჯრედების განადგურება წარმოადგენს. CD4+ ლიმფოციტების რაოდენობის შემცირება ოპორტუნისტული ინფექციების განვითარების ძირითადი ინდიკატორია. აივ ინფექციის დროს მიუხედავად CD4 უჯრედების შემცირებისა, მთლიანი T უჯრედების რაოდენობა შეიძლება დარჩეს ნორმის ფარგლებში CD8+ უჯრედების აბსოლუტური რიცხვის ზრდის ხარჯზე. ამიტომ CD4+ და CD8+ ფარდობა დაავადების პროგრესირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. იხილეთ **CD8+; იმუნოდეფიციენცია (immunodeficiency).**

### **CD8 (T8) CELLS**

**CD8 (T8) უჯრედები –** სისხლის თეთრი უჯრედები, რომლებსაც უჯრედის ზედაპირზე გაჩნიათ CD8 პროტეინი. ეს უჯრედები კლავს ზოგიერთ სიმსივნურ და პათოგენებით ინფიცირებულ უჯრედებს (ზოგიერთი ბაქტერია, მიკოპლაზმა, ვირუსი). CD8 უჯრედებს ასევე ციტოტოქსიკურ T უჯრედებს, T8 უჯრედებს, ციტოტოქსიკურ T ლიმფოციტებს უწოდებენ.

### **CDC NATIONAL AIDS HOTLINE (CDC – NAH)**

**აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის შიდსის ცხელი ხაზი –** ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც აივ ინფიცირებულების, ასევე ზოგადი მოსახლეობის და სამედიცინო პერსონალის საგანმანათლებლო, საინფორმაციო მომსახურებას. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.ashstd.org/nah/index.html>.

სა ქართველოში მსგავს მომსახურებას ახორციელებს შიდსის ცენტრი, რომლის ცხელი ხაზია 398018 და ვებ გვერდი: <http://www.aidscenter.ge>.

## **CELL LINES**

**უჯრედული ხაზები** – უჯრედების სპეციალური ტიპი, რომელიც გამოიყენება ლაბორატორიებში სამეცნიერო კვლევებისათვის.

## **CELL-MEDIATED IMMUNITY (CMI)**

**უჯრედ-განაპირობაჟული იმუნიტატი** (უჯრედული იმუნი-ტეტი) – იმუნიტეტის სახე, რომელიც არსებობს ორგანიზმში იმ პათოგენურ ვირუსებთან საბრძოლველად, რომლებიც შეიჭრებიან მასპინძელი ორგანიზმის უჯრედებში და უხილავები ხდებიან ანტისხეულების წარმოქმნელი უჯრედებისათვის. ამ შემთხვევაში უცხო სხეულის მიმართ ორგანიზმის იმუნური პასუხი ხორციელდება სპეციალური უჯრედების T კილერების (მკვლელების) საშუალებით, მაკროფაგებით, და სხვა სისხლის თეთრი უჯრედებით, და არა ანტისხეულებით.

## **CELLULAR IMMUNITY**

**უჯრედული იმუნიტატი** – იხილეთ **უჯრედ-განაპირობაჟული იმუნიტატი** (cell-mediated immunity).

## **CENTERS FOR DISEASE CONTROL AND PREVENTION (CDC)**

**დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი (CDC)** – აშშ ადამიანის ჯანმრთელობისა და მომსახურების სააგენტო, რომლის ფუნქციაა დაავადების, ზიანის და ინვალიდობის კონტროლისა და პრევენციის გზით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი მოიცავს 11 ცენტრს, მათ შორის აივ, სგგი და ტუ-ბერკულოზის პრევენციის ნაციონალურ ცენტრებს. CDC განსაზღვრავს აივ ეპიდემიის სახეს და მის მიმდინარეობას და ახორციელებს ეპიდემიოლოგიურ, ლაბორატორიულ და ზედამხედველობით კვლევებს. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.cdc.gov/>.

## **CENTRAL NERVOUS SYSTEM (CNS)**

**ცენტრალური ნერვული სისტემა (ცნს)** – ცენტრალური ნერვული სისტემა შედგება თავის ტვინის, ზურგის ტვინის და მენინგეალური გარსისაგან (მათი შემომსაზღვრელი დამცველი მემბრანებისაგან).

## **CENTRAL NERVOUS SYSTEM (CNS) DAMAGE (By HIV infection) –**

**ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება (გამონეპული ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით)** – იმის გამო, რომ მონოციტები და მაკროფაგები შეიძლება დაინფიცირდეს აივ-ით, ისინი კარგავენ უნარს გაანადგურონ პათოგენური ნივთიერებები. ინფიცირებული მონოციტები და მაკროფაგები მოძრაობს მთელს ორგანიზმში და გადააქვს აივ-ი მთელს ორგანიზმში, განსაკუთრებით კი ფილტვებსა და თავის ტვინში. აივ



ინფიცირებულ პირებს ხშირად აღენიშნებათ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში პათოლოგიური პროცესების განვითარება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აივ ინფიცირებული მონოციტების და მაკროფაგების კუმულაცია თავის ტვინსა და ნერვულ უჯრედებში, და/ან ციტოკინებისა და ტოქსიკური ბიოპროდუქტების ჭარბი გადმოსროლა შეიძლება იყოს ნევროლოგიურ კლინიკურ გამოვლინების მიზეზი.

## **CEREBRAL**

**ცერებრული** - ცერებრუმში (ტვინში), ტვინის ძირითად ნაწილში შეღწევა.

## **CEREBROSPINAL FLUID (CSF)**

**თავ-ზურგ-ტვინის სითხე (ლიქვორი)** - სითხე, რომელიც გადის თავისა და ზურგის ტვინში. ზოგიერთი დაავადებების დიაგნოსტიკის მიზნით ხდება ცერებროსპინური სითხის ამოღება ლუმბარული პუნქციის საშუალებით.

## **CERVICAL CANCER**

**საშვილოსნოს ყელის კოზო** - საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნე, ასოცირებულია ადამიანის პაპილომავირუსთან. იხილეთ **საშვილოსნოს ყელის დისპლაზია (cervical dysplasia); პაპ ნაგნი (pap smear).**

## **CERVICAL DYSPLASIA**

**საშვილოსნოს ყელის დისპლაზია** - საშვილოსნოს ყელის უჯრედების ზომის, ფორმის პათოლოგიური ცვლილება, ის ხშირად საშვილოსნოს ყელის კიბოს წინამორბედი დაზიანებაა. კვლევებმა უჩვენეს, რომ აივ ინფიცირებულ ქალებში ხშირია საშვილოსნოს ყელის დისპლაზია. დამატებით კვლევებმა ცხადყო, რომ საშვილოსნოს ყელის დისპლაზია ასოცირებულია იმუნურ სუპრესიასთან. აივ ინფექციამ ასევე შეიძლება გავლენა მოახდინოს საშვილოსნოს ყელის დისპლაზიის კლინიკური მიმდინარეობასა და მკურნალობაზე.

## **CERVICAL INTRAEPITHELIAL NEOPLASIA (CIN1, CIN2, CIN3)**

**საშვილოსნოს ყელის (ცერვიკალური) ინტრაეპითელიური ნეოპლაზია** - საშვილოსნოს ყელის ეპითელიუმის დისპლაზია, ხშირად პრეკანცერული მდგომარეობა, რომელიც ძირითადად გამოწვეულია პაპილომავირუსით. იმუნოსუპრესიამ ასევე შეიძლება დიდი როლი ითამაშოს დაავადების პროგრესირებაში.

## **CERVIX**

**საშვილოსნოს ყელი** - საშვილოსნოს ქვედა ნაწილი, რომელიც შედგება დავინროვებული მილისაგან და აერთებს ქალის რეპროდუქციული ტრაქტის ზედა და ქვედა ნაწილებს.

## CHALLENGE

**გამონეწვია** - ვაქცინის ექსპერიმენტული კვლევის დროს ინფექციური აგენტის წინასწარ განსაზღვრული დოზის შეყვანა იმუნიზირებულ ცხოველში.

## CHANCROID

**რბილი შანკრი, შანკროიდი** - მაღალი კონტაგიოზურობის (გადამდებლობის) მქონე სქესობრივი გზით გადამდები ინ-ფექცია, გამოწვეული ბაქტერია *Haemophilus ducreyi*-ით. დაავადების სიმპტომების განვითარება ხდება დაინფიცირების მომენტიდან 3-5 დღეში. თავიდან ის გამოიხატება პაპულის სახით, შემდეგ გადადის პუსტულაში და ბოლოს ვითარდება წყლული.

## CHEMOKINES

**ქემოკინები** - ასევე ცნობილია როგორც ბეტა ქემოკინები. კვლევები, რომლებიც სწავლობენ აივ ინფექციის და ამ იმუნური უჯრედების ურთიერთდამოკიდებულებას, ადასტურებენ, რომ აივ-სა და თეთრ უჯრედებს შორის ხდება კომპლექსის ცვლა, როდესაც ეს უჯრედები ხვდებიან ერთმანეთს. ქემოკინები უჯრედშიდა მოლეკულებია, რომელთა სეკრეცია ხდება CD8+ უჯრედების მიერ, რომლის ძირითად ფუნქციას იმუნური უჯრედების ინფექციის წყაროსთან მიზიდვა წარმოადგენს. ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ უჯრედის აივ ინფიცირებისათვის აუცილებელია, რომ აივ-1 დაუკავშირდეს უჯრედის ზედაპირზე განლაგებულ ქემოკინების რეცეპტორებს. გარკვეული ქემოკინები - რანტესი (RANTES), MIP-1A, და MIP-1B ხელს უშლიან აივ რეპლიკაციას ამ რეცეპტორების ბლოკირებით. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ვირუსის ქემოკინებთან შეერთების ბლოკირებით შესაძლებელია უჯრედის ინფიცირების თავიდან აცილება.

## CHEMOPROPHYLAXIS

**ქიმიოპროფილაქსია** - დაავადების პრევენციის მიზნით წამლის ან სხვა ქიმიური ნივთიერების გამოყენება.

## CHEMOTHERAPY

**ქიმიოთერაპია** - ზოგადად ქიმიოთერაპია ნიშნავს ქიმიური პრეპარატების დაავადების სამკურნალოდ გამოყენებას. ტერმინი ქიმიოთერაპია ხშირად იხმარება სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ გამოყენებული პრეპარატებისათვის. სიმსივნეების სამკურნალოდ გამოიყენება ციტოტოქსიკური პრეპარატები, რომლებიც კლავს სიმსივნურ უჯრედებს. მკურნალობის ამ მეთოდს ხშირად თან ახლავს გვერდითი მოვლენები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს იმუნური სისტემის დაქვეითება ხანმოკლე პერიოდით, თმის ცვენა, საჭმლის მომხელელები სისტემის მოშლა, და ზოგადად ავადმყოფობის შეგრძნების გაჩენა.

## CHLAMYDIA

**ქლამიდია** - სქესობრივი გზით გადამდები დაავადება (სგად), გამოწვეული *Chlamydia trachomatis*-ით. ინფექცია ძირითადად ლოკალიზდება გენიტალურ ორგანოებში. ინფექცია ძირითადად მიმდინარეობს ასიმპტომურად (სიმპტომების გარეშე), მაგრამ არანამკურნალე შემთხვევაში ქალებში შეიძლება გამოიწვიოს უშვილობა.

## CHRONIC IDIOPATHIC DEMYELINATING POLYNEUROPATHY (CIPD)

**ქრონიკული იდიოპათური დემიელინოზაციური პოლინეიროპათია (ქიღპ)** - ქრონიკული უცაბედი მიელინის დაკარგვა ან დესტრუქცია. მიელინი რბილი, თეთრი ცხიმოვანი ქსოვილია, რომლის სქელი ფენითაც არის დაფარული მიელინირებული ნერვული ბოჭკოების ბირთვი. პაციენტებს გამოუვლინდებათ პროგრესული, ხშირად სიმეტრიული ზედა და ქვედა კიდურების სისუსტე. ასეთი სიმპტომების მქონე პაციენტებს, რომლებსაც ეს სიმპტომები უგრძელდებათ 4-6 კვირა დიაგნოსტიკური დებიან **ქიღპ**-თი. მკურნალობა ძირითადად ითვალისწინებს ინტრავენურ იმუნოგლობულინის 4-5 დღის განმავლობაში ან პლაზმაფერეზის 5-6 სესანს 2 კვირის მანძილზე.

## CIPD - CHRONIC IDIOPATHIC DEMYELINATING POLYNEUROPATHY

**ქიღპ** - იხილეთ **ქრონიკული იდიოპათური დემიელინოზაციური პოლინეიროპათია**.

## CIRCUMORAL PARESTHESIA

**პირის - ირგვლივი (ცირკუმორული) პარესთეზია** - პათოლოგიური შეგრძნება, როგორცაა ყოველგვარი მიზეზის გარეშე პირის გარშემო წვის ან ჩხვლეტის შეგრძნება. იხილეთ **პარესთეზია**.

## CLADE

**სუბტიპი** - მონათესავე აივ იზოლატების ჯგუფი, რომელიც კლასიფიცირებულია გენეტიკური მსგავსების მიხედვით. დღესდღეობით ცნობილია აივ1-ის იზოლატების 3 ჯგუფი: M, N და O. M იზოლატი, რომელიც არის ძირითადი შტამი შედგება სულ მცირე 10 სუბტიპისაგან A-დან J-მდე. O ჯგუფი შეიძლება მოიცავდეს იგივე რაოდენობის სუბტიპებს. ფრანგმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს აივ1-ის ახალი სუბტიპი, რომელიც არ ეკუთვნის არც M და არც O-ს. ეს ახალი იზოლატი აღმოჩენილი იქნა კამერუნელ აივ ინფიცირებულ ქალში. იგივე მეცნიერები რეკომენდაციას იძლევიან რომ ამ ახალი შტამის კლასიფიცირება მოხდეს როგორც N სუბტიპის.

## CLINICAL

**კლინიკური** - პაციენტის გამოკვლევის ან მკურნალობის შედეგად აღმოჩენილი ან მიკუთვნებული სიმპტომები, რომლებიც განსხვავდება თეორიული ან ბაზისური მედიცინისაგან.

## CLINICAL ENDPOINT

**კლინიკური გამოსავალი** – იხილეთ **გამოსავალი**.

## CLINICAL LATENCY

**კლინიკური ლატენცია პერიოდი** – ვირუსის, ბაქტერიის ან სხვა მიკრობის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ უსიმპტომო პერიოდს ეწოდება ლატენცია პერიოდი. აივ ინფიცირებულ პირებში კლინიკური ლატენცია პერიოდი ეწოდება პერიოდს ორგანიზმის ინფიცირების მომენტიდან კლინიკური სიმპტომების გამოვლინებამდე.

## CLINICAL PRACTICE GUIDELINES

**კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო-რეკომენდაცია** – პანელური ექსპერტების მიერ პერიოდულად შემუშავებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტანდარტები, რომელიც ეხმარება ექიმს მიიღოს სწორი, ეფექტური გადაწყვეტილება პაციენტის ადექვატური მოვლის და მკურნალობის შესახებ. საქართველოში აივ ინფექცია/შიდსზე შექმნილია რამოდენიმე (2005 წ., 2007 წ., 2008 წ.) კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო რეკომენდაცია, რომელიც დაფუძნებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ამერიკის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის, ნაციონალური ჯანმრთელობის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელოებზე.

## CLINICAL TRIAL

**კლინიკური კვლევა** – სამეცნიერო დიზაინის მქონე კვლევა, რომელიც შეისწავლის ჩარევის (ინტერვენციის) ეფექტის (მაგ. ნამალი, ვაქცინა, ქცევა) ხარისხს ადამიანებში. კლინიკური კვლევის მიზანს წარმოადგენს პრეპარატის უსაფრთხოება, კლინიკური ეფექტურობა და ფარმაკოლოგიური ეფექტი (ტოქსიკურობის, გვერდითი ეფექტების, შეუთავსებულობის, ან ურთიერთქმედებას). იხილეთ **I, II, III, და IV ფაზის კლინიკური კვლევები**.

## CLONE

**კლონი** –

1. საერთო წინაპრიდან წარმოქმნილი გენეტიკურად იდენტური უჯრედები ან ორგანიზმები.
2. გენეტიკურად ერთნაირი ასლების წარმოქმნა.
3. ცოცხალი უჯრედების ერთნაირი გენეტიკური რეპლიკაცია, რომელიც გამოიყენება და ფასეულია კვლევებისა და გამოსაკვლევი კულტურების რეპროდუქციისათვის.

## CMV – CYTOMEGALOVIRUS

**ცმვ** – იხილეთ **ციტომეგალოვირუსი**.

## CMV RETINITIS – CYTOMEGALOVIRUS RETINITIS

**ცმვ რეტინიტი** – იხილეთ **ციტომეგალოვირუსული რეტინიტი**.

## CNS – CENTRAL NERVOUS SYSTEM

ცნს – იხილეთ **ცენტრალური ნერვული სისტემა**.

## COCCIDIOIDOMYCOSIS

**კოკციდიომიკოზი** – სოკოვანი ინფექციური დაავადება, გამონვეული *Coccidioides immitis*, რომელიც გარემოში გვხვდება მტვერში შენონილ მდგომარეობაში. დაავადება ატარებს ენდემურ ხასიათს. კოკციდიური იდიომიკოზი აივ ინფიცირებულ პირებში წარმოადგენს შიდსთან ასოცირებულ ოპორტუნისტულ დაავადებას. კოკციდიური იდეომიკოზი ასევე ცნობილია სან ჯოაკუნ ვალეის ცხელებად. იხილეთ **ოპორტუნისტული ინფექციები** (opportunistic infections).

## CODON

**კოდონი (ტრიპლეტი)** – რნმ-ის 3 ნუკლეოტიდის თანამიმდევრობა, რომელიც პროტეინის სინთეზის დროს ადგენს ამინომჟავების პოლიპეპტიდური ჯაჭვის მინერტს ან დაბოლოებას. იხილეთ **რიბონუკლეინის მჟავა** (ribonucleic acid).

## COFACTORS

**კო-ფაქტორი, დამხმარე ფაქტორი –**

1. ნივთიერება, მიკროორგანიზმი ან რაიმე სხვა ფაქტორი, რომელიც ახდენს დაავადების პროგრესირებას ან პაციენტს უწვითარებს ავადმყოფობის შეგრძნებას.
2. ნივთიერება, როგორცაა მეტალის იონები ან კოფერმენტები, რომელიც ასოცირებულია ფერმენტებთან, მათი ფუნქციონირებისათვის.
3. სიტუაცია ან ქმედება, რამაც შეიძლება გაზარდოს ადამიანის აივ/შიდსის მიმართ მიმღებლობა. კო-ფაქტორის მაგალითებად შესაძლებელია მოყვანილი იქნას სხვა ინფექციური დაავადებები, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება, დაბალ კალორიული საკვები, გენეტიკური ფაქტორები და სტრესი. აივ იმუნოლოგიაში აღმოჩენილი კო-ფაქტორებიდან აღსანიშნავია CXCR4 და CD4, რომელიც განაპირობებს ვირუსის უჯრედში შეღწევადას.

## COGNITIVE IMPAIRMENT

**კოგნიტიური დაზიანება** – ინფორმაციის დამახსოვრების, სწავლების პროცესის და ახალი ინფორმაციის მიღების უნარის დარღვევა.

## COHORT

**კოჰორტა** – ეპიდემიოლოგიაში ინდივიდების ერთობლიობა (ჯგუფი), რომლებსაც აქვთ რაიმე მსგავსი დამახასიათებელი თვისება.

## CONCORDANT COUPLES

**კონკორდანტიული წყვილები** – სქესობრივი პარტნიორები, სადაც ორივე წყვილი დაავადებულია/ინფიცირებულია რომელიმე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციით (მათ შორის აივ ინფექციით). დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრს, ასევე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას შექმნილი აქვს ასეთი წყვილების კონსულტირების სახელმძღვანელო რეკომენდაცია.

## CONFLICT OF INTEREST

**ინტერესთა კონფლიქტი** – პირადული ინტერესის საფუძველზე ოფიციალურ პოზიციაზე მყოფ პირსა და საზოგადოებას შორის აღმოცენებული კონფლიქტი.

## COLITIS

**კოლიტი** – კოლინჯის ანთეზა.

## COMBINATION THERAPY

**კომბინირებული თერაპია** – 2 ან მეტი პრეპარატის, ან 2 სახის მკურნალობის ერთდროული გამოყენება ოპტიმალური შედეგის მისაღწევად. დამტკიცებულია, რომ კომბინირებული თერაპია ანტირეტროვირუსული პრეპარატებით ბევრად უფრო ეფექტურია მონოთერაპიასთან შედარებით. კომბინირებული თერაპიის მაგალითია ორი ნუკლეოზიდის ანალოგის და ერთი პროტეაზას ინჰიბიტორის ან არა ნუკლეოზიდის შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორის გამოყენება. იხილეთ **სინერჯიზმი** (synergism).

## COMMUNITY-BASED CLINICAL TRIAL (CBCT)

**თაფჯა დაფუძნებული კლინიკური კვლევა** – კლინიკური კვლევა, რომელიც ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის სისტემის ექიმის მონაწილეობით და არა აკადემიური სამეცნიერო დაწესებულების თამნამშრომლების მიერ.

## COMMUNITY-BASED ORGANIZATION (CBO)

**თაფჯა დაფუძნებული ორგანიზაცია** – ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე სოციალურ მომსახურებას.

## COMMUNITY PLANNING

**საზოგადოებრივი დაგეგმარება** – პასუხისმგებლები არიან აივ პრევენციის გეგმის შემუშავებაში და პირდაპირი პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ იურისდიქციაში მყოფ დაწესებულებებში აივ ეპიდემიის განვითარებაზე. აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის საზოგადოებრივი დაგეგმარების მიზანი არის არსებული აივ პრევენციული პროგრამების ეფექტურობის გაზრდა.

ეპიდემიოლოგების, ქცევითი მეცნიერების (ბიჰევიორისტიკის), აივ პრევენციული პროგრამების განმახორციელებლების, ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების, და იმ პირების წარმომადგენლების ვისაც ეს დაავადება შეეხო ერთობლივი თანამშრომ-

ლობის საფუძველზე უნდა მოხდეს ინფექციის გავრცელების შეფასება, პრიორიტეტების და სხვა შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება.

## COMPLEMENT

**ღანაგატი, კომალაგენტი** – ნორმალურ სისხლის, პლაზმასა და შრატში არსებული პროტეინების ჯგუფი, რომლებიც ანტისხეულებთან კომბნაციაში ინვევენ ანტიგენების, კერძოდ ბაქტერიების და სისხლში სხვა უცხო უჯრედების დესტრუქციას (დაშლას).

## COMPLEMENT CASCADE

**კომალაგენტის რაეაქციების კასკადი (კომალაგენტის სისტემა)** – მოვლენების ზუსტი ან გარკვეული თანამიმ-დევრობა, რომელიც ძირითადად ინიცირებულია ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსით, როდესაც რიგრიგობით ხდება კომპლემენტის თითოეული კომპონენტის გააქტიურება.

## COMPLEMENTARY AND ALTERNATIVE THERAPY

**ღამატაპითი და ალტერნატიული თერაპია** – მოიცავს მკურნალობის და მიდგომების ფართო სპექტრს, რომელიც იშვიათად გამოიყენება ტრადიციულ (დასავლეთის მედიცინა) მედიცინაში პაციენტების სამკურნალოდ. მაგ, აკუპუნქტურა, ჩინური აიურვედა და სხვ.

## COMPLETE BLOOD COUNT (CBC)

**სისხლის საერთო (კლინიკური) ანალიზი** – სისხლის ანალიზი, რომლის დროსაც ხდება სისხლის თეთრი, წითელი უჯრედების დათვლა, ჰემატოკრიტის, ჰემოგლობინის გამოთვლა 1 მიკროლიტ სისხლში.

## CONCOMITANT DRUGS

**თანმხლები პრეპარატები/ნამლები** – ნამლები, რომელთა მიღება ხდება ერთდროულად. თანმხლები პრეპარატების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი ურთიერთმოქმედება.

## CONDYLOMA

**კონდილომა** – მეჭეჭის მსგავსი გამონაზარდი, რომელიც ძირითადად იზრდება გარეთა სასქესო ორგანოებსა და/ან პერიანალურ არეში.

## CONDYLOMA ACUMINATUM

**მასპილწავიანი კონდილომა** – მეჭეჭი სასქესო ორგანოსა და/ან პერიანალურ არეში. თუმცა დაზიანებები მცირე რაოდენობითაა, მათ შეუძლიათ გაერთიანება და ყვავილოვანი კომბოსტოს მსგავსი მასის წარმოქმნა. გამომწვევია ადამიანის პაპილომავირუსი (HPV), ეს არის ინფექციური და აუტოტრანსმისიული (შესაძლებელია სხეულის ერთი ნაწილიდან გადავიდეს მეორეზე) დაავადება. დაავადებას ასევე ეწოდება გენიტალური მეჭეჭი, ვენერიული მეჭეჭი.

## **CONFIDENTIAL**

**კონფიდენციალური** - ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა, დაფუძნებულია ნდობის ფაქტორზე. კონფიდენციალურობის დარღვევა ისჯება კანონით.

## **CONTAGIOUS**

**კონტაგიოზური, გადავლავი** - ნებისმიერი ინფექციური დაავადება, რომელსაც უნარი აქვს გადაეცეს ერთი ადამიანიდან მეორეს საყოფაცხოვრებო კონტაქტით. საყოფაცხოვრებო კონტაქტი შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანებს შორის ყოველდღიური კონტაქტი სახლში, სკოლაში, სამსახურში ან საზოგადოებაში. კონტაგიოზური პათოგენი შესაძლებელია გადაეცეს საყოფაცხოვრებო კონტაქტური გზით (მაგ., ჩუტყვავილა). ინფექციური პათოგენი შესაძლებელია გადაეცეს პირდაპირი ან ინტიმური (სქესობრივი) კონტაქტით. აივ ინფექცია არ არის კონტაგიოზური დაავადება.

## **CONTRACEPTION**

**კონტრაცეპცია** - დაუგეგმავი ორსულობისგან თავის დაცვა. კონტრაცეპციულ პრეპარატებში განიხილება ჩასახვის სანინალმდეგო პრეპარატები. ჩასახვის სანინალმდეგო პრეპარატები არ იცავს სგგი დაავადებების და აივ ინფექციით დაინფიცირებისგან.

## **CONTRAINDICATION**

**წინააღმდეგვინება** - სპეციფიკური მდგომარეობა, როდესაც გარკვეულმა მკურნალობამ შეიძლება ავნოს პაციენტს.

## **CONTROLLED TRIALS**

**საკონტროლო კვლევები** - საკონტროლო - ეს არის სტანდარტი, რასთან მიმართებაშიც შესაძლებელია შეფასდეს ექსპერიმენტული დაკვირვება. კლინიკურ კვლევებში პაციენტების ერთ ჯგუფს ეძლევა ექსპერიმენტული წამლები, ხოლო საკონტროლო ჯგუფს ეძლევა სტანდარტული მკურნალობა იმავე დაავადების სამკურნალოდ, ან პლაცებო.

## **COORDINATION**

**კოორდინაცია** - სარგებლიანობის, ეფექტურობის ან უკეთესი გამოსავლის მიზნით პროცესის, მომსახურების ან სისტემის რეგულირება. მაგ. ინფორმაციის გაცვლა ჩატარებული კვლევების ან პროგრამების შესახებ, იმისათვის რომ არ მოხდეს მისი დუბლირება.

## **CO-RECEPTORS**

**კორეცეპტორი** - რეცეპტორების ჯგუფი, რომლებიც ბლოკავენ აივ იმუნურ უჯრედებში პენეტრაციას.

## **CORE**

**ბირთვი** - პროტეინიანი კაფსულა, რომელიც გარშემორტყმულია ვირუსის დნმ ან რნმ-ზე. აივ-ში p55, ბირთვის პრე კურსორული



მოლეკულა, დაყოფილია მცირე პროტეინიან მოლეკულებად p24, p17, p7, და p6. აივ-ის ბირთვი პირველად შედგება p24-ისგან.

## CORE PROTEIN

**ბირთვის პროტეინი (ცილა) – იხილეთ ბირთვი (core).**

## CORRELATES OF IMMUNITY/CORRELATES OF PROTECTION

**იმუნუროვის/დაცულობის განმავითარებელი ფაქტორები –** იმუნური პასუხი, რომელიც იცავს ინდივიდს გარკვეული დაავადებებისგან. იმუნიტეტის და აივ-ის ურთიერთკავშირი არ არის დაზუსტებული.

## CREATININE

**კრეატინინი –** სისხლში და კუნთებში აღმოჩენილი პროტეინი, რომელიც შარდით გამოიყოფა. კრეატინინის დონე სისხლში ან შრატში განსაზღვრავს თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას.

## CROSS-RESISTANCE

**ჯვარადიანი რეზისტენტობა –** ფენომენი, რომლის დროსაც ორგანიზმს, მიკროორგანიზმს, ვირუსს აქვს თვისება დაკარგოს მგრძობელობა როგორც ერთი პრეპარატის, ასევე სხვა ერთი ან რამოდენიმე პრეპარატის მიმართ, რომელთანაც მას შეხება არ ჰქონია.

## CRYOTHERAPY

**კრიოთერაპია –** თხევადი აზოტის გამოყენება დაზიანებული კერის მოცივნის, დაშლის ან ზრდის შეფერხების მიზნით. კრიოთერაპია ზოგჯერ გამოიყენება შრამის ნარმოქმნის სტიმულაციისათვის და დაზიანებული ადგილის გავრცობის პრევენციისათვის.

## CRYPTOCOCCAL MENINGITIS

**კრიპტოკოკული მენინგიტი –** სიცოცხლისათვის საშიში ნერვული სისტემის დაზიანება, გამონვეული სოკო *Cryptococcus neoformans*-ით. სოკო აზიანებს თავის და ზურგის ტვინის მემბრანებს. ჩვეული გამოვლინებაა ქვემწვავე მენინგიტი. დამახასიათებელი სიმპტომები: ცხელება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, კისრის კუნთების რიგიდობა. არანამკურნალებ შემთხვევაში შესაძლებელია განვითარდეს კომატოზური მდგომარეობა ლეტალური გამოსავლით.

## CRYPTOCOCCUS NEOFORMANS

**კრიპტოკოკი –** *Cryptococcus neoformans*-ი, სოკო, რომელიც ბუდობს ფრინველის ექსკრემენტებით დაბინძურებულ ნიადაგში. მრავალი ადამიანი ექსპოზირებულია (შეხებაშია) ამ სოკოსთან, რომელიც არ იწვევს დაავადებას ჯანმრთელ ადამიანში. დაავადების გამონვევა ხდება მხოლოდ იმუნო-ლომპრომეტირებულ პირებში.

## **CRYPTOCOCCOSIS**

**კრიპტოკოკოზი** - ინფექციური დაავადება, რომლის გამომწვევია *Cryptococcus neoformans*, რომელიც მოხვდება რესპირატორულ ტრაქტში. დაინფიცირებულ ორგანიზმში ფილტვიდან სოკო შეიძლება გადავიდეს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, კანში, ძვალ-სახსროვან სისტემაში და საშარდე გზებში. აივ ინფიცირებულ პირებში იგი მიჩნეულია როგორც შიდსთან ასოცირებული ოპორტუნისტული ინფექცია.

## **CRYPTOSPORIDIOSIS**

**კრიპტოსპორიდიოზი** - დიარეის გამომწვევი დაავადება გამომწვეული პროტოზოა *Cryptosporidium*-ით, რომელიც იზრდება და ბუდობს ნაწლავში. სიმპტომები: სპაზმი მუცლის ღრუში, ძლიერი ქრონიკული ფაღარათი. მიჩნეულია როგორც შიდსთან ასოცირებული ინფექცია. კრიპტოსპორიდიოზი ძირითადად გამოვლინდება აივ ინფექციის გვიან სტადიაზე და მიუთითებს ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითებაზე.

## **CRYPTOSPORIDIUM**

**კრიპტოსპორიდიუმი** - პროტოზოა *Cryptosporidium parvum* რომელიც იწვევს კრიპტოსპორიდიოზს. პარაზიტი აღმოჩენილია ცხოველების ნაწლავში. ადამიანის დაინფიცირება შესაძლებელია ინფიცირებულ/დაავადებულ ცხოველთან კონტაქტით, კონტამინირებული (დაბინძურებული) საკვების ან წყლის მიღებით. პარაზიტი იზრდება ნაწლავში და აივ ინფიცირებულ ადამიანებში იწვევს კრიპტოსპორიდიოზს.

## **CSF - CEREBROSPINAL FLUID**

**თხს** - იხილეთ **თავ-ზურგტვინის სითხე**.

## **C-T SCAN - Computed Tomography Scan**

**კომპიუტარული ტომოგრაფიული სკანირება** - რადიოგრაფიის მეთოდი (რენტგენის სხივების გამოყენებით). კომპიუტერული ტომოგრაფიული სკანირების დროს კომპიუტერში მიიღება 3 განზომილებიანი გამოსახულება.

## **CTL - Cytotoxic T Lymphocyte**

**CTL** - იხილეთ **ციტოტოქსიური T ლიმფოციტები**.

## **CULTURALLY APPROPRIATE**

**კულტურალურად მისაღები** - ერის კულტურალური, ტრადიციების და ქცევითი თავისებურებების გათვალისწინება. საინფორმაციო მასალები უნდა იყოს აგებული კულტურალური თავისებურებების გათვალისწინებით.

## **CUTANEOUS**

**კანის** - კანის საფარველზე, კანზე ზემოქმედება.

## CXCR4

**CXCR4** – უჯრედის მოლეკულა, რომელიც მოქმედებს როგორც კო-ფაქტორი ან კო-რეცეპტორი აივ-ის იმუნურ სისტემის უჯრედებში შესაღწევად. ეპიდემიის ადრეულ სტადიაზე CD4 მოლეკულა მიჩნეული იყო როგორც იმუნური სისტემის უჯრედების პირველადი რეცეპტორი აივ-ისათვის. ახალ მონაცემებზე დაყრდნობით CXCR4 მოლეკულის არსებობა აუცილებელია აივ-ის უჯრედში შეჭრისათვის. ბოლო კვლევები ხაზს უსვავს აივ და თეთრი უჯრედების 2 სახის რეცეპტორის ურთიერთქმედებას. CD4 რეცეპტორთან მიერთების შემდეგ ვირუსი მიუერთდება მეორე – CXCR4 რეცეპტორს, რომელიც ჩვეულებრივ მიერთებულია ქემოკინებთან. ეს ორმაგი მიმაგრება იძლევა აივ-ის უჯრედში შეჭრის სიგნალს.

## CYTOKINES

**ციტოკინები** – პროტეინები (ცილები), რომლების პროდუქციას ახდენს თეთრი უჯრედები, და რომელიც მოქმედებს როგორც კურიერი უჯრედებს შორის. ციტოკინებს აქვთ სხვადასხვა იმუნური უჯრედების გამრავლების, აქტივაციის სტიმულირების ან დაქვეითების უნარი. ციტოკინები აუცილებელი ცილებია იმუნური სისტემის საპასუხო რეაქციისათვის და ასევე შეიძლება განხილული იქნას როგორც იმუნური სისტემის დამხმარე პროტეინები. აივ რეპლიკაცია (გამრავლება) რეგულირდება ორგანიზმში ციტოკინების ბალანსის საშუალებით. ბალანსის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ვირუსის რეპლიკაციის გაზრდა.

## CYTOMEGALOVIRUS (CMV)

**ციტომეგალოვირუსი – (CMV)** – გავრცელებული ჰერპეს ვირუსი, რომელიც ინვესს ოპორტუნისტულ ინფექციას აივ ინფიცირებულ ან სხვა იმუნოკომპრომენტირებულ პირებში. ვირუსი არ ინვესს დაავადებას ჯანმრთელ ადამიანში. იმის გამო, რომ ვირუსი მუდმივად რჩება ორგანიზმში, კლინიკურად გამოვლინდება მაშინ, როდესაც იმუნური სისტემა მკვეთრად ქვეითდება. რადგან ციტომეგალოვირუსს უნარი აქვს დააზიანოს მრავალი ორგანო, აივ ინფიცირებულ პირებში ხშირია ციტომეგალოვირუსული რეტინიტი და კოლიტი.

## CYTOMEGALOVIRUS (CMV) RETINITIS

**ციტომეგალოვირუსული რეტინიტი** – თვალის დაავადება, რომელიც ხშირად გვხვდება აივ ინფიცირებულ პირებში. მკურნალობის გარეშე შესაძლებელია მხედველობის დაკარგვა. ცმვ შეიძლება დააზიანოს ორივე თვალი. იგი სიბრმავის ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

## CYTOPENIA

**ციტოპენია** – სისხლში უჯრედული ელემენტების დეფიციტი.

## **CYTOTOXIC**

**ციტოტოქსიკური** - რაიმე აგენტი ან პროცესი რომელიც ციტოქსიურად მოქმედებს ან ინვეზს უჯრედის დესტრუქციას.

## **CYTOTOXIC T LYMPHOCYTE (CTL)**

**ციტოტოქსიკური T ლიმფოციტი** - ლიმფოციტი რომელსაც უნარი აქვს გაანადგუროს უცხო უჯრედები, რომლებიც იმუნური სისტემის მიერ „მარკირებულია“ როგორც უცხო უჯრედები. ციტოტოქსიკურ T ლიმფოციტებს უნარი აქვთ გაანადგურონ სიმსივნური, ვირუსით, სოკოთი და ზოგიერთი ბაქტერიით ინფიცირებული უჯრედები. ციტოტოქსიკური T ლიმფოციტები კლავენ დავირუსებულ უჯრედებს, ხოლო ანტისხეულები მიმართულები არიან სისხლში გამოთავისუფლებული ვირუსების სანინალმდეგოდ. T ლიმფოციტები ასევე ცნობილია როგორც T კილერები. ისინი შეიცავენ CD8 მარკერებს.

**DATA SAFETY AND MONITORING BOARD (DSMB)**

**მონაცემთა უსაფრთხოების და მონიტორინგის საბჭო (მშუს)** – დამოუკიდებელი კომიტეტი, რომელიც შედგება კლინიკური კვლევის ექსპერტებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისგან, რომლებიც განიხილავენ კლინიკური კვლევის მიმდინარე პროცესებს, იმისათვის რომ დარწმუნდნენ რომ კვლევაში მონაწილეობა უსაფრთხოა. კომისიას შეუძლია დააყენოს საკითხი კვლევის შეწყვეტის შესახებ, დოკუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, თუ კვლევაში მონაწილეობა არ არის უსაფრთხო პაციენტისათვის.

**DDC – ZALCITABINE**

იხილეთ **ზალციტაბინი**.

**DDI – DIDANOSINE**

იხილეთ **დიდანოსინი**.

**DELAVIDINE (BHAP U 90152S)**

**დელავირდინი** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, არანუკლეოზიდური შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლებელი გვერდითი ეფექტები – დაღლილობის შეგრძნება, სინითლე, თავის ტკივილი, ღვიძლის ფერმენტების მომატებული აქტივობა, იშვიათად ნამლისმიერი ჰეპატიტი.

**DELETION**

**ნაშლა, განადგურება, დანგრევა** – ბუნებრივად ან ლაბორატორიულად გენის (მაგალითად ქრომოსომიდან) ელიმინაცია.

**DEMENTIA**

**დემენცია** – ტვინის ორგანული დაავადების შედეგად განვითარებული ქუუასუსტობა. ორგანული ბუნების ინტელექტუალური მდგომარეობის ქრონიკული გაუარესება, რაც გავლენას ახდენს ადამიანის სოციალურ თუ სამსახურებრივ ადგილებში ნორმალურ ფუნქციონირებაზე. იხილეთ **შიდსთან ასოცირებული დემენცია (AIDS dementia complex)**

**DEMOGRAPHICS**

**დემოგრაფიული** – ადამიანთა პოპულაციის ისეთი სტატისტიკური მახასიათებლები, როგორიცაა ასაკი, რასა, ეროვნება, ეთნიკურობა, სქესი და პოპულაციის ზომა.

## DEMYELINATION

**დემიელინაცია** - ნერვის(ების) მიელინის გარსის დესტრუქცია ან სრული დაკარგვა.

## DENDRITE

**დენდრიტი** - პროტოპლაზმური განტოტება, რომელიც ატარებს იმპულსებს ნერვულ უჯრედებსა და სხეულს შორის.

## DENDRITIC CELLS

**დენდრიტული უჯრედი** - უჯრედები, რომლებიც აკონტროლებენ იმუნური სისტემის უჯრედებს, რომლებმაც თავის მხრივ ვირუსის ლიმფურ კვანძებში გადატანით შესაძლებელია გამოიწვიონ აივ ინფექციის პროცესის განვითარება. დენდრიტული უჯრედები ორგანიზმში ცირკულაციისას აკონტროლებენ აივ-ის გარე ქსოვილებში (განსაკუთრებით კანი, ფილტვის და რეპროდუქციული სისტემის მემბრანები) მოხვედრას. დენდრიტული უჯრედები უკავშირდება აივ-ს და გადააქვს ლიმფურ კვანძებში T უჯრედების სტიმულაციისა და იმუნური პასუხისათვის. ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში დენდრიტულ უჯრედებს, რომლებსაც შეკავშირებული აქვთ აივ-ი, ახდენენ CD4+ T უჯრედების ინფიცირებას. CD4+ T უჯრედები არის აივ-ის ძირითადი სამიზნე უჯრედები.

## DEOXYRIBONUCLEIC ACID (DNA)

**დეოქსირიბონუკლეინის მჟავა** - მოლეკულური 2 სპირალიანი ჯაჭვი, რომელიც აღმოჩენილია თითოეული უჯრედის ბირთვში და ინახავს გენეტიკურ ინფორმაციას, რაც უჯრედს აძლევს გამრავლების საშუალებას. დნმ ქრომოსომის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მემკვიდრეობით გადააქვს ნიშანთვისებები.

## DEPARTMENT OF HEALTH AND HUMAN SERVICES (DHHS or HHS)

**აშშ ჯანმრთელობისა და მომსახურების სფეროს დეპარტამენტი (ჯმსდ)** - იგივე აშშ ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა (და საქმეთა) დეპარტამენტი (**ჯსსდ**) - ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვას და აუცილებელ მომსახურებას, განსაკუთრებით მათ, ვისაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის მომსახურება. ჯანმრთელობისა და მომსახურების სფეროს დეპარტამენტი მოიცავს 300-ზე მეტ პროგრამას, და აქვს ფართო მომსახურების სფერო. დეპარტამენტის პროგრამების ადმინისტრირება (მართვა) ხდება 11 სხვადასხვა დეპარტამენტის საშუალებით, მათ შორის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის, აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს, და აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ. **ჯმსდ** მჭიდროდ თანამშრომლობს შტატებისა და ფედერალურ მთავრობასთან. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.hhs.gov>.

## DESENSITIZATION

**დესენსიზიზაცია, მგრძობალოვის დაქვეითება** — მედიკამენტის დოზის თანდათანობითი გაზრდა გვერდითი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით. დესენსიზიზაცია პოპულარული მეთოდი გახდა განსაკუთრებით ანტიბიოტიკების და ანტი-რეტროვირუსული პრეპარატების დანიშვნის დროს.

## DHHS – DEPARTMENT OF HEALTH AND HUMAN SERVICES

**ჯგსდ** – იხილეთ **ჯანმრთელობისა და მომსახურების სფეროს დეპარტამენტი**.

## DIABETES MELLITUS (DM)

**შაქრიანი დიაბეტი** – ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა, რომელიც ხასიათდება სისხლში გლუკოზის დონის მომატებით და გლუკოზის შარდში არსებობით, რაც გამოწვეულია ინსულინის არაადეკვატური გამომუშავებით ან მოხმარებით. ინსულინი, ეს არის ჰორმონი რომლის საშუალებითაც გლუკოზა სისხლის მიმოქცევიდან გადადის უჯრედებში, სადაც იგი (გლუკოზა) გამოიყენება როგორც ენერგეტიკული ნივთიერება, ან ინახება შემდგომი გამოყენებისათვის. შაქრიანი დიაბეტს შეუძლია გამოიწვიოს გრძელვადიანი გართულებები, ნეიროპათიის, რეტინოპათიის, ნეფროპათიის სახით, დეგენერაციული ცვლილებები მსხვილ და წვრილ სისხლძარღვებში და ზრდის მიდრეკილებას სხვადასხვა ინფექციების მიმართ. იხილეთ **ჰიპერგლიკემია** (hyperglycemia).

## DIAGNOSIS

**დიაგნოზი** – სპეციფიკური დაავადების ან ინფექციის არსებობის დადასტურება ორგანიზმში, რომელიც ძირითადად ეყრდნობა კლინიკურ სიმპტომებს და ლაბორატორიულ მონაცემებს.

## DIARRHEA

**დიარეა** – სწორი ნაწლავის არაკონტროლირებადი, ხშირი პერისტალტიკა, გამონეული დიეტის, ინფექციის, მედიკამენტების ან ნაწლავის ანთების გამო. გახანგრძლივებული ან მძიმე დიარეამ შეიძლება გამოიწვიოს წონაში კლება ან კვებითი დეფიციტი, აივ ინფიცირებულებში დიარეით გამონეულმა გაძლიერებულმა სითხის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა. აივ ინფიცირებულებში დიარეის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. ყველაზე ხშირად გავრცელებული მიკროორგანიზმები რომლებიც ინვევენ შიდასთან ასოცირებულ დიარეას არის ციტომეგალოვირუსი (ცმვ), კრიპტოსპორიდიანი (*Cryptosporidium Microsporidia*), ლამბლიოზი (*Giardia lamblia*) და ბაქტერია *Mycobacterium avium* და *Mycobacterium intra-cellulare*.

სხვა ბაქტერიები და პარაზიტები რომლებიც ინვევენ დიარეულ სიმპტომებს ჯანმრთელ ადამიანებში, აივ ინფიცირებულებში შეიძლება გამოიწვიოს მძიმე, გახანგრძლივებული ან განმეორებადი დიარეა.

## **DIDANOSINE (ddl)**

**დიდანოზინი, (ვიდექსი)** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები - პერიფერიული ნეიროპათია, გულისრევა, ფალარათი, თავის ტკივილი, ლებინება, გამონაყარი. იშვიათად შეიძლება გამოიწვიოს პანკრეატიტი. აციდოზი, გამონვეული უჯრედული მიტოქონდრიის პოლიმერაზის დაქვეითებით.

## **DIPLOPIA**

**დიპლოპია** - გაორმაგებული ხედვა, ორმაგი ხედვა.

## **DISCORDANT COUPLES**

**დისკორდანტული წყვილები** - სქესობრივი პარტნიორები, რომელთა შორის ერთ ერთს აქვს სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია და მეორეს არა. აივ ინფექციის შემთხვევაში სქესობრივი პირების აივ სტატუსი განსხვავებულია (ერთ-ერთი მათგანი აივ ინფიცირებულია, ხოლო მეორე აივ ნეგატიური). დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრს, ასევე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას შექმნილი აქვს ასეთი წყვილების კონსულტირების სახელ-მძღვანელო რეკომენდაცია.

## **DISSEMINATED**

**დისემინირებული** - დაავადების მთელს ორგანიზმში გავრცელება.

## **DIVERSITY**

**მრავალფეროვნება, სხვადასხვაობა** - ინდივიდუალური განსხვავება რასის, ეთნიკურობის, სქესის, სქესობრივი ორიენტაციის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, ასაკის, ფიზიკური უნარის, რელიგიის, პოლიტიკური მიმდევრობის ჯანმრთელობის სტატუსის ან სხვა იდეოლოგიის მქონე პირებს შორის. მრავალფეროვნების კონცეპტია ითვალისწინებს რომ ყველა ადამიანს აქვს ერთნაირი უფლება მიუხედავად სხვადასხვა ზემოთ ჩამოთვლილი სტატუსისა.

## **DIVISION OF ACQUIRED IMMUNODEFICIENCY SYNDROME (DAIDS)**

**შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის დეპარტამენტი** - დეპარტამენტი, რომელიც ჩამოყალიბდა 1986 წელს სამეცნიერო კვლევების ჩატარების აუცილებლობის გამო. კვლევების მიზანი იყო აივ პათოგენების, დაავადების ისტორიის და აივ გადაცემის გზების უფრო დეტალურად შესწავლა, აივ დაკავშირებული კვლევების, მკურნალობის და პრევენციის პროგრამების მხარდაჭერა. იხილეთ ვებ გვერდი: [www.niaid.nih.gov/daids](http://www.niaid.nih.gov/daids).

## **DMP-226 - EFAVIRENZ**

იხილეთ **უზავირენი**.

## **DNA - DEOXYRIBONUCLEIC ACID**

**დნმ** - იხილეთ **დეოქსირიბონუკლეინის მჟავა**.



## DOMAIN

**დომენი** – გენის ან გენური პროდუქტის ნაწილი.

## DOSE – RANGING STUDY

**დოზის განმსაზღვრელი კვლევა** – კლინიკური კვლევა, სადაც წამლის ან სხვა რაიმე აგენტის 2 ან მეტი დოზა არის ადმინისტრირებული, იმისათვის რომ გაირკვეს რომელი დოზა არის უფრო ეფექტური და ნაკლებად საზიანო.

## DOSE – RESPONSE RELATIONSHIP

**დოზის საპასუხო რეაქცია** – წამლის ან სხვა აგენტის დოზის მიმართ ორგანიზმის ფიზიოლოგიური პასუხი. დოზის საპასუხო რეაქციის ეფექტი ნიშნავს, რომ როცა დოზა იზრდება, იზდება ეფექტიც.

## DOUBLE – BLIND STUDY

**ორმაგად ბრმა კვლევა** – კლინიკური კვლევა, რომლის დროსაც არც პაციენტმა და არც მკვლევარმა არ იცის რომელ ჯგუფს ეძლევა გამოსაცდელი პრეპარატი და რომელ ჯგუფს პლაცებო ან უტარდება სხვა სახის თერაპია. ორმაგი ბრმა კვლევა ტარდება ობიექტური შედეგების მისაღებად, იმის გამო, რომ ექიმის და პაციენტის მოლოდინმა ახალ ექსპერიმენტულ პრეპარატზე არ მოახდინოს გავლენა გამოსავალზე. იხილეთ **ბრმა კვლევა**.

## DRUG – DRUG INTERACTION

**ნაწილის ურთიერთქმედება** – წამლის მოქმედების ეფექტი როდესაც მისი დანიშვნა ხდება სხვა წამალთან ერთად. წამლის მოქმედების ან მისი გვერდითი ეფექტი შეიძლება გაძლიერდეს ან შემცირდეს, სხვა წამალთან ან სუბსტანციასთან ურთიერთქმედების დროს. ასევე შესაძლებელია განვითარდეს ისეთი გვერდითი მოვლენები, რომელიც არ არის დამახასიათებელი არც ერთი პრეპარატისათვის.

## DRUG RESISTANCE

**წამლის მიმართ რეზისტენტობა** – დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმის (როგორცაა ბაქტერია, ვირუსი, მიკოპლაზმა) უნარი განიცადოს ადპტაცია და გაიზარდოს, გამრავლდეს მაშინაც კი, როდესაც ხდება მისი საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება. იხილეთ **ჯვარადინი რეზისტენტობა (cross-resistance)**.

## DSMB – DATA SAFETY AND MONITORING BOARD

**მუშს** – იხილეთ **მონაცემთა უსაფრთხოების და მონიტორინგის საბჭო**.

## DYSPLASIA

**დისპლაზია** – ქსოვილის ან ორგანოს პათოლოგიური განვითარება. უჯრედულ დონეზე ხდება უჯრედის ზომამი, ფორმამი პათოლოგიური ცვლილება.

**DYSPNEA**

**ღისპნოე, ქოზინი** – სუნთქვის გაძნელება.

**EFAVIRENZ (DMP-226)**

**ეფავირენზი (სუსტივა, სტოკრინი)** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, არა ნუკლეოზიდური შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლებელი გვერდითი ეფექტები - უძილობა, თავბრუსხვევა, კომპარული სიზმრები, გულისრევა, ღვიძლის ფერმენტების მომატებული აქტივობა, იშვიათად ნამლისმიერი ჰეპატიტი.

**ELISA**

**ივა (იზუნოვარკენატილი ანალიზის მეთოდი)** - მეთოდი, რომელიც გამოიყენება სისხლში ან ნერწყვში აივ ანტისხეულების არსებობის დასადგენად. განმეორებითი ივა დადებითი შედეგი გადამოწმებული (დადასტურებული) უნდა იყოს სხვა სახის უფრო მაღალი ტექნოლოგიური ტესტ სისტემით ან მეთოდით.

**EMPIRICAL**

**ემპირიული** - ექსპერიმენტულ მონაცემებზე და არა თეორიაზე დაფუძნებული.

**EMTRICITABINE (FCT)**

**ემტრიციტაბინი - (ემტრივა)** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები - თავის ტკივილი, ფაღარათი, გულისრევა, გამონაყარი. ემტრიციტაბინზე რეზისტენტული შტამები ასევე რეზისტენტულია 3TC და ddI მიმართ.

**ENCEPHALITIS**

**ენცეფალიტი** - ვირუსის ან სხვა მიკროორგანიზმის მიერ გამოწვეული თავის ტვინის ანთება. სიმპტომები: თავის ტკივილი, ტკივილი კისრის არეში, ტემპერატურის მომატება, გულისრევა, ლებინება და ნერვული სისტემის მხრივ პრობლემები. მძიმედ მიმდინარე დაავადებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ენცეფალიტი.

**ENDEMIC**

**ენდემური** - გარკვეულ ადგილებში ან მოსახლეობის ჯგუფებში გავრცელებული დაავადება.

**ENDOGENOUS**

**ენდოგენური** - ორგანიზმის მიერ გამომუშავებული.

## ENDOSCOPY

**ენდოსკოპია** – ენდოსკოპის საშუალებით ორგანიზმის შიგნით ღრუს (მაგ., ნაწლავის) დათვალიერება. ენდოსკოპისტის გამოიყენება ბოჭკოვან ოპტიკური დრეკადი ხელსაწყოები.

## ENDOTOXIN

**ენდოტოქსინი** – ბაქტერიის უჯრედში არსებული ტოქსინი.

## ENDPOINT

**ბოლო, საბოლოო ნაშთი, გამოსავალი** – კლინიკური კვლევების დროს მონაცემთა კატეგორია, სხვადასხვა სახის გამოსავალთან შესადარებლად.

## END-STAGE DISEASE

**დაავადების ბოლო სტადია** – დაავადების მიმდინარეობის საბოლოო პერიოდი ან ფაზა, რომელიც ლეტალური გამოსავლით მთავრდება.

## ENTERIC

**ნაწლავური** – ნაწლავთან ასოცირებული, ნაწლავთან კავშირში.

## ENTERITIS

**ენტერიტი** – ნაწლავის ანთება.

## ENV

**J63 (ENV)** – აივ-ის ცილის გარსის გენი, რომელიც ხელს უწყობს 2 მთავარი გლიკოპროტეინის (gp120 და gp41) წარმოქმნას, რომელიც ასოცირებულია აივ-1 ვირიონის მემბრანის გარეთა გარსთან.

## ENTRY INHIBITORS

**შეღწევის (შეჭრის) ინჰიბიტორი** – შენაერთი, რომელიც ხელს უშლის აივ და უჯრედის ზედაპირის ურთიერთქმედებას. ამ შენაერთს უნარი აქვს დაბლოკოს ან შეაჩეროს აივ-ის ადამიანის უჯრედების ზედაპირული რეცეპტორებთან (CD4, CCR5, და CXCR4,) შეკავშირება, ან ხელი შეუშალოს აივ-ის უჯრედში შეჭრას.

## ENVELOPE

**გარსი** – აივ-ის გარეთა ნაწილი, გარსი, რომელიც შედგება ცხიმოვანი მოლეკულების 2 შრისაგან – ლიპიდებისგან, რომელიც მიღებული აქვს ადამიანის უჯრედებისგან. ვირუსის გარსში ჩაშენებულია მრავალი უჯრედული პროტეინი, მათ შორის სოკოს ფორმის აივ პროტეინი, რომელიც გარსის ზედაპირზეა გამოსული. თითოეული სოკოს ფორმის პროტეინს აქვს ქუდი, რომელიც შედგება 4 გლიკოპროტეინის მოლეკულისაგან (gp120) და ფეხი, რომელიც შეიცავს გარსში ჩაშენებულ ოთხ gp41 მოლეკულას. ვირუსი ამ პროტეინებს იყენებს სამიზნე უჯრედზე მისამაგრებლად და მის დასაინფიცირებლად.

## ENZYME

**ჟერმენტი** - უჯრედული პროტეინი, რომლის ფორმა საშუალებას იძლევა შეთავსებული ჰქონდეს ერთმანეთთან მიახლოებული რამოდენიმე სხვადასხვა მოლეკულა. ფერმენტებს აქვს საშუალება ენერჯის მინიმალური დანახარჯით და მისივე ცვლილების გარეშე სტიმულირება გაუკეთოს სხვადასხვა ქიმიურ რეაქციებს.

## EOSINOPHIL

**იოზინოფილი** - სისხლის თეთრი უჯრედები, იგივე გრანულოციტები, რომლებსაც გააჩნია მიკროორგანიზმების მონელების უნარი. გრანულოციტები შესაძლებელია შეიფეროს ეოზინის მჟავით და მისი შეღებვა ხდება მიკროსკოპული გამოკვლევის დროს.

## EOSINOPHILIC FOLLICULITIS

**იოზინოფილური ფოლიკულიტი** - თმის ფოლიკულის ირგვლივ ანთებითი რეაქცია, რომელიც ხასიათდება კანზე პატარა მცირე სახის ამობურცულობით ან გამონახარდით (პაპულა), რომლისთვისაც დამახასიათებელია ძლიერი ქა-ვილი. პაპულები შესაძლებელია გაერთიანდეს და წარმოქმნას ლაქა და გამოიწვიოს ეოზინოფილების ფოლიკულების ან-თება. ეოზინოფილური ფოლიკულიტი თითქმის ყოველთვის იჩენს თავს იმ აივ ინფიცირებულ პირებში, რომელთა CD4+ T უჯრედების რაოდენობა 200-ზე დაბლაა. ამის გამო ის შესაძლებელია განხილული იყოს როგორც კანის საფარველის მარკერი აივ ინფექციის გარკვეულ სტადიაზე.

## EPIDEMIC

### აპიდემია -

1. დაავადება, რომელიც სწრაფად ვრცელდება დასახლებულ ადგილებში, სამხედრო დანაყოფებში ან მსგავს კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, ან გარკვეული ასაკის ან სქესის (მაგ. ბავშვები, ან ქალები) ადამიანებში მოცემულ რეგიონში. ეპიდემიის დროს დაავადება შესაძლებელია გადავიდეს ადამიანიდან ადამიანზე ან კონტამინირებული (დაბინძურებული) ნივთიერებებით, როგორიცაა საკვები, წყალი და ა.შ.
2. თემში ან რეგიონში დაავადების ან დაავადებასთან დაკავშირებული ქცევის ან სხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების სწრაფი გავრცელება.

## EPIDEMIOLOGIC SURVEILLANCE

**ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა** - ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან დაავადების მონაცემების უწყვეტი, სისტემატიური შეკრება, ანალიზი და ინტერპრეტაცია. სისხლის ნიმუშების შეგროვება ეპიდემიოლოგიის განხორციელების მიზნით ეწოდება სეროეპიდემიოლოგიას. აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ეროვნული ცენტრი, ფედერალური და ადგილობრივი ჯანდაცვის დეპარტამენტებთან, სხვა ფედერალურ სააგენტოებთან, სისხლის ბანკებთან და სამედიცინო კვლევით ინსტი-

ტუტებთან ახორციელებს აივ სეროპრევალენტობის ეპიდზე-  
დამხედველობის კვლევებს გარკვეულ სუბ პოპულაციებში.  
მსგავსი მონაცემების შეგროვება ხდება საქართველოშიც,  
რომელშიც მონაწილეობას იღებს შიდსის ცენტრი, დაავადებათა  
კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

## **EPIDEMIOLOGY**

**ეპიდემიოლოგია** - მეცნიერება (მედიცინის ერთ-ერთი განაყოფი)  
რომელიც ახორციელებს დაავადებების ინციდენტობის (ავადო-  
ბის), პრევალენტობის (დაავადებიანობის) შესწავლას და აწესებს  
კონტროლს ამ დაავადებების გავრცელებაზე.

## **EPITHELIUM**

**ეპითელიუმი** - სხეულის შიდა და გარეთა ორგანოების სა-  
ფარველი, ასევე სისხლძარღვების, ნაწლავების, გლანდების და  
ორგანოების საფარველი. ეპითელიუმი შედგება უჯრედებისაგან,  
რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია შემაერთებელი ქსო-  
ვილით და განსხვავდება უჯრედების შემადგენლობის და ფენების  
მიხედვით.

## **EPITOPE**

**ანტიგენური დეტერმინანტი** - უნიკალური ფორმის მარკერი,  
რომლითაც დაფარულია ანტიგენის ზედაპირი და ააქტიურებს  
შესაბამისი ანტისხეულის პასუხს. იხილეთ **ანტიგენი (Antigen);**  
**ანტისხეული (Antibodies).**

## **EPSTEIN-BARR VIRUS (EBV)**

**ეპსტაინ ბარის ვირუსი** - ჰერპეს ვირუსი, რომელიც ინვესს ორი  
სახის მონონუკლეოზიდან ერთ-ერთს (მეორე მონონუკლეოზის  
გამომწვევია ციტომეგალოვირუსი). დაავადება კონტაგიოზურია.  
ვირუსი ტროპიზმს განიცდის მოსვენებულ (მთვლემარე)  
მდგომარეობაში მყოფ ლიმფურ კვანძებში და ასოცირებულია  
ბურკიტის ლიმფომასთან და თმინ ლეიკო-პლაკიასთან.

## **ERYTHEMA**

**ერითემა** - კანის ან ლორწოვანი გარსის ანთება ან სინითლე.

## **ERYTHEMA MULTIFORME**

**ექსუდაციური მრავალფორმიანი ერითემა** - ჰიპერენსიტიური  
რეაქციის სახე (გამონაყარი), რომელიც გამოვლინდება მედი-  
კამენტის, ინფექციის, ან სხვადასხვა დაავადების საპასუხოდ.  
ზუსტი გამომწვევი უცნობია. ექსუდაციური მრავალფორმიანი  
ერითემის გამომწვევი 90%-ში ასოცირებულია მარტივ ჰერპესთან  
ან მიკოპლაზმასთან. ძირითადად გამოვლინდება ბავშვებსა და  
ახალგაზრდა ასაკის ადამიანებში. ამ მდგომარეობის მძიმე ფორმას  
სტივენ-ჯონსონის სინდრომი ეწოდება.

## **ERYTHROCYTES**

**ერიტროციტი** - სისხლის წითელი უჯრედი, რომელიც წარმოადგენს ჟანგბადის გადამტანს.

## **ETIOLOGY**

**ეტიოლოგია** - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დაავადების განვითარების მიზეზებს. თეორიული ან კვლევითი მონაცემები დაავადების გამომწვევი ფაქტორის შესახებ.

## **EVIDENCED-BASED:**

**მტკიცებულეპაზუა დაფუძნებული** - კვლევების საფუძველზე დადასტურებული ქცევითი, სოციოლოგიური და სტრუქტურული ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია აივ რისკის შემცირებასთან.

## **EXCLUSION/INCLUSION CRITERIA**

**გამორიცხვის/ჩართულობის კრიტერიუმი** - სამედიცინო ან სოციალური სტანდარტი (კრიტერიუმი), რომლის შედეგადაც პიროვნება შეესაბამება ან არ შეესაბამება (ნება დაერთვება ან უარი ეთქმება) კლინიკურ კვლევაში მონაწილეობაზე. მაგ. ზოგიერთ კლინიკურ კვლევაში არ შეიძლება ჩართულები იყვნენ პირები ღვიძლის ქრონიკული დაავადებით, ან პირები, რომლებსაც აღენიშნებათ ალერგიული რეაქციები სხვადასხვა მედიკამენტებზე, კრიტერიუმი ასევე შეიძლება იყოს სქესი, ასაკი და სხვ.

## **EXOGENOUS**

**ეგზოგენური** - სხეულის გარეთ გამოვლენილი.

## **EXOTOXIN**

**ეგზოტოქსინი** - ბაქტერიის მიერ გამომუშავებული ტოქსიკური ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა ბაქტერიის მიერ.

## **EXPERIMENTAL DRUG**

**ექსპერიმენტული ნაწარმი** - ნაწარმი, რომლებიც აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს მიერ არ არის დაშვებული ადამიანებზე გამოსაყენებლად როგორც სამკურნალო საშუალება.

**FALSE NEGATIVE**

**ცრუ უარყოფითი შედეგი** - ანალიზის უარყოფითი შედეგი, როდესაც პიროვნება დაავადებულია/ინფიცირებულია ინფექციით, რომელზეც ჩაიტარა გამოკვლევა და მიიღო უარყოფითი შედეგი. აივ ინფექციის შემთხვევაში - აივ ინფიცირებული პირის ლაბორატორიული გამოკვლევით მიღებული უარყოფითი შედეგი.

**FALSE POSITIVE**

**ცრუ დადებითი შედეგი** - ანალიზის დადებითი შედეგი, როდესაც პიროვნება არ არის დაავადებული/ინფიცირებული ინფექციით, რომელზეც ჩაიტარა გამოკვლევა და მიიღო დადებითი შედეგი. აივ ინფექციის შემთხვევაში - აივ უარყოფითი პირის ლაბორატორიული გამოკვლევით მიღებული დადებითი შედეგი.

**FTC - EMTRICITABINE**

იხილეთ **ემტრიციტაბინი**.

**FDA - FOOD AND DRUG ADMINISTRATION**

იხილეთ **აშშ ნაფლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტო**.

**FDC - FOLLICULAR DENDRITIC CELLS**

**ფდუ** - იხილეთ **ფოლიკულარული დენდრიტული უჯრედები**.

**FLOATERS**

**ტივტივა** - მხედველობის დროს მხედველობის არეში მუქი ლაქების გაჩენა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ციტომეგალოვირუსული რეტინიტი, ან იყოს ასაკობრივი.

**FOLLICLE**

**ფოლიკულა** - მცირე ანატომიური კისტა, ტომსიკა, ან ღრმა ვინრო ჩაღრმავება (მაგ., თმის ფოლიკულა).

**FOLLICULAR DENDRITIC CELLS (FDCs)**

**ფოლიკულური დენდრიტული უჯრედები (ფდუ)** - ლიმფოიდური ორგანოების ჩანასახოვან ცენტრებში არსებული უჯრედები. ფდუ გააჩნია ძაფისებური ნანაზარდები, რომელიც უცხო აგენტის წინააღმდეგ ქმნის შემოჭავ ქსელს (ხაფანგს) და გადასცემს მას (უცხო ანტიგენს) იმუნური სისტემის სხვა უჯრედებს გასანადგურებლად. იხილეთ **ლიმფოიდური ორგანოები** (lymphoid organs).



## **FOOD AND DRUG ADMINISTRATION (FDA)**

**აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტო** - აშშ ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების დეპარტამენტის სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ყველა წამლის, ვაქცინის, სამედიცინო ერთეულების (იმ დანესებულებების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ აივ დიაგნოზის, მკურნალობის და პროფილაქტიკის, შიდსის და შიდსთან ასოცირებული ოპორტუნისტული ინფექციებზე) უსაფრთხოებასა და ეფექტურობაზე. აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტო სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების შეფასების მიზნით ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს სისხლის ბანკებთან. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.fda.gov>.

## **FOSAMPRENAVIR (GW-433908, VX-175)**

**ფოსამპრენავირი** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი, შესაძლო გვერდითი ეფექტები: გამონაყარი, მადის დაქვეითება, თავის ტკივილი, დაღლილობის შეგრძნება, დიარეა, გულისრევა, ღებინება. შესაძლებელია გამოინვიოს სისხლში ცხიმების (ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების) დონის მომატება, სხეულის ფორმის ცვლილება და დიაბეტი.

## **FUNGUS**

**სოკო** - უმარტივესების წარმომადგენელი, რომელშიც გაერთიანებულია სოკოები, ხავსი და სხვ.

## **FUSION**

**შეერთება, შერწყმა** - იხილეთ **CXCR4**.

## **FUSION INHIBITOR**

**შერწყმის ინჰიბიტორი** - ანტირეტროვირუსული აგენტების კლასი, რომელიც უერთდება აივ-ის gp41 გარსის პროტეინს და ბლოკირებს უკეთებს იმ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ვირუსი შეჭირას მასპინძელ CD4 უჯრედში. როდესაც ვირუსი ვერ აღწევს მასპინძელი უჯრედის მემბრანაში, შესაბამისად ვერ ხერხდება უჯრედის ინფიცირება და აივ რეპლიკაცია.

## **FUSION MECHANISM**

**შერწყმის მექანიზმი** - აივ-ის უჯრედში შეჭრის აუცილებელი მექანიზმია. მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ გარდა ძირითადი რეცეპტორის და CD4 მოლეკულისა, ვირუსის იმუნური სისტემის უჯრედის მემბრანაში შეღწევისათვის აუცილებელია სხვა კოფაქტორების, კერძოდ CCR5 და CXCR4 არსებობა.

**GAG (gag)**

„GAG“ - აივ-ის გენი, რომლის საშუალებითაც ხდება ბირთვის პროტეინის – p55-ის კოდირება. p55 აივ პროტეინების - p17, p24, p7 და p6 პრეკურსორია. იგი წარმოქმნის აივ-ის კაფსიდს, შიდა პროტეინს, რომელიც უნდა შემოესაზღვროს აივ-ის რნმ-ს.

**GAMMA GLOBULIN**

**გამაგლობულინი** - სისხლის შრატში არსებული ერთ-ერთი პროტეინი, რომელიც შეიცავს ანტისხეულებს. მასალის გამოყოფა პასიური იმუნიტეტისათვის (მზა ანტისხეულები) ხდება ადამიანის პლაზმისგან. იხილეთ **გლობულინები** (globulins); **იმუნოგლობულინი G** (immunoglobulin G).

**GAMMA INTERFERON**

**გამა ინტერფერონი** - T უჯრედების მიერ გამოყოფილი ნივთიერება, რომელიც ახდენს ვირუსის გამრავლების სუპრესიას (დათრგუნვას), ააქტიურებს სხვა T უჯრედებს და მაკროფაგებს.

**GANGLION**

**განგლია** - ნერვული ქსოვილების გროვა, რომელიც ძირითადად შედგება ნერვული უჯრედების სხეულებისაგან და განთავსებულია ცენტრალური ნერვული სისტემის გარეთ.

**GART - GENOTYPIC ANTIRETROVIRAL RESISTANCE TEST**

**არბტ** - ანტირეტროვირუსული მედიკამენტებისადმი გენოტიპური რეზისტენტობის ტესტი. იხილეთ **გენოტიპირების ტესტი**.

**GASTROINTESTINAL (GI)**

**კუჭ-ნაწლავის** - დაკავშირებული მუცლის ღრუსა და ნაწლავებთან.

**GENE****გენი** -

1. დნმ-ს ერთეული, რომელიც ინახავს უჯრედში სპეციფიკური პროდუქტის ბიოსინთეზისათვის აუცილებელ ინფორმაციას.
2. ყველაზე მცირე ერთეული, რისი საშუალებითაც ყველა ცოცხალ ორგანიზმში ხდება დამახასიათებელი ნიშან - თვისებების მემკვიდრეობით გადაცემა. გენები ქრომოსომების შემადგენელი ნაწილია, განთავსებულია ქრომოსომების სიგრძეზე. გენში რაიმე ცვლილება იწვევს მუტაციას.

## **GENE THERAPY**

**ბანური თერაპია** - ექსპერიმენტული მკურნალობის ნებისმიერი სახე, სადაც უჯრედულ დონეზე ხდება გენის შეცვლა. ზოგიერთი გენური თერაპიის მიმდევარი ცდილობს გამოიწვიოს ახალი სახის იმუნური აქტივობა, ზოგიერთი ცდილობს შეცვალოს უჯრედის რეზისტენტობა ინფექციის მიმართ, ნაწილი ატარებს ექსპერიმენტებს ახალი ფერმენტების წარმოსაქმნელად, რომლებიც უჯრედის შიგნით დაშლიან ვირუსულ ან კანცეროგენულ გენეტიკურ მასალას.

## **GENETIC ENGINEERING**

**ბანური ინჟინერია** - შედარებით ახალი ტექნიკური მიდგომა, რომლის საშუალებითაც ხდება ორგანიზმის გენეტიკური ინფორმაციის უცხო უჯრედში გადატანა.

## **GENITAL ULCER DISEASE**

**გენიტალური წყლული** - გენიტალური (სასქესო ორგანოების) წყლული ძირითადად გამოწვეულია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით, როგორიცაა ჰერპესი, სიფილისი, და სხვ. გენიტალური წყლულის არსებობა ზრდის სქესობრივი კონტაქტით აივ ინფიცირების რისკს.

## **GENITAL WARTS**

**გენიტალური მუჭაჭი** - იხილეთ **კონდილომა (condyloma)**

## **GENITOURINARY TRACT**

**შარდ-სასქესო სისტემა** - ორგანოები, რომლებიც დაკავშირებულია შარდის წარმოქმნასთან და ორგანოები, რომელიც კავშირშია გამრავლებასთან. სინონიმები - შარდ-სასქესო ტრაქტი, უროგენიტალური სისტემა, უროგენოტალური ტრაქტი.

## **GENOME**

**განომი** - გარკვეული ორგანიზმის თითოეული უჯრედის ქრომოსომაში არსებული გენების სრული კომპლექტი.

## **GENOTYPIC ASSAY**

**გენოტიპირების ტესტი** - ტესტი, რომლის საშუალებითაც ხდება აივ რეზისტენტობის დადგენა იმ ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ, რომლებსაც იღებს პაციენტი. ტესტირების შედეგად ხდება პაციენტის სიხშირე აივ მუტაგენური შტამების აღმოჩენა, რომელიც რეზისტენტულია გარკვეულ ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ. გენოტიპირების ტესტი ასევე ცნობილია როგორც აივ გენეტიკური რეზისტენტობის ტესტი.

## **GERMINAL CENTERS**

**გამრიონალური ცენტრები** - პერიფერიული ლიმფური კვანძების ირგვლივ განლაგებული ფოლიკულები. ემბრიონალური ცენტრები არის ანტისხეულების წარმოქმნის ადგილი და ძირითადად შედგება B უჯრედებისაგან, თუმცა ასევე მოიცავს მცირე რაოდენობის

დენობით T უჯრედებს და მაკროფაგებს. აივ ინფექციის პროგრესირებასთან ერთად ხდება ემბრიონალური ცენტრების თანდათანობითი განლევა.

## **GIARDIASIS**

**ჯიარდიაზი** - წვრილი ნაწლავის გავრცელებული პროტოზოული ინფექცია, რომელიც ვრცელდება დაბინძურებული საკვების, წყლის ან ადამიანიდან ადამიანზე პირდაპირი კონტაქტის საშუალებით.

## **GLOBAL FUND TO FIGHT AIDS, TUBERCULOSIS AND MALARIA**

**შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი** - შეიქმნა 2002 წელს. ორგანიზაცია ახორციელებს ქვეყნების დამატებით ფინანსურ უზრუნველყოფას ზემოთ აღნიშნული 3 დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად. გლობალური ფონდის რეციპიენტებს წარმოადგენენ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები. იხილეთ ვებ გვერდი: [www.theglobalfund.org/en](http://www.theglobalfund.org/en).

## **GLOBULINS**

**გლობულინი** - სისხლის შრატში არსებული მარტივი ცილები (პროტეინები), რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა სახის მოლეკულებს.

## **GLYCOPROTEIN**

**გლიკოპროტეინი** - შეკავშირებული ცილები (პროტეინები), რომლებიც შედგება ცილოვანი და არაცილოვანი ნაწილები-საგან. არაცილოვანი ჯგუფი წარმოდგენილია კარბოჰიდრატებით (იგივე შაქრის მოლეკულა).

## **GONORRHEA**

**გონორეა** - *Neisseria gonorrhoeae*-თი გამოწვეული ინფექციური სქესობრივი გზით გადამდები დაავადება. გარდა სქესობრივი კონტაქტისა გონორეა ასევე შეიძლება გადაეცეს ახალშობილს მშობიარობის დროს.

## **GP41 (gp41)**

**გლიკოპროტეინი 41 (GP41)** - გლიკოპროტეინი 41 არის ცილა, რომელიც განთავსებულია აივ-ის გარე ზედაპირზე და ძირითად როლს თამაშობს აივ-ის CD4+ T უჯრედების მემბრანაში შეჭრისათვის.

## **GP120 (gp120)**

**გლიკოპროტეინი 120 (GP120)** - გლიკოპროტეინი 120, არის ცილა, რომელიც გამოშვებულია აივ-ის ზედაპირზე, და აკავშირებს ვირუსს CD4+ T უჯრედებთან.

## **GP160 (gp160)**

**გლიკოპროტეინი 160 (GP160)** - გლიკოპროტეინი 160, აივ-ის გარსის gp41 და gp120-ის პრეკურსორი ცილა.

## **GRANULOCYTE**

**გრანულოციტი** - სისხლის თეთრი უჯვედების ერთ-ერთი სახე, რომელიც შედგება მცირე გრანულებისაგან და აქვს მიკროორგანიზმების მონელების უნარი. გრანულოციტი მიეკუთვნება იმუნური სისტემის ნაწილს და აქვს მრავალფეროვანი ფუნქციები.

## **GRANULOCYTE-COLONY STIMULATING FACTOR (G-CSF)**

**გრანულოციტების კოლონიის მასტიმულირებელი ფაქტორი (გკმფ)** - ციტოკინები, რომლებიც სტიმულირებას უწევენ გრანულოციტების გამრავლებას. გკმფ ამცირებს (ამსუბუქებს) გარკვეული პრეპარატების გვერდითი ეფექტით გამოწვეულ ნეოტროპენიას.

## **GRANULOCYTE MACROPHAGE-COLONY STIMULATING FACTOR (GM-CSF)**

**მაკროფაგი გრანულოციტების კოლონიის მასტიმულირებელი ფაქტორი (მგკმფ)** - ციტოკინები, რომლებიც ხელს უწყობს გრანულოციტების და მაკროფაგების გამრავლებას. გრანულოციტების კოლონიის მასტიმულირებელი ფაქტორის მსგავსად მაკროფაგი გრანულოციტების კოლონიის მასტიმულირებელი ფაქტორი ამცირებს წამლებით გამოწვეულ ნეოტროპენიას, მაგრამ ნაკლებად სპეციფიკურია და აქვს უფრო მეტი გვერდითი ეფექტი ვიდრე გრანულოციტების კოლონიის მასტიმულირებელ ფაქტორს.

## **GRANULOCYTOPENIA**

**გრანულოციტოპენია** - სისხლში გრანულოციტების ნაკლებობა ან არარსებობა.

**HAART - HIGHLY ACTIVE ANTIRETROVIRAL THERAPY**

**მაართი** - იხილეთ **მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპია**.

**HAIRY LEUKOPLAKIA**

**თიანი ლეიკოპლაკია** - იხილეთ **პირის ღრუს თომვანი ლეიკოპლაკია (oral hairy leukoplakia)**.

**HALF-LIFE**

**ნახევრად დაშლის პერიოდი** - პერიოდი, რომელიც საჭიროა პრეპარატის დოზის ნახევრის ორგანიზმიდან გამოსასვლელად.

**HAM/TSP - HTLV-I ASSOCIATED MYELOPATHY/TROPICAL SPASTIC PARAPARESIS**

**HAM/TSP** - იხილეთ **აღამიანის T უჯრედოვანი ლიმფო-ტროპული ვირუს-1-თან ასოცირებული მიელოპათიურ/ტროპული სპასტიური პარაპარეზი**.

**HCFA – HEALTH CARE FINANCING ADMINISTRATION**

**ჯდფა** - ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ადმინისტრაცია. ამჟამად ცნობილია როგორც მედიქეარი (Medicare) და მედიქეიდი (Medicaid)-ს (ამერიკული ჯანდაცვის დაზღვევის ერთ-ერთი სახე) ცენტრები.

**HCSUS – HIV COST AND SERVICES UTILIZATION STUDY**

**აადუს** - იხილეთ **აივ ასოცირებული დანახარჯები და უტილიზაციის კვლევების სამსახური**.

**HEALTH RESOURCES AND SERVICES ADMINISTRATION (HRSA)**

**აშშ ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო მომსახურების ცენტრი** - აშშ ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების დეპარტამენტის სააგენტო, რომელიც ხელმძღვანელობს ეროვნულ ჯანდაცვით პროგრამებს, და უზრუნველყოფს მოსახელობის, განსაკუთრებით მოწყვლადი და სპეციალური მზრუნველობის საჭიროების პოპულაციის ჯანმრთელობას სამედიცინო მომსახურების ხარისხს, პირველადი დონის სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვით ცენტრებში სამედიცინო პერსონალის მობილიზაციას და მათ ტრენინგს. ჯდსმ ცენტრი ასევე ადმინისტრირებას უკეთებს რეიან უაითის აქტის I, II, III(ბ), IV პუნქტებს, აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებული პირების მკურნალობის უზრუნველყოფას. ჯდსმ ხელმძღვანელობს უნევს ისეთ პროგრამებს, რომელიც უჩვენებს

თუ როგორ არის შესაძლებელი აივ ინფიცირებულებისათვის ჯანმრთელობის დაცვის რესურსების მობილიზება თემის დონეზე, იმისათვის რომ ეს პროგრამები იყოს ინტეგრირებული, ყოვლადმომცველი და ამასთან ერთად გათვალისწინებული იყოს კულტურალური თავისებურებები. ჯდსმ ასევე ორგანიზებას უკეთებს ტრენინგებს აივ ინფიცირებულებთან მომუშავე ჯანდაცვის სოციალურ მუშაკებს. დამატებით ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.hrsa.dhhs.go>.

## HELLP SYNDROME

**ჰემოლიზური ანემიის, გაპლირეპული ღვიძლის ფარინგაზის, თრომბოციტაზის დაბალი მაჩვენებლების ერთობლივა (HELLP სინდრომი)** - იშვიათი, მაგრამ პოტენციურად სიცოცხლისათვის საშიში სინდრომი, რომელიც გამოიხატება ორსულობის მესამე ტრიმესტრში ჰემოლიზით, ღვიძლის ფერმენტების დონის მომატებით, თრომბოციტების რიცხვის შემცირებით. ორსულობის პერიოდში შესაძლებელია განვითარდეს მიტოქონდრიალური ცხიმოვანი მჟავის ჟანგვა. არსებობს გარკვეული მოსაზრება, რომ მიტოქონდრიალური ცხიმოვანი მჟავების ჟანგვა იყოს ამ სინდრომის გამომწვევი. ამ სინდრომის განვითარების მაპროვოცირებელი ფაქტორი ასევე შეიძლება იყოს ზოგიერთი ნუკლეოზიდის ანალოგი.

## HELPER/SUPPRESSOR RATIO (OF T CELLS)

**ჰელპერ/სუპრესორი უჯრედების თანაფარდობა** - T ლიმფოციტების (T უჯრედების) წარმოქმნა ხდება თიმუსში, და წარმოადგენენ იმუნური სისტემის ნაწილს. მათი ნორმიდან გადახრა ძირითადად აღინიშნება აივ ინფიცირებულ პირებში. ჯანმრთელ ადამიანში T ჰელპერების (CD4+ T უჯრედები) შეფარდება T სუპრესორებთან (CD8+ T უჯრედები) უნდა იყოს 2:1-თან. ეს შეფარდება ირღვევა და შესაძლებელია შებრუნებული იყოს შიდასით დააავდებულ პირებში. ამ თანაფარდობის ცვლილება ასევე შესაძლებელია გამონეწული იყოს სხვა მიზიზის გამო.

## HELPER T CELLS

**T ჰელპერები** - ლიმფოციტები, რომლებიც შეიცავენ CD4 მარკერებს და პასუხს აგებენ იმუნური სისტემის მრავალ ფუნქციაზე, ანტისხეულების წარმოქმნის პროცესის „ჩართვის“ და „გამორთვის“ მექანიზმის ჩათვლით.

## HEMATOCRIT

**ჰემატოკრიტი** - ლაბორატორიულად გაზომვადი ერთეული, რომელიც საზღვრავს სისხლის წითელი უჯრედების პროცენტს სისხლის ერთეულში. ქალებში ჰემატოკრიტის ნორმაა 37-47%, ხოლო მამაკაცებში 40-54%.

## HEMATOTOXIC

**ჰემატოტოქსიკური** - სისხლის ან ძვლის ტვინის მომწამვლელი ნივთიერება.

## HEMOGLOBIN

**ჰემოგლობინი** - ჟანგბადის შემცველი სისხლის ნითელი უჯრედები.

## HEMOLYSIS

**ჰემოლიზი** - სისხლის ნითელი უჯრედების პერფორაცია, გახლეჩვა.

## HEMOPHILIA

**ჰემოფილია** - მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც იწვევს სისხლის ნორმალური შედედების დარღვევას. ჰემოფილიით ძირითადად ავადდებიან მამაკაცები. მისი მკურნალობა შესაძლებელია სისხლის შედედების ხელისშემწყობი (სისხლის შემადედეელი) ხელოვნური პრეპარატების სისტემატიური ინექციით. ახალი შემადედეელი რეკომბინანტების დამზადება ხდება ნორმალური სისხლისგან, და თუ ეს პრეპარატი დამზადების პროცესში არ არის თერმულად დამუშავებული, ან წინასწარ ტესტირებული აივ-ზე, შესაძლებელია დააინფიციროს ჰემოფილიით დაავადებული ადამიანი.

## HEPATIC

**ღვიძლისმიერი** - ის რაც გავლენას, ზემოქმედებას ახდენს ღვიძლზე.

## HEPATIC STEATOSIS

**ღვიძლის გაცხიმოვნება, ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფია, ღვიძლის სტეატოზი** - გაცხიმოვნებული ღვიძლი, რომელიც გამონწვეულია ნახშირბადის ტეტრაქლორიდით ინტოქსიკაციით, და/ან სხვა ისეთი ფაქტორების ზემოქმედებით როგორცაა ალკოჰოლი ან ზოგიერთი სამედიცინო პრეპარატი (მაგ. სტეროიდები). ღვიძლის სტეატოზი ასევე შესაძლებელია გამონწვეული იყოს სიმსუქნით, შაქრიანი დიაბეტით, ცისტური ფიბროზით, მთლიანი ორგანიზმის ლიპოდისტროფიით და ორსულობით.

## HEPATITIS

**ჰეპატიტი** - ღვიძლის ანთება. შესაძლებელია გამონწვეული იყოს ბაქტერიით, ვირუსით, პარაზიტით, ალკოჰოლით, წამლებით, ტოქსინებით. მიუხედავად იმისა, რომ ჰეპატიტი ხშირ შემთხვევაში არ იწვევს სერიოზულ გართულებებს, დაავადებამ შესაძლებელია მიიღოს ქრონიკული ხასიათი, რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის სერიოზული დაზიანება ლეტალური გამოსავლით. ვირუსულ ჰეპატიტებს შორის ყველაზე ხშირად არის გავრცელებული შემდეგი სახის ჰეპატიტები:

1. **A ჰეპატიტი** (ბოტკინის დაავადება), რომლის გამომწვევია A ჰეპატიტის ვირუსი (HAV) და გადაეცემა ფეკალურ-ორალური გზით.
2. **B ჰეპატიტი**, გამონწვეული B ჰეპატიტის ვირუსით (HBV). გადაცემის გზა - სისხლისმიერი ან სქესობრივი კონტაქტი.



ამიტომ B ჰეპატიტი უხშირესად გავრცელებულია ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში (ისინი ვინც იყენებენ არასტერილურ ნემსს, შპრიცს, ან ხმარობენ ზიარ ჭურჭელს და სხვა საინექციო მოწყობილობას) და იმ პირებში ვისაც აქვთ ანალური სქესობრივი კავშირი.

3. C ჰეპატიტი, რომელიც ასევე ცნობილია არც A არც B ჰეპატიტის სახელით. გამომწვევია C ჰეპატიტის ვირუსი (HCV), რომლის გადაცემის გზა მსგავსია B ჰეპატიტის გადაცემის გზის.
4. E ჰეპატიტი (A არც B ჰეპატიტის მეორე ტიპი) გამომწვეული E ჰეპატიტის ვირუსით (HEV), რომელიც ძირითადად ვრცელდება დაბინძურებული წყლით.
5. დელტა ჰეპატიტი, რომლის გამომწვევია D ჰეპატიტის ვირუსი (HDV) და რომლითაც შეიძლება დაავადდეს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც ინფიცირებულია B ჰეპატიტის ვირუსით. დელტა ჰეპატიტით უხშირესად დაინფიცირებულნი არიან ჰემოფილიით დაავადებული პირები, ან ის პაციენტები, რომლებსაც ხშირი შეხება აქვთ სისხლთან და სისხლის პროდუქტებთან (ხშირად უტარდებათ სისხლის ან მისი პროდუქტების გადასხმა).

## HEPATITIS C/CO-INFECTION WITH HIV

**აივ და C ჰეპატიტის კო-ინფექცია** - მსოფლიოში აივ ინფიცირებულების დაახლოებით 40% ასევე ინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით. ამის მიზეზი ძირითადად არის ორივე დაავადების გადაცემის ერთნაირი გზა. HCV ღვიძლის ქრონიკული დაავადების ძირითადი მიზეზია. კვლევებით დადგენილია, რომ C ჰეპატიტი აივ ინფიცირებულ პირებში განიცდის უფრო სწრაფ პროგრესირებას არაინფიცირებულ პირებთან შედარებით და უფრო ხშირად იწვევს ღვიძლის ციროზს.

## HEPATOMEGALY

**ჰეპატომეგალია** - ღვიძლის გადიდება.

## HERPES VIRUSES

**ჰერპეს ვირუსები** - ვირუსების ჯგუფი, რომელიც მოიცავს შემდეგ ვირუსებს: პირველი ტიპის მარტივი ჰერპეს ვირუსი (HSV-1), მე-2 ტიპის მარტივი ჰერპეს ვირუსი (HSV-2), ციტომეგალოვირუსი (ცმვ, CMV), ებშტეინ ბარის ვირუსი (ეზვ - EBV), ვარიცელა ზოსტერის ვირუსი (ეზვ, VZV), ადამიანის მე-6 ტიპის ჰერპეს ვირუსი, ადამიანის მე-8 ტიპის ჰერპეს ვირუსი, რომელიც კაპოშის სარკომის გამომწვევია.

## HERPES SIMPLEX VIRUS 1 (HSV-1)

**პირველი ტიპის მარტივი ჰერპეს ვირუსი** - პირველი ტიპის მარტივი ჰერპეს ვირუსით ინფიცირება იწვევს ბუშტუკოვან გამონაყარს ტუჩებზე, თვალის ირგვლივ და შესაძლებელია

გადავიდეს გენიტალურ არეში. სტრესი, ტრამვა, სხვა ინფექციები ან სტრესული ფაქტორები ან იმუნური სისტემის დაკნინებას შეუძლია ორგანიზმში არსებული ლატენტური ვირუსის გააქტიურება და მისი კლინიკური გამოვლენა.

### **HERPES SIMPLEX VIRUS 2 (HSV-2)**

**მე-2 ტიპის მარტივი ჰერპეს ვირუსი** – ვირუსი, რომელიც იწვევს მტკივნეულ გამონაყარს ანუსის მიდამოში ან გენიტალურ არეში. ვირუსი უზშირეს შემთხვევაში ორგანიზმის ნერვულ ქსოვილებშია მიძინებულ მდგომარეობაში და გააქტიურების შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ზემოთ აღწერილი სიმპტომები. მე-2 ტიპის მარტივი ჰერპეს ვირუსი შესაძლებელია გადაეცეს ახალშობილს მშობიარობის მომენტში და გამოიწვიოს სხვადასხვა სახის გართულებები. მე-2 ტიპის მარტივი ჰერპეს ვირუსი სწორწინაღვივის კიბოს წინამორბედაა.

### **HERPES VARICELLA ZOSTER VIRUS (VZV)**

**ჰერპეს ვარცელა ზოსტერის ვირუსი** – ვირუსი, რომელიც ბავშვებში იწვევს ჩუთყვავილას. ჩუთყვავილის გადატანის შემდეგ ვირუსის ორგანიზმიდან სრული ელიმინაცია არ ხერხდება, იგი იმყოფება მიძინებულ მდგომარეობაში და მოზრდილებში შეიძლება გამოიწვიოს ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს ზოსტერი გამოვლინდება კანზე ნერვის გასწვრივ მდებარე მრავალი პატარა მტკივნეული გამონაყარით.

### **HETEROSEXUAL**

**ჰეტეროსექსუალური** – პირი, რომელსაც სქესობრივი კონტაქტი აქვს მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის ადამინთან.

### **HETEROSEXUAL CONTACT**

**ჰეტეროსექსუალური კონტაქტი** – სქესობრივი კონტაქტი საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს შორის.

### **HIGH-RISK BEHAVIOR**

**მაღალი რისკის ქცევა** – მაღალი პრევალენტობის ქვეყნებში ან ნებისმიერ გარემოცვაში/ადგილზე ჩატარებული სარისკო ქცევა, რომელიც იწვევს ინდივიდის აივ-ით ან სხვა სგგი-თ ინფიცირებას.

### **HIGHLY ACTIVE ANTIRETROVIRAL THERAPY (HAART)**

**მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპია** – ეს ტერმინი შემოღებული იქნა აივ ექსპერტების მიერ, იმ მკურნალობის რეჟიმის აღსაწერად, რომელიც გამოიყენება აივ-ის გამრავლების და შიდსის პროგრესირების დასაბრუნებლად. მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპია ძრითადად წარმოდგენილია 3 ან მეტი პრეპარატის კომბინაციისაგან, საიდანაც 2 პრეპარატი ნუკლეოზიდის შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი და დანარჩენი (ერთი ან მეტი) პროტეაზას ინჰიბიტორია, ან 2 ნუკლეოზიდის შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი კომბინაციაში გამოიყენება არანუკლეოზიდ შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორთან ერთად. შესაძლებელია სხვა

სახის კომბინაციებიც. პაციენტებზე მკურნალობის ასეთი რეჟიმის ადმინისტრირების შედეგი უხშირეს შემთხვევაში სისხლში ვირუსული კონცენტრაციის მაქსიმალური შემცირება, მისი პერიფერიულ სისხლში განუსაზღვრელ რაოდენობამდე დაყვანაა.

## **HISTOCOMPATIBILITY TESTING**

**ტესტი ქსოვილოვან შეთავსებაზე** – მეთოდი, რომლის დროსაც ხდება რეციპიენტის ანტიგენების დონორის ტრანსპლანტანტის ქსოვილთან (ტრანსპლანტაციისათვის გამოსაყენებელ ქსოვილთან) შეთავსების დადგენა. რაც უფრო მაღალია შეთავსება, მით უფრო მაღალია ტრანსპლანტანტის მიმღებლობის ალბათობა. იხილეთ **აღამიანის ლეიკოციტარული ანტიგენი** (human leucocyte antigens).

## **HISTOPLASMOSIS**

**ჰისტოპლაზმოზი** – სოკოვანი ინფექცია, გამონეული სოკო *Histoplasma capsulatum*-ით, რომელიც ძირითადად აზიანებს ფილტვებს. დაავადების გამომწვევი აღმოჩენილია ჩიტების და/ან ღამურების ექსკრემენტებში. გავრცელება ხდება სოკოს სპორების შესუნთქვით. სპორების მოხვედრა შიდათ დაავადებულ და/ან სხვა იმუნოკომპრომენტირებულ პირებში ინვესს პროგრესირებულ დისემინირებულ ჰისტოპლაზმოზს, რომელიც ხასიათდება მძიმე მიმდინარეობით. მსოფლიოში შიდათ დაავადებული პაციენტების 5% ავადდება ჰისტოპლაზმოზით, მაგრამ ენდემურ რეგიონებში (სადაც სოკო გეოგრაფიულად ფართოდ არის გავრცელებული) აივ ინფიცირებულები დისემინირებული ჰისტოპლაზმოზის განვითარების ბევრად უფრო მაღალი რისკია.

## **HIV-1 – HUMAN IMMUNODEFICIENCY VIRUS TYPE 1**

**აივ 1** – იხილეთ **აღამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი ტიპი 1**.

## **HIV-2 – HUMAN IMMUNODEFICIENCY VIRUS TYPE 2**

**აივ 2** – იხილეთ **აღამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი ტიპი 2**.

## **HIV – ASSOCIATED DEMENTIA**

**აივ ასოცირებული დემენცია** – იხილეთ **ჰილსის დემენციის კომალქსი**.

## **HIV DISEASE**

**აივ დაავადება** – აივ ინფიცირების საწყისი ეტაპის დროს, როდესაც ვირუსი შეიჭრება და დაზიანებს T უჯრედებს, პირველი ადგილი, სადაც იწყება ვირუსის მასიური გამრავლება არის ლიმფური ქსოვილი. ეს ინვესს მასიურ ვირემიას, ვირუსის ლიმფოიდურ ორგანოებში ფართო გავრცელებას. ამ დროს ორგანიზმის იმუნური პასუხი აივ-ს გამრავლების დასადრგუნად მხოლოდ ნაწილობრივია ეფექტური. ამ ეტაპზე სისხლში აღინიშნება ვირუსების მაღალი კონცენტრაცია, რომელიც თავის მხრივ ინვესს იმუნური სისტემის მოშლას. აივ დაავადებისათვის დამახასიათებელია იმუნური სისტემის ფუნქციონირების თანდათანობითი გაუარესება. დაავადების მიმდინარეობის პერიოდში

CD4+ T უჯრედები, რომლებიც იმუნური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უჯრედებია, ხდებიან უუნაროები და მათი კვდომის გამო ხდება ამ უჯრედების რიცხვის შემცირება. იხილეთ **შაქანილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (AIDS); აივ ტიპი 1 (HIV 1).**

#### **HIV POST TEST COUNSELING**

**აივ ტესტის შემდგომი კონსულტაცია** - კონსულტაცია, რომელიც ტარდება აივ-ზე ტესტირების შემდეგ ტესტირების პასუხების მისაწოდებლად და შემდგომი ღონისძიებების დასაწერად. ტესტირების შედეგების მიხედვით გამოიყოფა 2 სახის კონსულტაცია: ტესტის შემდგომი კონსულტაცია აივ დადებითი პირებისათვის და ტესტის შემდგომი კონსულტაცია აივ უარყოფითი პირებისათვის.

#### **HIV PRE TEST COUNSELING**

**აივ ტესტის წინა კონსულტაცია** - აივ ტესტირებამდე კონსულტანტის მიერ პაციენტისათვის ჩატარებული გასაუბრება, სადაც ხდება პაციენტისათვის აივ ინფექცია/შიდსზე ინფორმაციის მინოდება, პაციენტის სარისკო ქცევების/ფაქტორების დადგენა და დახმარება აივ-ზე ტესტირების გადაწყვეტილების მისაღებად.

#### **HIV PREVENTION COUNSELING**

**აივ პრევენციის მიზნით ჩატარებული კონსულტაცია** - პაციენტსა და კონსულტანტს შორის ინტერაქტიული პროცესი, რომელიც მიმართულია აივ დაინფიცირების თავალსაზრისით მაღალი რისკის ქცევის (მაგ. დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, ზიარი შპრიცის გამოყენება და სხვ) შესამცირების მიზნით კონკრეტული და მისაღები გზების დასადგენად.

#### **HIV-RELATED TUBERCULOSIS**

**აივ ასოცირებული ტუბერკულოზი** - იხილეთ **ტუბერკულოზი**.

#### **HIV SET POINT**

**აივ ვირუსული პლატო** - ვირუსის რეპლიკაციის მაჩვენებელი, რომელიც სტაბილიზირდება და რჩება გარკვეულ სიდიდეზე თითოეულ ინდივიდში პირველადი ინფექციის შემდეგ.

#### **HIV VACCINE TRIALS NETWORK (HVTN)**

**აივ ვაქცინაციის კვლევის ქსელი** - ჩამოყალიბდა 1999 წელს აშშ ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ნაციონალური ინსტიტუტის მიერ. მისი მისიაა აივ პრევენციული ვაქცინების შემუშავება და გლობალური ქსელის მიერ მისი გამოცდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.hvtn.org>

#### **HIV VIRAL LOAD**

**აივ ვირუსული დატვირთვა** - იხილეთ **ვირუსული დატვირთვის ტესტი** (viral load test).

## HLA – HUMAN LEUKOCYTE ANTIGENS

**ალა** – იხილეთ **აღამიანის ლეიკოციტური ანტიგენი**.

## HODGKIN'S DISEASE

**ჰოჯკინის ლიმფომა** – ლიმფური სისტემის პროგრესული ავთვისებიანი სიმსივნე. სიმპტომები: ლიმფადენოპათია, წონაში კლება, სისუსტე, ცხელება, ქავილი, ანემია და ოფლიანობა ღამის საათებში. მკურნალობა – რადიაციული და ქიმიოთერაპია. იხილეთ **ლიმფომა (lymphoma)**.

## HOMOLOGOUS

**ჰომოგენური** – შემადგენლობით, წარმოშობით, თვისებებით ერთგვარი. იმუნოლოგიასთან კავშირში – ერთი სახეობის ჯგუფის-გან მიღებული ქსოვილი ან შრატი.

## HOMOSEXUAL CONTACT

**ჰომოსექსუალური კონტაქტი** – სქესობრივი კონტაქტი ერთი სქესის პირებს შორის (მამაკაცებს ან ქალებს შორის).

## HORMONE

**ჰორმონი** – აქტიური ქიმიური ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ორგანიზმის გარკვეულ ორგანოებში (შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში) და მონაწილეობს ორგანიზმის ფუნქციონირების რეგულაციაში. ჰორმონები სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვედრის შედეგად გადადიან ორგანიზმის სხვა ნაწილებში, სადაც ასტიმულირებენ ან თრგუნავენ უჯრედების და ქსოვილების აქტივობას. იხილეთ **ჰიპოფიზი (pituitary gland)**.

## HOST

**მასპინძალი** – მცენარე ან ცხოველი, ან სხვა ორგანიზმი, რომელიც გამოიყენება სხვა ორგანიზმის/უჯრედების განვითარებისა და გამრავლებისათვის.

## HOST FACTORS

**მასპინძალი ფაქტორი** – აივ-ის ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელი ორგანიზმის პოტენციური ფაქტორი (CD8+ T უჯრედების ჩათვლით), რომლის კონტროლი შესაძლებელია უფრო ეფექტური იყოს ვიდრე ანტირეტროვირუსული პრეპარატების გამოყენება.

## HPV – HUMAN PAPILOMA VIRUS

**აპვ** – იხილეთ **აღამიანის პაპილომა ვირუსი**.

## HTLV-I – Human T Cell Lymphotropic Virus Type I.

**HTLV-I** – იხილეთ **აღამიანის T უჯრედების ლიმფოტროპული I ტიპის ვირუსი**.

## HTLV-II – Human T Cell Lymphotropic Virus Type II.

**HTLV-II** – იხილეთ **აღამიანის T უჯრედების ლიმფოტროპული II ტიპის ვირუსი**.

## **HTLV-I ASSOCIATED MYELOPATHY/TROPICAL SPASTIC PARAPARESIS (HAM/TSP)**

**აღამიანის T უჯრედების ლიმფოტროპული I ტიპის ვირუს ასოცირებული მიელოპათია/ტროპული სპასტიური პარაპარეზი** - ქრონიკული დეგენერაციული ნევროლოგიური დაავადება, რომელიც იწვევს ზურგის ტვინის დემენციას. გამომწვევი მიზეზი - აღამიანის T უჯრედების ლიმფოტროპული I ტიპის ვირუსი. დაავადება გამოხატულია ჰიპერრეფლექსიით, ქვედა კიდურების სისუსტით და სპასტიურობით. დაავადება ასევე აჩქარებს პათოლოგიური პროცესების წარმოქმნას ნაღვლის ბუშტის და სპინქტერის მიდამოში. პაციენტებს ხშირად აღენიშნებათ სიარულის გაძნელება.

## **HUMAN GROWTH HORMONE (HGH)**

**აღამიანის ზრდის ჰორმონი** - ჰიპოფიზის ჯირკვლის წინა ნიღში გამომუშავებული პეპტიდური ჰორმონი, რომელიც ცილების ფორმირების სტიმულაციით აკონტროლებს ქსოვილების ზრდას. სეროსიტინი - ეს არის გენეტიკურად შექმნილი ამ ჰორმონის რეკომბინანტი, რომელიც აპრობირებული და ნებადართულია აივ განლევის სინდრომის სამკურნალოდ აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს მიერ.

## **HUMAN IMMUNODEFICIENCY VIRUS TYPE 1 (HIV-1)**

**აღამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი 1 ტიპი (აივ 1)** - რეტროვირუსი, რომელიც შიდსის გამომწვევი აგენტია. აივ 1 კლასიფიცირებულია როგორც რნმ-ის შემცველი ვირუსი, ლენტვირუსების გვარის წარმომადგენელი. 2. ისევე როგორც სხვა რეტროვირუსები, აივ 1 შეიცავს რნმ-ს, და მისი რნმ-ს საშუალებით მასპინძელ ორგანიზმში ახდენს საკუთრივ დნმ-ს სინთეზის (შებრუნებითი ტრანსკრიპტაზა). ამის შედეგად მასპინძელი უჯრედი კარგავს თავის ფუნქციებს და ხდება ვირუსის გამრავლების საწარმო. იხილეთ **რეტროვირუსი** (retrovirus); **ლენტვირუსი** (lentivirus).

## **HUMAN IMMUNODEFICIENCY VIRUS TYPE 2 (HIV-2)**

**აღამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის 2-ე ტიპი (აივ 2)** - ვირუსი, რომელიც ძალიან ჰგავს აივ-1-ს და ასევე არის შიდსის გამომწვევი აგენტი. პირველად აღმოჩენილი იქნა დასავლეთ აფრიკაში. მიუხედავად იმისა რომ აივ 1 და აივ-2 მსგავსნი არიან ვირუსის აგებულების, გადაცემის გზების და ოპორტუნისტული ინფექციების განვითარების მიხედვით, ერთმანეთსგან განსხვავდებიან გეოგრაფიული გავრცელებით.

## **HUMAN LEUKOCYTE ANTIGENS (HLA)**

**აღამიანის ლეიკოციტარული ანტიგენი** - უჯრედის ზედაპირის მარკერული მოლეკულა, რომელიც ამოიცნობს უჯრედს როგორც „საკუთარს“ და იცავს მას იმუნური სისტემის შეტევისა და განადგურებისაგან.

## **HUMAN PAPILLOMA VIRUS (HPV)**

**ადამიანის პაპილომა ვირუსი** – ვირუსი, რომელიც გადაეცემა სქესობრივი კონტაქტით, ინვესს საშვილოსნოს ყელში წყლულების განვითარებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საშვილოსნოს ყელის დისპლაზიისა და კიბოს განვითარებაში. აივ ინფიცირებულ ქალებში პაპილომა ვირუსით დაინფიცირების ალბათობა აღემატება ჯანმრთელი ადამიანების დაინფიცირების ალბათობას. ვირუსით ინფიცირების ალბათობა იზრდება CD4 უჯრედების რაოდენობის შემცირებასთან და აივ ვირუსული დატვირთვის მატებასთან ერთად. პაპილომა ვირუსით გამონვეული ინფექციის სამკურნალოდ რაიმე სპეციალური სამკურნალო საშუალება არ არსებობს. ძნელად სამკურნალო ან რეციდიული გენიტალური წყლულების სამკურნალოდ გამოიყენება ინტერფერონი. კრიოთერაპიით, ლაზერით მკურნალობით ან ქირურგიული ჩარევით შესაძლებელია გენიტალური წყლულების მოცილება.

## **HUMAN T CELL LYMPHOTROPIC VIRUS TYPE I (HTLVI)**

**ადამიანის T უჯრედის ლიმფოტროპული I ტიპის ვირუსი (HTLVI)** – როგორც პირველი, ასევე მეორე ტიპის ლიმფოტროპული ვირუსები მიეკუთვნება რეტროვირუსებს, შეიცავენ 1 სპირალიან რნმ-ს და გენომს, რომელიც ხელს უწყობს რნმ-დან დნმ-ს სინთეზს. ეს უნიკალური სასიცოცხლო ციკლი ხორციელდება ვირუსული კოდირებული ფერმენტის – შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას მეშვეობით, როდესაც ვირუსი თავისი ერთსპირალიანი რნმ-ის საშუალებით აწყობს 2 სპირალიანი დნმ-ის პროვირუსს. შემდეგ ეს პროვირუსი ინტეგრირდება მასპინძელ უჯრედის გენომში. HTLVI ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს T უჯრედების ლეიკემია, T უჯრედების ლიმფომები და T უჯრედების ლიმფოტროპული I ტიპის ვირუს ასოცირებული მიელოპათია/ტროპული სპასტიური პარაპარეზი.

## **HUMAN T CELL LYMPHOTROPIC VIRUS TYPE II (HTLVII)**

**ადამიანის T უჯრედის ლიმფოტროპული II ტიპის ვირუსი (HTLVII)** – ვირუსი, რომელიც HTLVI-ს მსგავსია. HTLVI და HTLVII-ის გენომის 60% იდენტურია. ძირითადად აღმოჩენილია ნარკოტიკების ინტრავენურ მომხმარებლებში. ასევე აღმოჩენილია ამერიკის ძირეულ მოსახლეობაში (ინდიელები, ესკიმოსები), კარიბის და სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ტომებში. HTLVII რაიმე კონკრეტული დაავადების გამომწვევად არ არის იდენტიფიცირებული, მაგრამ ეს ვირუსი ასოცირებულია სხვადასხვა მიელოპათიურ/ტროპული სპასტიური პარაპარეზის მსგავსი ნევროლოგიურ დაავადებებთან.

## **HUMORAL IMMUNITY**

**ჰუმორული იმუნიტატი** – იმუნიტეტის სახე, რომელიც დამყარებულია ანტისხეულების არსებობაზე. იხილეთ **უჯრედ-განვირობადი იმუნიტატი** (cell-mediated immunity).

## HYDROXYUREA

**ჰიდროქსიურა** - პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ნამ-გლისებური უჯრედების ანემიის და ლეიკემიის ზოგიერთი სახეობის სამკურნალოდ. ასევე გამოიყენება აივ ინფიცირებულებში როგორც ექსპერიმენტული პრეპარატი. მისი, როგორც აივ სამკურნალო პრეპარატად გამოყენების უსაფრთხოება და ეფექტურობა არ არის დადგენილი, ამიტომ კლინიკისტები ფრთხილად უნდა მოეკიდონ ამ პრეპარატის დანიშვნას. წამალს არ გააჩნია პირდაპირი ანტირეტროვირუსული მოქმედება, მას შეუძლია უჯრედოვანი ფერმენტის რიბონუკლეოზიდური რედუქტაზის დათრგუნვა (ინჰიბირება), რაც თავის მხრივ ხელს უწყობს უჯრედის შიგნით დეზოქსინუკლეოზიდის ტრიფოსფატის დონის შემცირებას. ეს უკანასკნელი კი (დეზოქსინუკლეოზიდის ტრიფოსფატაზა) აუცილებელი ფაქტორია დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) სინთეზისათვის. უახლესი ინფორმაცია ამ პრეპარატის აივ სამკურნალოდ გამოსაყენებლად შესაძლებელია იხილოთ ვებ გვერდზე: <http://www.hivatis.org/> "Guidelines for the Use of Ntiretroviral Agents in HIV-Infected Adults and Adolescents" („გაიდლაინი - ანტირეტროვირუსული პრეპარატების გამოყენება აივ ინფიცირებულ მოზარდი-ლბებსა და მოზარდებში“).

## HYPERGAMMAGLOBULINEMIA

**ჰიპერგამაგლობულინემია** - სისხლში გამაგლობულინის რაოდენობის მომატება. დამახასიათებელია აივ ინფექციისათვის.

## HYPERGLYCEMIA

**ჰიპერგლიკემია** - მოცირკულირე სისხლში გლუკოზის (შაქრის) დონის მკვეთრი მატება, განსაკუთრებით ხშირია პაციენტებში შაქრიანი დიაბეტით. პაციენტები, რომლებიც იღებენ პროტეაზას ინჰიბიტორებს აღწერილია ჰიპერგლიკემია, დიაბეტური კეტოაციდოზი და არსებული შაქრიანი დიაბეტის გამწვავება.

## HYPERLIPIDEMIA

**ჰიპერლიპიდემია, ჰიპერლიპემია** - სისხლში ტრიგლიცერიდების და ქოლესტერინის დონის მატება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პანკრეატიტი და/ან კარდიოვასკულარული დაავადება. აივ ინფიცირებულებში ჰიპერგლიკემია შესაძლებელია გამოწვეული იყოს მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის შედეგად. კლინიკურ კვლევებში ყველა პროტეაზას ინჰიბიტორი იწვევს ჰიპერლიპიდემიას.

## HYPERPLASIA

**ჰიპერპლაზია** - ორგანოს/ორგანოს ნაწილის არანორმალური ზრდა.



## **HYPERTHERMIA**

### **ჰიპერთერმია -**

1. სხეულის ტემპერატურის მომატება სითბოს წარმოქმნის გაძლიერების და ამავდროულად სითბოს გაცემის გაძნელების შედეგად.
2. დაუმტკიცებელი და სახიფათო ექსპერიმენტი, რომელიც დაკავშირებულია პაციენტის სხეულის ტემპერატურის 42°C გათბობასთან. თეორიულად ეს ტემპერატურა კლავს თავისუფალ აივ-ს და აივ შემცველ უჯრედებს. ჰიპერთერმიის ერთ-ერთი მეთოდი ორგანიზმის გარეთ პაციენტის სისხლის გაცხელება და შემდეგ მისი ორგანიზმში შეყვანაა. ასეთ მეთოდს მთლიანი სისხლის ექსტრაკორპორალური (პაციენტის ორგანიზმის გარეთ) ჰიპერთერმია ეწოდება.

## **HYPOGAMMAGLOBULINEMIA**

**ჰიპოგამაგლობულინემია** - იმუნოგლობულინების ნორმაზე მკვეთრად დაბალი მაჩვენებელი. იხილეთ **ანტიხსეულაზი** (antibodies).

## **HYPOGODADISM**


**ჰიპოგოდადიზმი** - საკვერცხის ან სათესლის მიერ სეკრეტორული ფუნქციის დაქვეითება. კვლევებმა უჩვენეს, რომ აივ ინფიცირებულების 27% და შიდსით დაავადებული პაციენტების 45% აღენიშნებათ ტესტოსტერონის დონის დაქვეითება. მამაკაცებისათვის, რომლებსაც ტესტოსტერონის დონე ნორმაზე დაბალი ან ნორმის ქვედა ზღვარზე აქვთ, რეკომენდირებულია ჩანაცვლებითი თერაპია. ტესტოსტერონი ანაბოლიტური სტეროიდია, რომელსაც შეუძლია ნიტროგენის (აზოტის) ბალანსის აღდგენა, რაც განლევის სინდრომის მქონე პაციენტებში სხეულის მასის მატებასთანაა დაკავშირებული.

## **HYPOTHESIS**

**ჰიპოთეზა** - მოსაზრება, რომელიც გამოიყენება კვლევებში რაიმე მიზეზის, არგუმენტის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად.

## **HYPOXIA**

**ჰიპოქსია** - ქსოვილში ჟანგბადის დონის ნაკლებობა.



## **IDIOPATHIC**

**იდიოპათური** - უმიზეზო, გარკვეულ მიზეზთან დაუკავშირებელი. მაგ., დაავადება, რომლის გამომწვევი მიზეზი უცნობია.

## **IDIOPATHIC THROMBOCYTOPENIA PURPURA (ITP)**

**იდიოპათური ტრომბოციტოპენიური პურპურა** - იხილეთ **იმუნური თრომბოციტოპენიური პურპურა** (immune thrombocytopenic purpura).

## **IDU – INJECTION DRUG USER**

**ნიმ** - იხილეთ **ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი**.

## **ILO – INTERNATIONAL LABOR ORGANIZATION**

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (საერთაშორისო შრომითი ორგანიზაცია)** - აივ ინფექციასთან კავშირში - ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს სახელმწიფოს, დამკირავებლების და დაქირავებულების აივ ინფექცია/შიდსთან წინააღმდეგ ბრძოლის მობილიზაციის, სამუშაო ადგილებზე აივ ინფექციის პრევენციის და აივ ინფიცირებულების მხარდაჭერის მიზნით. მისი ფუნქციაა ჩამოაყალიბოს და გაავრცელოს საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც დაიცავს მომუშავე პირების უფლებებს (მათ შორის აივ ინფიცირებულების). საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის მიერ შექმნილია ე.წ. „აივ ინფექცია/შიდსის პრაქტიკის კოდი“, რომელშიც ასახულია პრინციპები და ნორმატიული დოკუმენტები როგორც სექტორალურ, ისე ეროვნულ დონეზე და წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს სამუშაო ადგილებზე აივ პრევენციის, მოვლის და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებისათვის.

## **IMMUNE COMPLEX**

**იმუნური კომპლექსი** - ანტიგენისა და ანტისხეულების შეერთებით წარმოქმნილი კომპლექსი.

## **IMMUNE DEFICIENCY**

**იმუნოდეფიციენტი** - იმუნური სისტემის ნაწილის ფუნქციონირების დაქვეითება, რაც იწვევს გარკვეული დაავადებების მიმდებლობის გაზრდას.

## **IMMUNE RESPONSE**

**იმუნური პასუხი** - უცხო ნივთიერებების (სხეულების) საწინააღმდეგოდ მიმართული იმუნური სისტემის პასუხი.

## IMMUNE SYSTEM

**იმუნური სისტემა** - ორგანიზმის რთული, ბიოლოგიური დამცველობითი სისტემა, მიმართული უცხო აგენტების (მაგ. მიკრობები, ვირუსები) საწინააღმდეგოდ. არსებობს იმუნური სისტემის 2 სახის პასუხი: თანდაყოლილი და შეძენილი. თანდაყოლილი იმუნური პასუხის დროს იმუნური სისტემა ძალიან სწრაფად ახდენს პასუხს გარკვეულ პათოგენზე (უცხო აგენტზე) და არ არის დამოკიდებული პათოგენის სპეციფიკური ცილების (პროტეინების) ან ანტიგენების ამოცნობაზე. თანდაყოლილი იმუნური პასუხი ხორციელდება დანამატების, მაკროფაგების, დენდრიტული უჯრედების და გრანულოციტების მეშვეობით.

შეძენილი იმუნური პასუხი მოქმედებს იწყებს მას შემდეგ, რაც დენდრიტული უჯრედები და მაკროფაგები გადასცემენ ინფორმაციას ლიმფოციტებს ანტიგენის შესახებ. ლიმფოციტები გენეტიკურად დაპროგრამებული არიან ამოიცნონ უცხო სხეულის ამინომჟავების თანამიმდევრობა. საბოლოო შედეგი დამოკიდებულია ანტისხეულების წარმოქმნელი B უჯრედების და ციტოტოქსიკური T ლიმფოციტების კლონურ პოპულაციებზე, რომლებიც რეაგირებას ახდენენ თითოეული სახის პათოგენზე (გამომწვევზე).

## IMMUNE THROMBOCYTOPENIC PURPURA (ITP)

**იმუნური თრომბოციტოპენიური პურპურა (ითპ)** - იგივე იდიოპათური თრომბოციტოპენიური პურპურა. მდგომარეობა, როდესაც ორგანიზმი წარმოქმნის ანტისხეულებს სისხლის შედედების ფაქტორზე მოქმედი უჯრედების - თრომბოციტების წინააღმდეგ. ითპ ხშირია აივ ინფიცირებულებში.

## IMMUNITY

**იმუნიტატი** - გარკვეული დაავადების მიმართ ბუნებრივი ან შეძენილი რეზისტენტობა. ორგანიზმის ინფექციური და არა-ინფექციური, ორგანიზმისათვის უცხო აგენტების შელწევის მიმართ განვითარებული დაცვის უნარი. იმუნიტეტი შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი. თანდაყოლილი იმუნიტეტი გადაეცემა მემკვიდრეობით. შეძენილი იმუნიტეტი შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური და ვითარდება დაავადების გადატანის ან ვაქცინაციის შედეგად. იმუნიტეტი შეიძლება იყოს მყარი ან დროებითი, ნაწილობრივი ან სრული.

## IMMUNIZATION

**იმუნიზაცია** - აცრა, რომელიც მიმართულია ინფექციური დაავადების პროფილაქტიკისათვის. ვაქცინაციისათვის ძირითადად გამოიყენება დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმისგან შემუშავებული ატენუირებული (დასუსტებული) ან მკვდარი ვაქცინა. აქტიური იმუნიზაციის დროს გამოიყენება ცოცხალი ატენუირებული ვაქცინა, იმისათვის რომ ორგანიზმმა თვითონ გამოიმუშავოს ანტისხეულები ამ დაავადების მიმართ. პასიური იმუნიზაციის დროს ორგანიზმში შეჰყავთ უკვე გამზადებული (ხელოვნურად შექმნილი ან სხვა ორგანიზმის მიერ

გამომუშავებული) ანტისხეულები. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვაქცინირებულია ისეთი დაავადებების საწინააღმდეგოდ როგორცაა წითელა, წითურა, ჩუთყვავილა, მათში ამ დაავადების განვითარება ძალიან იშვიათია.

### **IMMUNOCOMPETENT**

**იმუნოკომპეტენტური** - 1. უნარი წარმოქმნას იმუნური პასუხი.  
2. ნორმალური იმუნური სისტემის მქონე.

### **IMMUNOCOMPROMISED**

**იმუნოკომპრომენტირებული** - იმუნური სისტემა, რომელსაც დაქვეითებული აქვს უნარი ებრძოლოს ინფექციებსა და კარცნოგენებს.

### **IMMUNODEFICIENCY**

**იმუნოდეფიციენტი** - იმუნოკომპეტენტურობის მოშლა, როდესაც იმუნური სისტემის ნაწილი არ ფუნქციონირებს. ეს მდგომარეობა ზრდის გარკვეული დაავადებების მიერ მიმღებლობის ალბათობას. იმუნოდეფიციენტი შეიძლება გამოწვეული იყოს აივ ინფექციით.

### **IMMUNOGEN**

**იმუნოგენური** - სუბსტანცია, ნივთიერება, რომელსაც ასევე ანტიგენს უწოდებენ, და რომელსაც უნარი აქვს გაააქტიუროს იმუნური პასუხი.

### **IMMUNOGENICITY**

**იმუნოგენურობა** - ანტიგენის ან ვაქცინის უნარი გაააქტიუროს იმუნური პასუხი.

### **IMMUNOGLOBULIN (IG)**

**იმუნოგლობულინი** - ასევე ეწოდება შრატის იმუნოგლობულინი. პროტეინების (ცილების) კლასი, რომელის ცნობილია ანტისხეულების სახელით და წარმოიქმნება იმუნური სისტემის B უჯრედებში სპეციფიკურ ანტიგენებზე საპასუხოდ. ცნობილია იმუნოგლობულინების 5 კლასი: IgA, IgD, IgE, IgG, და IgM.

### **IMMUNOGLOBULIN A (IgA)**

**იმუნოგლობულინი A** - ანტისხეულების კლასი, ხშირად დიმერად (2 ანტისხეულის მოლეკულა, რომლებიც ერთმანეთზე ბოლოებითაა შეერთებული) ფორმირებული, რომლის სეკრეცია ხდება ნენწყვილში. IgA იცავს პირის ღრუს მუკოზურ ზედაპირს ინფექციებისაგან.

### **IMMUNOGLOBULIN D (IgD)**

**იმუნოგლობულინი D** - ანტისხეულების კლასი, რომელიც დაბალი კონცენტრაციითაა შრატში. IgD ზრდასრული B უჯრედების ანტიგენური რეცეპტორია.

## **IMMUNOGLOBULIN E (IgE)**

**იმუნოგლობულინი E** - IgE ანტისხეულების კლასის წარმომადგენელია, რომელიც ჩართულია ანტიპარაზიტიული იმუნიტეტის და ალერგიული რეაქციების განვითარებაში.

## **IMMUNOGLOBULIN G (IgG)**

**იმუნოგლობულინი G** - იგივე გამაგლობულინი G. IgG - ანტისხეულების კლასი, რომელიც შედგება 2 იდენტური მსუბუქი და 2 იდენტური მძიმე პოლიპეპტიდური ჯაჭვისაგან. IgG ანტიგენთან შეერთების შედეგად ახდენს მათ აგლუტინაციას (დალექვას). აქვს პლაცენტარული ბარიერის გადალახვის უნარი და იცავს ნაყოფს ნითელი და თეთრი უჯრედების ანტიგენებისგან.

## **IMMUNOGLOBULIN M (IgM)**

**იმუნოგლობულინი M:** IgM ანტისხეულები, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზმში ანტიგენზე პირველადი პასუხისათვის. თუ IgM წარმოქმნილია ვაქცინაციის საპასუხოდ, ბუსტერული დოზა გამოიწვევს IgM-ს იმუნოგლობულინ G შეცვლას.

## **IMMUNOMODULATOR**

**იმუნომოდულატორი** - ნებისმიერი ნივთიერება (სუბსტანცია), რომელიც გავლენას ახდენს იმუნური სისტემაზე. იხილეთ **ინტარლეინი 2** (Interleukin-2); **იმუნოსტიმულატორი** (Immuno-stimulant); **იმუნოსუპრესია** (Immunosuppression).

## **IMMUNOSTIMULANT**

**იმუნოსტიმულატორი** - ნივთიერება ან აგენტი, რომელიც ააქტიურებს ორგანიზმის დამცველობით მექანიზმს (იმუნიტეტს).

## **IMMUNOSUPPRESSION**

**იმუნოსუპრესია** - ორგანიზმის მდგომარეობა, როდესაც იმუნური სისტემა დაზიანებულია და/ან ნორმალურად არ ფუნქციონირებს. იმუნოსუპრესია შესაძლებელია გამოწვეული იყოს წამლებით (მაგ. ქიმიოთერაპია) ან ზოგიერთი დაავადებით (მაგ. აივ ინფექცია).

## **IMMUNOTHERAPY**

**იმუნოთერაპია** - მკურნალობის სახე, რომელიც მიმართულია დაკნინებული იმუნური სისტემის აღსადგენად.

## **IMMUNOTOXIN**

**იმუნოტოქსიკური** - მცენარეების ან ცხოველების მიერ გამომუშავებული ტოქსინები (მაგ., შხამი), რომელიც უერთდება მონონუკლეარულ ანტისხეულებს და მიზანმიმართულად აზიანებს სპეციფიკურ უჯრედებს.

## INCIDENCE

**ინციდენტობა, ავადობა** – ახალი შემთხვევების რაოდენობა (მაგ, დაავადების) რომელიც გამოვლინდება მოცემულ პოპულაციაში დროის გარკვეულ (მაგ., წელი) პერიოდში. ავადობის მაჩვენებელით ისაზღვრება დაავადების სიხშირე. მნიშვნელოვანი სხვაობაა აივ ავადობასა და ახლად დიაგნოსტირებულ აივ ინფიცირებულების შემთხვევებს შორის. აივ ავადობა განსაზღვრავს ახლად ინფიცირებას, როდესაც ახლად გამოვლენილი აივ ინფიცირებული შესაძლებელია დიდი ხნის წინ იყოს ინფიცირებული.

## INCIDENCE RATE

**ავადობის მაჩვენებელი, ავადობის კოეფიციენტი** – გარკვეულ არეალში, გარკვეული დროის მანძილზე ახალი შემთხვევების რაოდენობის მაჩვენებელი, დროის იმავე პერიოდში და იმავე ტერიტორიაზე იგივე ინფექციით ინფიცირების რისკის ქვეშ მყოფ პირებს შორის. ავადობის კოეფიციენტი გამოითვლება დროში მოცემულ შუალედში ინფიცირებულების რიცხვის შეფარდებით ამ პოპულაციაში რისკის ქვეშ მყოფ ინდივიდების რიცხვთან. ძირითადად იანგარიშება 100 000 მოსახლეზე.

## INCLUSION/EXCLUSION CRITERIA

**ჩართულობის/გამორიცხვის კრიტერიუმი** – სამედიცინო ან სოციალური სტანდარტი (კრიტერიუმი), რომლის შედეგადაც პიროვნება შეესაბამება ან არ შეესაბამება (ნება დაერთება ან უარი ეთქმება) კლინიკურ კვლევაში მონაწილეობის სტანდარტებს. მაგ. ზოგიერთ კლინიკურ კვლევაში არ შეიძლება ჩართულები იყვნენ პირები ღვიძლის ქრონიკული დაავადებით, ან პირები, რომლებსაც აღენიშნებათ ალერგიული რეაქციები სხვადასხვა მედიკამენტებზე, კრიტერიუმი ასევე შეიძლება იყოს სქესი, ასაკი და სხვ.

## INCUBATION PERIOD

**ინკუბაციური პერიოდი** – დროის ინტერვალი ინფექციური აგენტის ორგანიზმში შეჭრისა და პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე.

## IND – INVESTIGATIONAL NEW DRUG

**კვავ** – იხილეთ **კვლევის პროცესში მყოფი ახალი პრეპარატი**.

## INDINAVIR (MK-639)

**ინდინავირი** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები: აბდომინალური სიმპტომები, თავის ტკივილი, გულისრევა.

## INFECTION

**ინფექცია** – მდგომარეობა ან სტადია, როდესაც დაავადების გამომწვევი შეიჭრება ორგანიზმში/ორგანოში, მრავლდება და იწვევს მის დაზიანებას (მწვავე ინფექცია). აივ ინფექციასთან

დაკავშირებით - ინფექციური პროცესი, რომელიც იწყება ვირუსის (აივ-ის) CD4+ უჯრედში შეჭრის შემდეგ.

## INFECTIOUS

**ინფექციური** — დაავადება, რომელიც გამოწვეულია ბაქტერიით, ვირუსით ან სოკოთი და გადაეცემა რაიმე სახის (პირდაპირი ან სხვა სახის, მაგ. სქესობრივი კონტაქტით).

## INFORMED CONSENT

**ინფორმირებული თანხმობა** – სამეცნიერო კვლევაში მონაწილე პირის თანხმობა, მას შემდეგ, რაც ის მიიღებს კვლევის შესახებ დეტალურ ინფორმაციას. ეს არის ნდობის გამოხატვა კვლევის ჩამტარებელ დაწესებულებასა და პიროვნებას შორის, რომელმაც კვლევაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს არის კვლევაში მონაწილე პირებისათვის შემუშავებული დაცვის მექანიზმი. კვლევაში მონაწილეობამდე პაციენტმა ხელი უნდა მოაწეროს თანხმობის ფორმას, რომელიც მოიცავს შემდეგ განმარტებებს:

- ა) რა არის კვლევის მიზანი,
- ბ) რა უნდა მკვლევარებს დაამტკიცონ,
- გ) რა უნდა გაკეთდეს კვლევის პროცესში და რამდენი ხანი გაგრძელდება კვლევა,
- დ) რა რისკია ამ კვლევაში მონაწილეობისას,
- ე) რა სარგებლიანობა შეიძლება იყოს მიღებული ამ კვლევიდან,
- ვ) სხვა სახის რა მკურნალობა არის შესაძლებელი და ხელმი-საწვდომი,
- ზ) პიროვნების უფლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კვლევაში მონაწილეობა.

ინფორმირებული თანხმობა ასევე უნდა იყოს მიღებული, როდესაც ხდება პაციენტის აივ-ზე ტესტირება (გამოკვლევა). იხილეთ **კლინიკური კვლევა (clinical trial)**.

## INFUSION

**ინფუზია** – თერაპიული თხევადი ნივთიერების, გარდა სისხლისა, ვენაში ნელი შეყვანა. ინფუზია ხშირად გამოიყენება როდესაც საჭმლის მომნელებელი სისტემა ვერ ახერხებს წამლების საჭირო დოზის აღსორბციას (შენოვას), ან წამლები საკმაოდ ტოქსიკურია, ან მოცულობა საკმაოდ დი-დია იმისათვის რომ მისი შეყვანა სწრაფი ინექციით მოხდეს.

## INJECTING DRUG USER (IDU)

**ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი (ნიმ)** – აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის განმარტებით პირი, რომელიც ინექციის სახით იკეთებს ნარკოტიკს.

## INOCULATION

**ვაქცინაცია** – გარკვეული ნივთიერების (მაგ, ვაქცინის, შრატის, ან ვირუსის) ორგანიზმში შეყვანა ამ ნივთიერებით გამოწვეული

დაავადების ან მდგომარეობის მიმართ იმუნური პასუხის გაძლიერების ან წარმოქმნისათვის. იხილეთ **ვაქცინა (vaccine)**.

## **INSTITUTIONAL REVIEW BOARD (IRB)**

### **ეთიკური კომისია -**

1. ექიმების, სტატისტიკოსების, მკვლევარების, ადამიანების უფლებების დამცველების და სხვა წევრებისგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული კლინიკური კვლევა ეთიკური და დაცულია. ყველა კლინიკური კვლევა უნდა იყოს დამტკიცებული ეთიკური კომისიის მიერ.
2. ნებისმიერ დანესებულება, რომელიც ახორციელებს ბიოსამედიცინო ან ქცევით სამეცნიერო კვლევებს, რომლებშიც ჩართულები არიან ადამიანები, ფედერალური რეგულაციის მიხედვით ვალდებულია ჰქონდეს თავისი ეთიკური კომისია, რომელიც დაამტკიცებს და პერიოდულად განიხილავს ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით პროექტის მიმდინარეობის სისწორეს.

## **INTEGRASE**

**ინტეგრაზა** - ფერმენტი, რომელიც სასიცოცხლო როლს თამაშობს აივ ინფექციის მიმდინარეობაში. ინტეგრაზის საშუალებით ხდება აივ გენეტიკური მასალის ჩასმა უჯრედის ნორმალურ დნმ-ში.

## **INTEGRASE INHIBITORS**

**ინტეგრაზას ინჰიბიტორები** - ექსპერიმენტული ანტი-აივ პრეპარატი, რომელიც ბლოკირებას უკეთებს ინტეგრაზას ფერმენტს და ხელს უშლის ვირუსული დნმ-ის მასპინძელი უჯრედის დნმ-ში ჩაშენებას.

## **INTEGRATION**

**ინტეგრირება, გაერთიანება, ჩაშენება** - აივ-თან კავშირში: პროცესი, სადაც აივ-დნმ გადადის მასპინძელი უჯრედის ბირთვში და ფერმენტ ინტეგრაზას მეშვეობით ჩაშენდება მასპინძელი უჯრედის დნმ-ში. ამის შემდეგ აივ დნმ-ს ჰქვია პროვირუსი და ის ორმაგდება მასპინძელი უჯრედის გაყოფასთან ერთად. ბოლო კვლევების მიხედვით აივ დნმ-ს ასევე უნარი აქვს ჩაშენდეს არაგაყოფად უჯრედებშიც, როგორცაა მაკროფაგები და ცენტრალური ნერვული სისტემების უჯრედები.

## **INTENSIFICATION**

**გაქლიარება, ინტენსიფიკაცია** - არსებულ მკურნალობის რეჟიმზე ანტირეტროვირუსული პრეპარატის დამატება იმ შემთხვევაში, როდესაც ვირუსის რეპლიკაციის დადრეგუნვის სასურველი შედეგი არ იქნა მიღწეული.

## **INTENT TO TREAT**

**მკურნალობის შედეგების ინტერპრეტაცია** - კლინიკური კვლევის ანალიზის შედეგები, რომელიც მოიცავს რანდომიზირებულ საკვლევ ჯგუფში მყოფი პაციენტების ყველა მონაცემს,



მიუხედავად იმისა იღებდნენ თუ არა ისინი ექსპერიმენტულ პრეპარატს.

## INTERACTION

**ურთიერთქმედება** - იხილეთ **ნაშლავის ურთიერთქმედება** (drug to drug interaction).

## INTERFERON

**ინტერფერონი** - ანტივირუსული ცილის ერთ-ერთი სახე, რომელიც არეგულირებს იმუნურ პასუხს. ალფა ( $\alpha$ ) ინტერფერონი გამოიშავდება ვირუსით ინფიცირებულ უჯრედებში და აძლიერებს მის ახლოს მდებარე არაინფიცირებული უჯრედების დაცვას. ნარმოებული  $\alpha$  ინტერფერონი (როფერონი, ინტრონ A) დამტკიცებულია აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს მიერ, როგორც კაპოშის სარკომის, B, და C ჰეპატიტის სამკურნალოდ. გამა ინტერფერონი სინთეზირდება იმუნური სისტემის უჯრედების მიერ (ნატურალური კილერების და CD4 უჯრედების მიერ). ის ააქტიურებს მაკროფაგებს და ეხმარება იმუნურ სისტემას უჯრედული იმუნიტეტის წარმოქმნაში.

## INTERLEUKINS

**ინტერლეიკინები** - გლიკოპროტეინების ერთ-ერთი დიდი ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ ციტოკინების მსგავსი მოქმედება. ინტერლეიკინები გავლენას ახდენს იმუნური სისტემის სხვადასხვა უჯრედებზე. იხილეთ **ბიოტექნოლოგია** (biotechnology); **B ლიმფოციტები** (B lymphocytes); **გენური ინჟინერია** (genetic engineering); **T კილერი უჯრედები** (killer T cells); **ბუნებრივი კილერები** (natural killer cells); **ლიმფოციტები** (lymphocytes); **T უჯრედები** (T cells).

## INTERLEUKIN-1 (IL-1)

**ინტერლეიკინი 1** - ციტოკინები, რომლებიც გამონთავისუფლებს მონოციტების და მაკროფაგების მიერ იმუნური სისტემის პასუხის შედეგად. ისინი ასტიმულირებენ T უჯრედების პროლიფერაციას (გამრავლებას) და ცილების (პროტეინების) სინთეზს. ინტერლეიკინ-1-მა შესაძლებელია გამოიწვიოს ტემპერატურის მატება.

## INTERLEUKIN-2 (IL-2)

**ინტერლეიკინ-2** - ციტოკინები, რომლებიც სინთეზირდება Th1 CD4 უჯრედების მიერ CD8 ციტოტოქსიკური T ლიმფოციტების სტიმულაციისათვის. ის ასევე ზრდის CD4 უჯრედების პროლიფერაციას და აჩქარებს მის მომწიფებას. აივ ინფექციის დროს ინტერლეიკინ-2-ის წარმოქმნა ნელ-ნელა მცირდება. კომერციულად ხელმისაწვდომი ინტერლეიკინ-2 შემუშავებულია რეკომბინანტული დნმ ტექნოლოგიით, დამტკიცებულია აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს მიერ და გამოიყენება თირკმლის მეტასტაზური

სიმსივნის სამკურნალოდ. ბოლო კვლევების საფუძველზე რეკომენდირებულია აივ ინფიცირებულებში ანტირეტროვირუსულ პრეპარატებთან ერთად ინტერლეიკინ-2-ის კანქვეშ შეყვანა, რაც აივ CD4+ T უჯრედებში პროგრესირებას უშლის ხელს.

#### **INTERLEUKIN-4 (IL-4)**

**ინტარლეიკინ-4** - ციტოკინები, რომლებიც სეკრეცირდება Th2 CD4 უჯრედების მიერ და ხელს უწყობს ანტისხეულების წარმოქმნას B უჯრედების გამრავლების და მომნიფების გაძლიერების ხარჯზე.

#### **INTERLEUKIN-12 (IL-12)**

**ინტარლეიკინ-12** - ციტოკინები, რომლებიც გამონთავისუფლდება მაკროფაგებიდან იმ ინფექციის საპასუხოდ, რომლებიც ხელს უწყობენ უჯრედული იმუნიტეტის გააქტიურებას. ინტერლეიკინ-12 ხელს უწყობს Th1 CD4 უჯრედების მომნიფებას, სპეციფიკური ტოქსიკური T ლიმფოციტების პასუხს და ზრდის ბუნებრივი კილერი უჯრედების გააქტიურებას. ინტერლეიკინ-12-ის გამოყენება აივ ინფიცირებული პირების სამკურნალოდ კვლევის პროცესშია.

#### **INTERSTITIAL**

**ინტარსტიციალური** - ქსოვილსა ან ორგანოებს შორის პატარა, ვინრო სივრცეში მდებარე.

#### **INTRAMUSCULAR (IM)**

**ინტარამუსკულარული** - კუნთში ინექცია.

#### **INTRAPARTUM**

**ინტარანატალური** - მშობიარობის პერიოდი.

#### **INTRAVENOUS (IV)**

**ინტარავენური** - ვენაში ინექცია.

#### **INTRAVENOUS IMMUNOGLOBULIN (IVIG)**

**ინტარავენური იმუნოგლობულინი** - ჯანმრთელი ადამიანისგან ექსტრადირებული ანტისხეულების სტერილური სითხე. გამოიყენება ბაქტერიული ინფექციების პრევენციისათვის პირებში, რომლებიც ანტისხეულებს შემცირებული რაოდენობით ან პათოლოგიურ ანტისხეულებს გამოიმუშავენ.

#### **INTRAVITREAL**

**ინტარავიტრალური** - თვალის შიგნით.

#### **INVESTIGATIONAL NEW DRUG (IND)**

**კვლევის პროცესში მყოფი ახალი პრეპარატი** - ექსპერიმენტული პრეპარატებისათვის მინიჭებული სტატუსი, მას შემდეგ რაც აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის სააგენტო ნებას დართავს მის ადამიანებზე გამოცდას.

## **IN VITRO**

**ხელოვნურად** - („კოლბაში“), ცოცხალი ორგანიზმის გარეთ შექმნილი ხელოვნური გარემო (მაგ., კულტურა) რომელიც გამოიყენება ექსპერიმენტების ჩასატარებლად დაავადების ან პროცესის შესწავლის მიზნით.

## **IN VIVO (“In life)**

**ბუნებრივად** - („ცოცხალში“), კვლევები, რომლებიც ტარდება ცოცხალ ორგანიზმში (მაგ., ცხოველებსა ან ადამიანებში).

## **IRB – INSTITUTIONAL REVIEW BOARD**

**IRB** – ეთიკური კომისია.

## **ISOLATE**

**იზოლატი** - ინდივიდი (მაგ, სპორა ან ორგანიზმი), ორგანიზმის ნაწილი (მაგ, უჯრედი) ან შტამი რომელიც მთლიანად იქნა იზოლირებული (მაგ, დაავადებული ქსოვილისგან, დაბინძურებული წყლიდან ან ჰაერიდან). ასევე სუფთა კულტურა, რომელიც წარმოქმნილია იზოლაციაში. ადამიანის ორგანიზმიდან გამოყოფილი აივ-ის შტამი.

## **ITP – IMMUNE THROMBOCYTOPENIC PURPURA**

**ითპ** - იხილეთ **იშუნური თრომბოციტარული პურპურა**

## **IV – INTRAVENOUS**

**ინტრავენური** — ინექცია ვენაში

## **IVIG – INTRAVENOUS IMMUNE GLOBULIN**

**ივიგ** - იხილეთ **ინტრავენური იშუნოგლობულინი**.

## JAUNDICE

**სიყვითლა** – კანის, ლორწოვანი გარსის, თვალის თეთრი ნაწილის და ბიოლოგიური სითხეების ყვითელი პიგმენტაცია გამონეული სისხლში ბილირუბინის დონის მომატებით. ეს მდგომარეობა დაკავშირებულია ღვიძლის, ან ნაღვლის ბუშტის დაავადებასთან ან სისხლის წითელი უჯრედების სწრაფ დაშლასთან.

## JC VIRUS

**JC ვირუსი** – ადამიანის პაპილომა ვირუსის სახე, აღმოჩენილი იქნა 1971 წელს და დაერქვა პაციენტის ინიციალები, რომელსაც აღენიშნებოდა პროგრესული მულტიფოკალური ლეიკოენცეფალოპათია. იხილეთ **პროგრესული მულტიფოკალური ლეიკოენცეფალოპათია** (progressive multifocal leukoencephalopathy); **პაპილომა** (papilloma).

## KAPOSI'S SARCOMA (KS)

**კაპოზის სარკომა (კს)** – შიდსთან ასოცირებული დაავადება, რომელიც იწვევს კანცეროგენული მეჭვების განვითარებას, რომელიც გამომწვეულია სისხლძარღვების პათოლოგიური ზრდით. კს უზშირესად გამოიხატება კანზე ან პირის ღრუში ვარდისფერი ან იასამნისფერი ლაქების გაჩენით. კს ასევე შესაძლებელია განვითარდეს ორგანიზმის შიგნით, განსაკუთრებით ნაწლავებში, ლიმფურ კვანძებსა და ფილტვებში. ასეთ შემთხვევაში ეს დაავადება სიცოცხლისათვის საშიშია. კაპოზის სარკომა ასევე შეიძლება განვი-თარდეს თვალშიც. კაპოზის სარკომა არ არის უცაბედი ავთვისებიანი სიმსივნე, მისი გამომწვევია - HHV-8 (აღამია-ნის ჰერპეს ვირუსის მე-8 ტიპი). დღესდღეობით კაპოზის სარკომის მკურნალობა ხდება ალფა ინტერფერონით, რადია-ციული თერაპიით და სხვადასხვა სახის ქიმიოთერაპიით.

## KARNOFSKY SCORE

**კარნოვსკის შკალა, ქულა** – 0-დან 100-მდე ქულა, რომლითაც კლინიციისტი აფასებს პაციენტის უნარს შეასრულოს რაიმე მიცემული დავალება. 100 ქულა მიესადაგება ნორმალურ ფუნქციონირებას, დაავადების რაიმე ნიშნის გამოვლენის გარეშე. ქულების შემცირება მიესადაგება ყოველდღიური ცხოვრებისეული აქტივობის შესრულების უნარის დაქვეითებას.

## KILLER T CELLS

**T კილერი უჯრედები** – იმის გამო, რომ ვირუსი შედის უჯრედში და ის მიუწვდომელი ხდება ანტისხეულისათვის, ერთადერთი გზა მის გასანადგურებლად არის ინფიცირებული მასპინძელი უჯრედის განადგურება. ამის გასაკეთებლად იმუნური სისტემა იყენებს სისხლის თეთრ უჯრედებს, რომლებსაც T კილერი უჯრედები ეწოდებათ. ისინი ანადგურებენ მხოლოდ იმ უჯრედებს, რომლებიც მონიშნულები (მარკირებულები) არიან ორგანიზმისათვის უცხო ცილით. T კილერი უჯრედები თვითონ შეიძლება დაინფიცირდნენ აივ-ით ან სხვა ვირუსით, ან სხვა კანცეროგენული ნივთიერებით. T კილერი უჯრედები ასევე ცნობილია როგორც ციტოტოქსიკური T უჯრედები, ან ციტოტოქსიკური T ლიმფოციტები. იხილეთ **ნატურალური კილერი უჯრედები** (natural killer cells);, **ნულოვანი უჯრედები** (null cells); **T უჯრედები** (T cells).

**KSHV – KAPOSI'S SARCOMA HERPES VIRUS Kaposi's Sarcoma.**

**კსჰვ** – კაპოშის სარკომის ჰერპეს ვირუსი. იხილეთ **კაპოშის სარკომა** (Kaposi's Sarcoma).

**KUPFFER CELLS**

**კუპერის უჯრედები** – ღვიძლის ქსოვილში არსებული სპეციალური მაკროფაგები. იხილეთ **მაკროფაგი** (macrophage).

**LACTATION**

**ლაქტაცია** - სარძევე ჯირკვლებიდან რძის გამოყოფა.

**LAMIVUDINE (3TC)**

**ლამივუდინი** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები - გულისრევა.

**LANGERHANS CELLS**

**ლანგერჰანის უჯრედები** - დენდრიტული უჯრედები, რომლებიც იჭერენ ანტიგენს და ახდენენ მის ტრანსპორტირებას ლიმფურ კვანძებში.

**LAS – LYMPHADENOPATHY SYNDROME**

**ლას** - იხილეთ **ლიმფადენოპათიური სინდრომი**.

**LATENCY**

**ლატენტური** - პერიოდი, როდესაც ინფექციის გამომწვევი აგენტი არის ორგანიზმში, მაგრამ არ ინვესს რაიმე დაავადებისათვის პათოგნომურ ნიშნებს ან სიმპტომებს. აივ დაავადების დროს ლატენტური პერიოდი ემთხვევა აივ ინფექციის ასიმპტომურ პერიოდს, ინფიცირებიდან რამოდენიმე წლის მანძილზე. ამ პერიოდში **CD4+ T** უჯრედები პერიფერიულ სისხლში ნორმის ფარგლებში ან ნორმასთან მიახლოებულია. ბოლო კვლევებიდან ჩანს, რომ ლატენტურ პერიოდში აივ-ი საკმაოდ აქტიურია ლიმფურ კვანძებში. უჯრედული ლატენტურობა არის პერიოდი, როდესაც აივ-ი ინტეგრირდება უჯრედის დნმ-ში, მაგრამ არ მრავლდება.

**LENTIVIRUS**

**ლენტივირუსი** - დუნე აქტივობის მქონე ვირუსი, რომელიც ხასიათდება ინფიცირებიდან სიმპტომების გაჩენამდე ხანგრძლივი ინტერვალით. აივ-ი, ისევე როგორც მაიმუნის იმუნოდეფიციტის ვირუსი (მივ), მიეკუთვნება ლენტივირუსებს.

**LESION**

**პათოლოგიური პროცესი, დაზიანება** - ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება დაზიანებული ქსოვილის აღსანიშნავად (მაგ., ლაქა ან წყლული კანზე).

## **LEUKOCYTES**

**ლეიკოციტები** - სისხლის სხვადასხვა თეთრი უჯრედების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან იმუნურ სისტემას. ნეიტროფილები, ლიმფოციტები და მონოციტები მიეკუთვნება ლეიკოციტებს.

## **LEUKOCYTOSIS**

**ლეიკოციტოზი** - სისხლში ლეიკოციტების მკვეთრად მაღალი მაჩვენებელი. ლეიკოციტოზი შესაძლებელია გამოვლინდეს სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებების ან ანთებების დროს.

## **LEUKOPENIA**

**ლეიკოპენია** - სისხლის თეთრი უჯრედების (ლეიკოციტების) დეფიციტი (ნაკლებობა). ლეიკოპენიად მიჩნეულია მდგომარეობა, როდესაც სისხლის თეთრი უჯრედების რაოდენობა (ლეიკოციტები) 1 მლ სისხლში 5000-ზე ნაკლებია.

## **LEUKOPLAKIA**

**ლეიკოპლაკია** - იხილეთ **პირის ღრუს თმოვანი ლეიკოპლაკია** (oral hairy leukoplakia).

## **LFT – LIVER FUNCTION TEST**

**ლფტ** - იხილეთ **ღვიძლის ფუნქციური ტესტი**.

## **LIP – LYMPHOID INTERSTITIAL PNEUMONITIS**

**ლიპ** - იხილეთ **ლიმფური ინტერსტიციური პნევმონია**.

## **LIPID**

**ცხიმები, ლიპიდები** - ცხიმი ან ცხიმოვანი კომპონენტები სტეროიდული სპირტების, ცხიმოვანი მჟავების და სხვა სუბსტანციების ჩათვლით.

## **LIPODYSTROPHY**

**ლიპოდისტროფია** - ორგანიზმში ცხიმების (ლიპიდების) არათანაბარი სინთეზი, გამოყენება და განაწილება. ლიპოდისტროფია ასოცირებულია ბიზონის კუზთან, პროტეაზის კუზთან. ლიპოდისტროფია აივ ინფიცირებულებში ძირითადად დაკავშირებულია ანტირეტროვირუსული პრეპარატების, კერძოდ კი პროტეაზას ინჰიბიტორების და ნუკლეოზიდის შებრუნებით ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორის მიღებასთან. მექანიზმი, თუ რის გამო ინვევენ ეს პრეპარატები ლიპოდისტროფიას ჯერჯერობით უცნობია. ლიპოდისტროფიის სიმპტომებია: კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის შრის, სახის და კიდურების დათხელება, ცხიმოვანი შრის მუცლის არეში (როგორც კანქვეშა, ასევე მუცლის ღრუში), ან მხრებს შორის დაგროვება. ქალებში შესაძლებელია თქმოს არეში ცხიმოვანი ქსოვილის შემცირება და მკერდის გაზრდა. ლიპოდისტროფიასთან ხშირად ასოცირებულია ჰიპერლიპიდემია და ინსულინრეზისტენტობა. ლიპოდისტროფიის სინონიმია ლიპოდისტროფიული სინდრომი, ფსევდო კუმინგის სინდრომი.



## LIPONAVIR/RITONAVIR

**ლიპონავირი/რიტონავირი (სინონიმი - კალატრა).** ანტი-რეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები: დიარეა, გულისრევა, თავის ტკივილი, დაღლილობის შეგრძნება.

## LIPOSOMES

**ლიპოსომა** - უჯრედის წყლოვან გარემოში ფორმირებული სპეციალური ნაწილაკები, რომლებიც ფორმირდება ორმაგი ლიპიდური ბმის შედეგად. ლიპოსომების ცხიმოვანი შრემ უნდა დაიცვას და შემოსაზღვროს მიღებული პრეპარატი მანამდე, სანამ ლიპოსომა შეუკავშირდება სამიზნე უჯრედის გარეთა მემბრანას. სამკურნალო საშუალების სამიზნე უჯრედამდე მიტანის შედეგად წამლის ეფექტურობა შეიძლება გაიზარდოს და ამავე დროს შემცირდეს მისი ტოქსიკურობა.

## LIVE VECTOR VACCINE

**ცოცხალი ვექტორული ვაქცინა** - აივ-თან კავშირში - ვირუსის ან ბაქტერიის ატენუირებული ვაქცინა, რომელიც მოიცავს აივ-ის ნაწილს, იმისათვის რომ ორგანიზმში შეეყვანოს გამოიწვიოს უჯრედული იმუნური პასუხი.

## LIVER FUNCTION TEST (LFT)

**ღვიძლის ფუნქციური ტესტი** - ტესტი, რომლითაც ისაზღვრება ღვიძლის სხვადასხვა ფერმენტების დონე. მომატებული ღვიძლის ფუნქციები მიუთითებს ღვიძლის შესაძლო დაზიანებაზე.

## LOG

**ლოგარიტმი** - ვირუსული დატვირთვის ცვლილება ხშირად იზომება მათემატიკური სიდიდით ლოგარიტმით, ანუ ლოგარიტმული ცვლილებით. 1 ლოგარიტმით ცვლილება განსაზღვრავს არსებული მონაცემის 10 ჯერად ცვლილებას. მაგ. თუ სანჯისი ვირუსული დატვირთვა 1 მლ სისხლში იყო 20 000 კოპიო, 1 ლოგარიტმით მატება ნიშნავს რომ ვირუსული დატვირთვა გახდა 200 000 კოპიო 1 მლ სისხლში. 2 ლოგარიტმით ცვლილება 2 000 000 კოპიოს 1 მლ სისხლში, ანუ 100-ჯერად მატებას.

## LONG-TERM NONPROGRESSORS

**ხანგრძლივად არაპროგრესირებადი, ხანგრძლივად არა-მოპასუხე** - პირები, რომლებიც აივ ინფიცირებულები არიან 7-12 წლის მანძილზე და მკურნალობის გარეშე სისხლში მათი CD4+ T უჯრედების რაოდენობა სტაბილურად 600 და მეტია. მათ ასევე არ აღენიშნებათ აივ ასოცირებული დაავადებები. სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით, ეს ფენომენი ძირითადად ასოცირებულია ლიმფური ქსოვილის დიდი ხნის განმავლობაში არაინფიცირებულ მდგომარეობაში შენარჩუნებასა და ლიმფურ კვანძებში ვირუსების მცირე რაოდენობით შეჭრასთან.

## LUMBAR

**ლუმბარული** - წელის არე, კონსტიტუციურად ხერხემლის მიდამო გულმკერდის და გავა-თედოს შორის.

## LUMBAR PUNCTURE

**ლუმბარული პუნქცია** - პროცედურა, როდესაც სუბარქანოიდული ნაწილიდან ხდება თავზურგტვინის სითხის ამოღება მისი ტესტირების მიზნით.

## LYMPH

**ლიმფა** - გამჭვირვალე მოყვითალო ფერის სითხე, რომელშიც არის ლიმფოციტები. ლიმფა გამოყოფა ორგანიზმის ყველა ქსოვილოვანი სითხიდან და სისხლში გადადის ლიმფური ძარღვებიდან.

## LYMPH NODES

**ლიმფური კვანძები** - იმუნური სისტემის პატარა, მუხუდოს მარცვლის სიდიდის ორგანოები, რომლებიც მთელს ორგანიზმშია მოფენილი. ლიმფის ფილტრაცია ხდება ლიმფურ კვანძებში, სადაც ლიმფაში მყოფი ყველა ლიმფოციტი დროებით რჩება. ლიმფაში ან სისხლში მოხვედრილი ანტიგენი იფილტრება ელენთის ან ლიმფური კვანძების მერ.

## LYMPHADENOPATHY SYNDROME (LAS)

**ლიმფადენოპათიური სინდრომი (ლას)** - ლიმფური კვანძების გადიდება. მიზეზი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის ინფექცია (აივ ინფექციის, გრიპის, მონონუკლეოზის ჩათვლით) ან ლიმფომა (ლიმფური კვანძების კიბო).

## LYMPHATIC VESSELS

**ლიმფური ძარღვები** - მთელს ორგანიზმში მოფენილი სისხლძარღვების მსგავსი ქსელი, რომლებსაც ლიმფა გადააქვთ იმუნურ ორგანოებსა და სისხლის მიმოქცევაში.

## LYMPHOCYTE

**ლიმფოციტი** - სისხლის თეთრი უჯრედები, რომელიც არის სისხლში, ლიმფაში, ლიმფურ კვანძებში. იხილეთ **B ლიმფოციტები** (B lymphocytes); **T უჯრედები** (T cells).

## LYMPHOID INTERSTITIAL PNEUMONITIS (LIP)

**ლიმფოიდური ინტერსტიციალური პნევმონია** - პნევმონიის სახე, რომელიც ემართებათ შიდსით დაავადებული ბავშვების 35-40% და რომელიც იწვევს ჟანგბადის ადსორბციაში მონაწილე ფილტვის მემბრანის გასქელებას. დაავადების გამომწვევი უცნობია. სპეციფიკური მკურნალობა არ არსებობს, პროგრესული ლიმფოიდური ინტერსტიციალური პნევმონიის სამკურნალოდ გამოიყენება კორტიკოსტეროიდები.

## **LYMPHOID ORGANS**

**ლიმფური ორგანოები** - მოიცავს გლანდებს, ადენოიდებს, ლიმფურ კვანძებს, ელენთას, თიმუსს და სხვა ქსოვილებს. მათ ორგანიზმის ფილტრაციის ფუნქცია აკისრიათ. უცხო სხეულის (მაგ, ბაქტერია, ვირუსი) დაჭერის შემდეგ ისინი ამ უცხო აგენტებს გადასცემენ იმუნურ უჯრედებს. ლიმფოიდური ქსოვილების დახმარებით ჩანასახოვან (გერმინალურ) ცენტრებში ხდება იმუნური აქტივობის გაძლიერება, სადაც ფოლიკულარული დენდრიტული უჯრედების ძაფისებრი წანაზარდები ქმნიან ე.წ. ხაფანგს ამ უცხო სხეულების დასაჭერად.

## **LYMPHOID TISSUE**

**ლიმფური ქსოვილი** - იხილეთ **ლიმფური ორგანოები** (lymphoid organs).

## **LYMPHOKINES**

**ლიმფოკინები** -

1. ლიმფური უჯრედების პროდუქტი, რომლებიც ააქტივებენ დაავადებასთან საბრძოლველ აგენტებს და სხვა ლიმფურ უჯრედებს. ლიმფოკინებებს წარმოადგენენ გამა ინტერფერონი და ინტერლეიკინ-2.
2. იმუნური პასუხის მედიატორები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ანტისხეულებს. ისინი გამონთავისუფლდებიან გააქტიურებული ლიმფოციტებიდან.

## **LYMPHOMA**

**ლიმფომა** - ლიმფური ქსოვილის სიმსივნე. ლიმფომა ხშირად აღწერილია როგორც დიდი და მცირე უჯრედების ლიმფომა, დიფუზური და კვანძოვანი ლიმფომა. სხვადასხვა სახის ლიმფომას ხშირად სხვადასხვა გამოსავალი აქვს. ლიმფომები ასევე შეიძლება იყოს იმ ორგანოების, სადაც ისინი აქტიურადაა განთავსებული, მაგ. ცენტრალური ნერვული სისტემის ლიმფომა, გასტროენტერული ლიმფომა. აივ ასოცირებული ლიმფომებიდან ყველაზე ხშირია არა ჰოჯკინის ლიმფომა ან **B** უჯრედების ლიმფომა. ამ სახის სიმსივნის დროს ლიმფური სისტემის გარკვეული უჯრედებს ახასიათებთ პათოლოგიური ზრდა. ისინი სწრაფად მრავლდებიან, იზრდებიან და წარმოქმნიან სიმსივნეებს.

## **LYMPHOPENIA**

**ლიმფოპენია** - მოცირკულირე სისხლში ლიმფოციტების მკვეთრი დაქვეითება ან მისი რაოდენობის ნულამდე დასვლა.

## **LYMPHOPROLIFERATIVE RESPONSE**

**ლიმფოპროლიფერაციული პასუხი** - T უჯრედების სწრაფ გამრავლების შედეგად განვითარებული სპეციფიკური იმუნური პასუხი. სტანდარტული ანტიგენები (მაგ. ტეტანუსის ანატოქსინი, რომელიც აძლიერებს ლიმფო-პროლიფერაციულ პასუხს), ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში იმუნოკომპეტენტურობის მისაღწევად გამოიყენება.

## **LYSIS**

**ლიზისი** - უჯრედის გახლეჩვა და განადგურება.

**MAC - MYCOBACTERIUM AVIUM COMPLEX.**

**მაკ-ი** – იხილეთ **მიკოზაქტერია ავიუმის კომპლექსი**.

**MACROPHAGE**

**მაკროფაგი** – დიდი ზომის იმუნური უჯრედები, რომლებიც შექმნილია ორგანიზმში შეჭრილ პათოგენს და/ან სხვა მიკროორგანიზმებს და ასტიმულირებენ სხვა იმუნურ უჯრედებს. მაკროფაგებს შეუძლიათ შთანთქონ აივ-ის დიდი რაოდენობა მათი გაუფრთხილებლობის გარეშე, და შესაბამისად გახდნენ ვირუსის რეზერვუარები.

**MACROPHAGE-TROPIC VIRUS**

**მაკროფაგ-ტროპული ვირუსი** – აივ შტამი, რომელიც ექსპერიმენტებში უპირატესად აზიანებს მაკროფაგებს. მიუხედავად იმისა რომ იგივე აივ შტამი ვერ ახერხებს შეუერთდეს იმ უჯრედებს, რომლებსაც ზედაპირზე აქვს მხოლოდ CD4 მოლეკულა, მათ უნარი აქვთ შეუერთდნენ უჯრედებს, რომლებსაც ზედაპირზე გააჩნიათ CD4 და CCR5 მოლეკულები. ეს იზოლატები წარმოადგენენ ძირითად შტამებს, რომლებიც ნანახია პაციენტებში აივ უსიმპტომო პერიოდში.

**MAGNETIC RESONANCE IMAGING (MRI)**

**მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია** – არაინვაზიური დიაგნოსტიკური ტექნიკა, რომელიც კომპიუტერის ეკრანზე აჩვენებს ორგანოების, ქსოვილების გამოსახულებას.

**MAINTENANCE THERAPY**

**შეინარჩუნებელი თერაპია** – იგივე მეორეული პროფილაქტიკა. თერაპია, რომელიც ხელს უშლის დაავადების რეციდივის განვითარებას.

**MALABSORPTION SYNDROME**

**მალაბსორციის სინდრომი** – ნაწლავების ადსორბციის შემცირება, რაც იწვევს მადის დაქვეითებას, კუნთების ტკივილს, და წონაში კლებას. იხილეთ **შილსთან ასოცირებული განლაჟის სინდრომი**.

**MALaise**

**დისკომფორტი** – გენერალიზებული, არასპეციფიკური დისკომფორტის შეგრძობა.

## **MALIGNANT**

**აპოპიზიზიანი** - სიმსივნური უჯრედები, რომლებიც არაკონტროლირებადად იზრდება. ასეთი არაკონტროლირებადი ზრდა შესაძლებელია მოხდეს ქსოვილის გარშემო. მას სისხლის მიმოქცევის საშუალებით შეუძლია მიაღწიოს სხვადასხვა ორგანოებს. სამედიცინო განმარტებით, კიბო ყოველთვის ავთვისებიან სიმსივნეების სახეს მიეკუთვნება. ტერმინი ავთვისებიანი (მალიგნანტური) კიბოს განვითარებას მიანიშნებს. იხილეთ **მეტასტაზი (Metastasis)**.

## **MEGA-HAART**

**მეგა** - მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპია - მულტი რეზისტენტული შტამების თერაპია (მარავალ კომპონენტებიანი გადარჩენის რეჟიმი). გადარჩენის რეჟიმი რომელიც მოიცავს 6 ან მეტ ანტირეტროვირუსულ პრეპარატს, იმ პაციენტებისათვის, რომლებიც ადრე იღებდნენ ანტირეტროვირუსულ თერაპიას.

## **MEMORY T CELLS**

**T მესიერიზის უჯრედები** - T ლიმფოციტების სუბჯგუფი, რომლებსაც უნარი აქვთ განმეორებით გაააქტიურონ იმუნური სისტემა იმ ანტიგენების მიმართ, რომელთანაც T მესიერების უჯრედებს ადრე უკვე ჰქონდათ შეხება.

## **MEN WHO HAVE SEX WITH MEN (MSM)**

**მამაკაცი, რომელსაც საქმი აქვს მამაკაცთან** - მამაკაცი, რომელიც აღნიშნავს სქესობრივ კონტაქტს სხვა მამაკაცთან (ჰომოსექსუალური კონტაქტი) და მამაკაცი, რომელიც აღნიშნავს სქესობრივ კონტაქტს როგორც მამაკაცთან, ისევე ქალთან (ბისექსუალური კონტაქტი).

## **MENINGES**

**მენინგიალური ბარსი** - თავის ტვინის ან ზურგის ტვინის შემოსაზღვრელი მემბრანა. ჰემატოენცეფალური ბარიერის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. იხილეთ **მენინგიტი (Meningitis)**.

## **MENINGITIS**

**მენინგიტი** - მენინგიალური გარსის ანთება, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს ბაქტერიით, ვირუსით, ან სოკოთი. იხილეთ **კრიპტოკოკული მენინგიტი (cryptococcal meningitis)**; **ცენტრალური ნერვული სისტემა (central nervous system)**.

## **MESSENGER RNA**

**საინფორმაციო რნმ** - რიბონუკლეინის მჟავა (რნმ), რომელიც შეიცავს გარკვეული ცილების გენეტიკურ კოდს რომელსაც იღებს უჯრედის ბირთვის დეზოქსირიბონუკლეინინ მჟავიდან. ეს ინფორმაცია რნმ-იდან გადაეცემა უჯრედის ციტოპლაზმაში მდებარე რიბოსომებს ცილების სინთეზისათვის.

## **METABOLISM**

**მეტაბოლიზმი** - ცოცხალ უჯრედში მიმდინარე ქიმიური პროცესები, რომლის საშუალებითაც ხდება სასიცოცხლო პროცესებისათვის საჭირო ენერჯის გამოყოფა და ახალი ნივთიერებების ასიმილაცია.

## **METASTASIS**

**მეტასტაზი** - დაავადების (მაგ. სიმსივნის) გავრცელება ორგანიზმის ერთი ადგილიდან მეორეზე.

## **METHADONE**

**მეთადონი** - სინთეზური ნარკოტიკი, რომელის მიღება ხდება პერორალურად (სიროფი ან ტაბლეტირებული ფორმა), რომელიც გამოიყენება როგორც ჩანაცვლებითი პრეპარატი ოპიატურ ნარკოტიკებზე დამოკიდებული პაციენტებისათვის.

## **MICROBES**

**მიკრობი** - მიკროსკოპული ცოცხალი ორგანიზმი, როგორიცაა ბაქტერია, პროტოზოა, ვირუსი და სოკო.

## **MICROBICIDE**

**ბაქტერიციდი** - ნივთიერება (მაგ, ქიმიური ნივთიერება ან ანტიბიოტიკი), რომელიც შლის მიკრობებს. სხვადასხვა სახის სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობს იმისათვის, რომ გამოგონილი იქნას ვაგინალური ან რექტალური ბაქტერიოციდები, რომლებიც ხელს შეუშლის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის აივ-ის გადაცემას.

## **MICROSPORIDIOSIS**

**მიკროსპორიდიოზი** - ნაწლავური ინფექცია, რომელიც იწვევს დიარეას და აივ ინფიცირებულებში განლევის სინდრომს (წონაში კლებას). ძირითადად ხდება 2 სხვადასხვა შტამის — მიკროსპორიდიის და პროტოზოული პარაზიტის შეჭრით. აივ ინფიცირებულებში მიკროსპორიდიოზი ძირითადად ვითარდება როდესაც CD4+ T უჯრედების რაოდენობა 100-ზე ნაკლებია. იხილეთ **პათოგენი**, (patho-gen); **პროტოზოა** (protozoa); **შიდსთან ასოცირებული განლევის სინდრომი** (AIDS wasting syndrome).

## **MITOCHONDRIA**

**მიტოქონდრია** - უჯრედის ციტოპლაზმაში მდებარე ორგანოები (ცოცხალი სუბსტანციის ნაწილები), რომლებიც წარმოადგენენ უჯრედის ფუნქციონირების ენერჯის წყაროს.

## **MITOCHONDRIAL TOXICITY**

**მიტოქონდრიალური ტოქსიკურობა** - იგივე მიტოქონდრიალური დისფუნქცია. გარკვეული ანტირეტროვირუსული პრეპარატების, განსაკუთრებით ნუკლეოზიდის ანალოგი შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორის (NRTI) გვერდითი ეფექტი, რომელიც იწვევს მიტოქონდრიების დაზიანებას.

მიტოქონდრიების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს გულის, ნერვული სისტემის, კუნთების, პანკრეასის, თირკმელების და ღვიძლის დაზიანება. ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს ცვლილებები სისხლის ანალიზში. მიტოქონდრიალურ ტოქსიკურობის გავრცელებული მდგომარეობაა მიოპათია, პერიფერიული ნეიროპათია, ანემია და ნეიტროპენია. მიტოქონდრიების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰეპატიტური სტეატოზი და/ან ლაქტო-აციდოზი. ასევე შესაძლებელია გარკვეული წვლილი მიუძღვოდეს ლიპოდისტროფიის განვითარებაში.

## **MOLECULE**

**მოლაკულა** – უმცირესი ქიმიური ნაწილაკი, რომელიც შედგება 2 ან მეტი ერთი ან სხვადასხვა სახის ატომისაგან.

## **MOLLUSCUM CONTAGIOSUM**

**კონტაგიოზური მოლუსკი** – კანისა და ლორწოვანი გარსის დაავადება, რომელიც გამოწვეულია კონტაგიოზური მოლუსკის ვირუსით (*poxvirus*). დამახასიათებელია წყვილი თეთრი ან კანისფერი პაპულების წარმოქმნა სახეზე, კისერზე და გენიტალურ არეში. აივ ინფიცირებულ პირებში კონტაგიოზური მოლუსკი ხშირად პროგრესული დაავადებაა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას. როდესაც CD4+ უჯრედების რაოდენობა 200-ზე ნაკლებია ხდება მათი გამრავლება და გავრცელება.

## **MONOCYTE**

**მონოციტი** – სისხლის თეთრი დიდი ზომის უჯრედი, რომელიც შთანთქავს მიკრობებს ან უცხო სხეულაკებს ან სხვა უჯრედებს.

## **MONONEURITIS MULTIPLEX (MM)**

**მონონევრიტული შესაქლება** – ნეიროპათიის იშვიათი სახე, რომელიც ვითარდება აივ ინფიცირებულ პაციენტებში. შესაძლებელია 2 სახით განვითარდეს. 1 ტიპი შესაძლებელია გამოვლინდეს აივ ინფექციის ადრეულ სტადიაზე და აქვს შედარებით კეთილთვისებიანი გამოსავალი. მეორე ფორმა ვითარდება მოგვიანებით და არის ბევრად აგრესიული, რასაც მიყვავართ პროგრესულ პარალიზებამდე, ზოგჯერ ლეტალური გამოსავლით. ვარაუდობენ რომ ეს დაავადება დაკავშირებულია ციტომეგალოვირუსულ ინფექციასთან.

## **MONOVALENT VACCINE**

**მონოვალენტური ვაქცინა** – ვაქცინა, რომელიც სპეციფიკურია მხოლოდ ერთ გარკვეულ ანტიგენის მიმართ.

## **MRI - MAGNETIC RESONANCE IMAGING.**

**მრტ** – იხილეთ **მაგნიტური რეზონანსული ტომოგრაფია**.

## **MSM — MAN WHO HAVE SEX WITH MAN**

**მსმ** – იხილეთ **მამაკაცი, ვისაც სქესი აქვს მამაკაცთან**.



## **MUCOCUTANEOUS**

**კანის და ლორწოვანის** - ყველაფერი რაც დაკავშირებულია კანთან ან ლორწოვან გარსთან (მაგ პირის ღრუ, თვალი, ვაგინა, ტუჩები და სხვ).

## **MUCOSA**

**მუკოზური** - იხილეთ **ლორწოვანი გარსი**.

## **MUCOSAL IMMUNITY**

**მუკოზური (ლორწოვანის) იმუნიტატი** - ლორწოვანი გარსის ინფექციების მიმართ განვითარებული რეზისტენტობა.

## **MUCOUS MEMBRANE**

**ლორწოვანი გარსი** - ესოვილის ფენა, რომლითაც ამოფენილია სქმლის მომწელებელი, რესპირატორული და შარდ სასაქესო ტრაქტი, ასევე ორგანიზმის ყველა ღრუ, გარდა ყურებისა, რომელსაც სხეულის გარეთ აქვს გასავალი.

## **MULTI - DRUG RESCUE THERAPY**

**მულტი რეზისტენტული თერაპია** - იხილეთ **მეგა მაღალ-აქტიური ანტირეტროვირუსული თერაპია (MEGA HAART)**.

## **MULTIPLE DRUG-RESISTANT TUBERCULOSIS (MDR-TB)**

**მულტი რეზისტენტული ტუბერკულოზი** - ტუბერკულოზის მიკობაქტერია, რომელიც რეზისტენტულია 2 ან მეტ სტანდარტული ანტი ტუბ-ის პრეპარატების მიმართ. მულტი-რეზისტენტული ტუბერკულოზი ხშირად ვითარდება მკურნალობის შეწყვეტის, ან მუტაგენური შტამის განვითარების შედეგად.

## **MUTATION**

**მუტაცია** - გენში, ან გენეტიკური ინფორმაციის მტარებელში ინფორმაციის უცაბედი შეცვლა, რის შედეგადაც ვითარდება ახალი ნიშან-თვისება.

აივ-თან ასოცირებული მუტაცია - მუტაგენური აივ-ი შეიძლება გაჩნდეს აივ ინფიცირებულ პირში. ეს მუტაგენური შტამები შეიძლება ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული იყოს მათი უნარით დაინფიცირონ და გაანადგურონ სხვადასხვა ტიპის უჯრედები. ისინი ასევე განსხვავდებიან მათი რეპლიკაციის (გამრავლების) უნარით. აივ-ის მუტაციით არ ხდება სხვა ვირუსის წარმოქმნა.

## **MYALGIA**

**მიალგია** - კუნთების დიფუზური ტკივილი ან სისუსტე, რომელსაც ხშირად თან ერთვის დისკომფორტის შეგრძნება.

## **MYCOBACTERIUM**

**მიკობაქტერია** - მიკობაქტერიის სახის ნებისმიერი ბაქტერია, ან მასთან ახლოს მდგომი ბაქტერია.

## **MYCOBACTERIUM AVIUM COMPLEX (MAC)**

### **მიკობაქტერია ავიუმის კომპლექსი (მაკ) –**

1. გავრცელებული ოპორტუნისტული ინფექცია, გამონვეული 2 სახის მიკობაქტერიით მიკობაქტერია ავიუმის და უჯრედშიდა მიკობაქტერიით, რომელიც ბუნებაში აღმოჩენილია მიწაში და ასევე მტვრის ნაწილაკებში.
2. ბაქტერიული ინფექცია, რომელიც ლოკალიზდება გარკვეულ ორგანოში ან დისემინირდება მთელს ორგანიზმში. ეს არის სიცოცხლისათვის საშიში დაავადება, თუმცა ახალი პრეპარატებით შესაძლებელი იქნება ამ დაავადების პრევენცია და მკურნალობა. მიკობაქტერია ავიუმის კომპლექსით გამონვეული დაავადება ძალიან იშვიათია აივ უარყოფი პირებში. ის ძირითადად ჩნდება როდესაც CD4+ T უჯრედების რაოდენობა 1 მლ სისხლში 50-ს ქვემოთ ჩამოდის.

## **MYCOSIS**

**მიკოზური** – ნებისმიერი სახის სოკოვანი დაავადება.

## **MYELIN**

**მიელინი** – ნივთიერება, რომლითაც შემოსაზღვრულია ნერვული უჯრედები და რომლებიც მოქმედებენ როგორც ელექტრული იზოლატორები, რომლებიც ხელს უწყობენ ნერვული იმპულსების განვლადობას. იხილეთ **ქრონიკული იდიოპათური დემიელინაციური პოლინეიროპათია (Chronic Idiopathic Demyelinating Polyneuropathy)**.

## **MYELOPATHY**

**მიელოპათია** – თავ-ზურგ-ტვინის ნებისმიერი სახის დაავადება.

## **MYELOSUPPRESSION**

**მიელოსუპრესია** – ძვლის ტვინის აქტივობის დაქვეითება (სუპრესია), რომელიც იწვევს სისხლის წითელი უჯრედების წარმოქმნის შემცირებას (ანემიას), სისხლის თეთრი უჯრედების (ლეიკოპენია) ან თრომბოციტების (თრომბოციტოპენია) წარმოქმნის შეფერხებას.

## **MYELOTXIC**

**მიელოტოქსიკური** – ძვლის ტვინის დესტრუქცია.

## **MYOCARDIAL**

**მიოკარდიული** – დაკავშირებული გულის კუნთის მასასთან.

## **MYOPATHY**

**მიოპათია** – კუნთების პროგრესული სისუსტე. მიოპათია შეიძლება განვითარდეს როგორც აზიტრომიცინის (AZT) ტოქსიკური რეაქცია ან თვით აივ ინფექციის მიმდინარეობის გამო.

**NADIR**

**უმცირესი ზღვრული მაჩვენებელი** - ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიღების დაწყებიდან ვირუსის რაოდენობის უმცირესი ცვლილება.

**NAT – NUCLEIC ACID TEST.**

**ნატ** - იხილეთ **ნუკლეინის მჟავის ტესტი**.

**NATIONAL CANCER INSTITUTE (NCI)**

**აშშ კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი (კნი)** - აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების წარმოება და მისი მხარდაჭერა, ტრენინგების მოწყობა და ახალი ინფორმაციის გავრცელება კიბოს გამომწვევის, დიაგნოზტირების და მკურნალობის ახალი მეთოდების შესახებ. კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი ასევე მუშაობს აივ ასოცირებულ სიმსივნეებზე. იხილეთ ვებ გვერდი: [www.nci.nih.gov](http://www.nci.nih.gov).

**NATIONAL INSTITUTE OF ALLERGY AND INFECTIOUS DISEASES (NIAID)**

**აშშ ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ნაციონალური ინსტიტუტი (ააიდი)** - აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტს დაქვემდებარებული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს და ხელს უწყობს სხვა ინსტიტუტების მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებს ალერგიის, იმუნოლოგიური და ინფექციური დაავადებების გამომწვევების, ამ დაავადებების დიაგნოსტირების, მკურნალობის და პროფილაქტიკის უფრო ეფექტური გზების შესახებ. ააიდი ასევე პასუხისმგებელია ფედერალური შიდსის ფუნდამენტური კვლევის პროგრამების განხორციელებაში, როგორცაა შიდსის ეპიდემიოლოგია, მისი ბუნებრივი გავრცელების შესწავლა, აივ სადიაგნოსტიკო ტესტების, ახალი სამკურნალო პრეპარატების, ვაქცინების შემუშავება და მისი გამოცდა. ააიდი ასევე ახორციელებს კლინიკურ კვლევებს დამოუკიდებლად და სხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.niaid.nih.gov>.

**NATIONAL INSTITUTES OF HEALTH (NIH)**

**აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი** - აშშ ჯანმრთელობისა და მომსახურების სფეროს დეპარტამენტი - მულტი ინსტიტუციონალური სააგენტო, რომელიც ახორციელებს

კვლევებს თავისივე ლაბორატორიებში და ხელს უწყობს უნივერსიტეტებში, სამედიცინო ინსტიტუტებში, საავადმყოფოებში და სხვა კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე კვლევებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთელს მსოფლიოში. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.nih.gov>.

## **NATURAL HISTORY STUDY**

**კვლევა გუნებრივი განვითარების შესახებ** – კვლევა დროის გარკვეულ პერიოდში რაიმეს (მაგ, დაავადების, ორგანიზმის და ა.შ.) ბუნებრივი განვითარების შესახებ.

## **NATURAL KILLER CELLS (NK CELLS)**

**ნატურალური კილერი უჯრედები (NK უჯრედები)** – T ციტოტოქსიკური უჯრედების მსგავსი ლიმფოციტები, რომლებიც კლავს სიმსივნურ უჯრედებს და იცავს ორგანიზმს სხვადასხვა ინფექციური მიკრობებისგან. მათ ნატურალური კილერები ეწოდებათ იმიტომ, რომ უჯრედის განადგურებისათვის მათ არ სჭირდებათ დამატებითი სტიმულაცია ან სპეციფიკური ანტიგენის ამოცნობა. აივ ინფიცირებულებს, ისევე როგორც სხვა მიზეზით გამონეულ იმუნოდეფიციტის მქონე პირებს აღენიშნებათ ნატურალური კილერების ფუნქციების დაქვეითება. იხილეთ **ანტიგენი (antigen); B უჯრედები (B cells) ლიმფოციტები (lymphocytes); ნულოვანი უჯრედები (null cells).**

## **NCI – National CANCER INSTITUTE**

**NCI** – იხილეთ **კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი**.

## **NECROSES**

**ნეკროზი** – ქსოვილის, ორგანოს ან ორგანოს ნაწილის სიკვდილი.

## **NEF**

**ნეფ** – აივ-ის ერთ ერთი მარეგულირებელი გენი. აივ-ს გააჩნია 3 სახის მარეგულირებელი გენი: ტატ, რევ, და ნეფ, და 3 ე.წ. აუქსილიარული გენი: ვიფ, ვპრ, და ვპუ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმ ცილების სინთეზისათვის, რომელიც აუცილებელია აივ მაკონტროლებელი ცილების სინთეზისათვის, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავენ ვირუსით უჯრედის დაინფიცირების შესაძლებლობას, ვირუსის ახალი კოპიების წარმოქმნას და დაავადების განვითარებას.

## **NELFINAVIR (ABT-538)**

**ნელფინავირი** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი, შესაძლო გვერდითი ეფექტები: ფალარათი, გულისრევა, აბდომინალური დისკომფორტი, გაზების დაგროვება, სისხლში ლვიძლის მომატებული ფემენტების დონე.

## **NEONATAL**

**ნეონატალური** – დაბადებიდან 6 კვირის პერიოდი.

## NEOPLASM

**ნეოპლაზმა** - ქსოვილის, სიმსივნის არაკონტროლირებადი, პათოლოგიური ზრდა.

## NEPHROTOXIC

**ნეფროტოქსიკური** - ნივთირება, რომელიც ტოქსიკურად (მომწამვლელად) მოქმედებს თირკმელზე.

## NEURALGIA

**ნევრალგია** - მწვავე ტკივილი ნერვული დაბოლოებების გასწვრივ.

## NEUROLOGICAL COMPLICATIONS OF AIDS

**შიდსის ნევროლოგიური გართულებები** - იხილეთ **ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება** (central nervous system damage).

## NEUROPATHY

**ნეიროპათია** - დაზიანებები, რომლებიც მოიცავს ნერვულ სისტემას (ნერვული უჯრედებიდან ცენტრალური ნერვული სისტემის ჩათვლით). სიმპტომების დიაპაზონი მერყეობს უმცირესი მგრძნობელობის დაქვეითებით თითებიდან - სრულ პარეზამდე. სავარაუდოდ აივ ინფიცირებულების 35% აქვს ნეიროპათიის რომელიმე ფორმა. იხილეთ **პერიფერიული ნეიროპათია** (peripheral neuropathy).

## NEUTRALIZATION

**ნეიტრალიზაცია** - პროცესი, როდესაც ხდება ანტიგენისა და ანტისხეულების შეკავშირება.

## NEUTRALIZING ANTIBODY

**მანეიტრალიზირებადი ანტისხეულები** - ანტისხეულები, რომლებიც იცავს უჯრედს ინფიცირებისგან, რაც ძირითადად ხორციელდება უჯრედის რეცეპტორის ან ვირუსის ბლოკირებით.

## NEUTRALIZING DOMAIN

**მანეიტრალიზირებადი ნაწილი** - აივ გარსის ცილა gp120, რომელიც განსაზღვრავს ანტისხეულებს მანეიტრალბელ აქტივობას.

## NEUTROPENIA

**ნეიტროპენია** - სისხლში ნეიტროფილების (ყველაზე გავრცელებული სისხლის თეთრი ჯრედების) რაოდენობის პათოლოგიური შემცირება. სიმცირე შეიძლება ასოცირებული იყოს აივ ინფექციასთან ან წამლის მოქმედებასთან.

## NEUTROPHIL

**ნეიტროფილები** - სისხლის თეთრი უჯრედების (ლეიკოციტების) ერთ ერთი სახე, რომელიც შთანთქავს და კლავს ისეთ უცხო მიკროორგანიზმებს, როგორცაა ბაქტერია.

## NEVIRAPINE

**ნევირაპინი (ვირამუნი)** - არანუკლეოზიდური შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი, შესაძლო გვერდითი ეფექტები: გამონაყარი, გულისრევა, თავის ტკივილი, ღვიძლის ფერმენტების აქტივობის მატება, იშვიათად ნამლისმიერი ჰეპატიტი.

## NEW DRUG APPLICATION (NDA)

**ახალი პრეპარატის გამოცდა** - აპლიკაციის ფორმა, რომელიც კლინიკური კვლევის დამთავრების შემდეგ ნამლის მწარმოებელი კომპანიის მიერ წარედგინება აშშ წამლებისა და საკვები პროდუქტების ხარისხის სააგენტოს, ლიცენზიის და ამ პრეპარატის ბაზარზე გატანისათვის.

## NIAID - NATIONAL INSTITUTE OF ALLERGY AND INFECTIOUS DISEASES

**ააიდი** - იხილეთ **აშშ ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ნაციონალური ინსტიტუტი**.

## NIGHT SWEATS

**ღამის ოფლიანობა** - ძილის დროს ძლიერი ოფლიანობა. ეს მდგომარეობა შეიძლება ასოცირებული იყოს როგორც აივ ინფექციასთან, ისე სხვა სახის დაავადებასთან ან მდგომარეობასთან.

## NIH - NATIONAL INSTITUTES OF HEALTH.

**ჯნი** - იხილეთ **აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი**.

## NK CELL - NATURAL KILLER CELLS

**NK უჯრედები** - იხილეთ **გუნებრივი (ნატურალური) კილარი უჯრედები**.

## NNRTI - NON-NUCLEOSIDE REVERSE TRANSCRIPTASE INHIBITORS

**ანუტი** - იხილეთ **არანუკლეოზიდური შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი**.

## NON-HODGKIN'S LYMPHOMA (NHL)

**არაჰოჯკინის ლიმფომა** - B ლიმფომა, რომელიც ხასიათდება კვანძოვანი ან დიფუზური სიმსივნური წარმონაქმნებით, რომელიც ძირითადად აზიანებს ღვიძლს, თავის ტვინსა და ძვლის ტვინს.

## NON-NUCLEOSIDE REVERSE TRANSCRIPTASE INHIBITORS (NNRTI)

**არანუკლეოზიდური შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი (NNRTI - ანუტი)** - სტრუქტურულად განსხვავებული შენაერთების ჯგუფი, რომლებიც ბოჭავენ აივ-1-ის შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას კატალიზს. ისინი მკვეთრად სპეციფიკურიები არიან, ნუკლეოზიდის შებრუნებითი ტრანს-

კრიპტაზას ინფიბიტორებთან შედარებით. ისინი ვერ მოქმედებენ აივ-2-ზე. როგორც შეუცვლელი შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი, იგი ინიშნება სხვა სახის ანტირეტროვირუსულ პრეპარატებთან ერთად. მიუხედავად ამისა, პროტეაზას ინჰიბიტორებთან გამოყენებისას, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს წამლების ურთიერთქმედება და შესაბამისი დოზის განსაზღვრა.

## **NRTI – NUCLEOSIDE REVERSE TRANSCRIPTASE INHIBITOR.**

**NRTI (ნაშტი) – იხილეთ ნუკლეოზიდის ანალოგი შეპრუნავითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი.**

## **NSAID – NONSTEROIDAL ANTIINFLAMMATORY DRUGS**

**არასტეროიდული ანტიანთივალური პრეპარატები** – არასტეროიდული ანტიანთივადი პრეპარატების კლასი, რომელიც ამცირებს ანთებით პროცესის მიმდინარეობას და გამოიყენება ართრიტების სამკურნალოდ და აქვს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი სუსტი ან საშუალო ხარისხის ტკივილების დროს.

## **NUCLEIC ACID**

**ნუკლეინის მჟავა** – ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში აღმოჩენილი ნივთიერება, რომელშიც ინახება მემკვიდრული ინფორმაცია და ხდება ამ მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემა. ნუკლეინის მჟავის მოლეკულები წარმოადგენენ გრძელ ჯაჭვს, რომლებიც ძირითადად გვხვდება ცილებთან კომბინირებული სახით. ბუნებაში არსებობს 2 ტიპის ნუკლეინის მჟავა – დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ), რომელიც უჯრედის ბირთვშია განთავსებული და რიბონუკლეინის მჟავა (რნმ), რომელიც მდებარეობს ციტოპლაზმაში. იხილეთ **გენი (gene); გენური ინჟინერია (genetic engineering); მუტაცია (mutation).**

## **NUCLEIC ACID TEST**

**ნუკლეინის მჟავის ტესტი** – ტექნოლოგია, რომელიც სისხლში, პლაზმაში ან ქსოვილში უმცირესი გენური მასალის (დნმ ან რნმ) აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ნუკლეინის მჟავის ტესტის გამოყენებით შესაძლებელია სისხლში ან სისხლის პროდუქტებში ვირუსის ნებისმიერი რაოდენობის განსაზღვრა, რაც ძირითადად გამოიყენება გადასასნმელი სისხლის და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოებისათვის.

## **NUCLEOCAPSID**

**ნუკლეოკაფსიდი** – ვირუსული გენომი, რომელიც შემოსაზღვრულია ცილის გარსით იგივე კაფსიდით. გენომის და კაფსიდის ერთობლიობა წარმოქმნის ნუკლეოკაფსიდს.

## **NUCLEOLI**

**ბირთვაკი** – ბირთვის სხეულაკები, რომლებიც ზომაში იმატებს პროტეინის სინთეზის დროს და შეიცავს დნმ-ს რიბოსომული რნმ-ისათვის. იხილეთ **რიბონუკლეინის მჟავა, (ribonucleic acid); რიბოსომა (ribosome).**

## NUCLEOSIDE

**ნუკლეოზიდი** - გენეტიკური ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს ნუკლეინის მჟავის, დნმ-ს, რნმ-ს საშენ მასალას. ნუკლეოზიდი არის ნუკლეოტიდი, რომელიც არ შეიცავს ფოსფატებს.

## NUCLEOSIDE ANALOG

**ნუკლეოზიდის ანალოგი** - ნუკლეოზიდის ხელოვნური ანალოგი. ვირუსის გამრავლების დროს ნუკლეოზიდის ანალოგის ვირუსის დნმ-ში ან რნმ-ში ჩასმა ხელს უშლის ამ ვირუსის გამრავლებას. ნუკლეოზიდის ანალოგს შეუძლია ბუნებრივი ნუკლეოზიდის ადგილი დაიკავოს და ამით ბლოკირება გაუკეთოს ახალი უჯრედის ინფიცირებას.

## NUCLEOSIDE REVERSE TRANSCRIPTASE INHIBITOR (NRTI)

**ნუკლეოზიდის ანალოგი შებრუნებითი ტრანსკრიპტაზის ინჰიბიტორი (NRTI)** - ნუკლეოზიდის ანალოგი ანტირეტროვირუსული პრეპარატი, რომლის ქიმიური სტრუქტურა შედგება ბუნებრივი ნუკლეოზიდის მოდიფიცირებული ვერსიისგან. ამ პრეპარატებს შეუძლიათ დათრგუნონ რეტროვირუსების გამრავლება (რეპლიკაცია) შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ფერმენტის ბლოკირებით. ნუკლეოზიდის ანალოგი ინჰიბირებს პროვირუსის დნმ ჯაჭვის განყვეტას. ყველა NRTI საჭიროებს მასპინძელი უჯრედის ფოსფორიზაციას, იმისათვის რომ შეაღწიოს ვირუსის დნმ-ში და დაინყოს მოქმედება.

## NUCLEOTIDE

**ნუკლეოტიდი** - ნუკლეოზიდის მსგავსად, ნუკლეოტიდი გენეტიკური ნივთიერებაა, რომელიც წარმოადგენს ნუკლეინის მჟავის, დნმ-ის და რნმ-ს საშენ მასალას. ნუკლეოტიდები შედგება ფოსფატებისაგან, შაქრის 5 კუთხიანი მოლეკულისგან (რიბოზა-რნმ-ში და დეოქსირიბოზა - დნმ-ში) და აქვს აზოტის ფუძე. იყოფა 2 კლასად: პირიმიდინის და პურიინის. ნუკლეოტიდს ფოსფატის ჯგუფის გარეშე ქვია ნუკლეოზიდი.

## NUCLEOTIDE ANALOGS

**ნუკლეოტიდის ანალოგი** - მედიკამენტები, რომლებიც სტრუქტურულად გვანან ნუკლეოზიდებს. ეს არის ქიმიურად აქტიური ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის დაავადების გამომწვევი ცილების სინთეზს ან თრგუნავს მათ ფუნქციას. წამლის ქიმიური შემადგენლობა საშუალებას იძლევა ჩაანაცვლოს ვირუსის დნმ-ს ნუკლეინის მჟავის თანამიმდევრობაში მყოფი ბუნებრივი ნუკლეოტიდები. ნუკლეოტიდების ანალოგების გააქტიურებისას არ არის საჭირო მასპინძელი უჯრედის იმ რაოდენობით ფოსფორიზაცია, როგორც ნუკლეოზიდის შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორის დროს.



## NUCLEUS

**ბირთვი** - ცოცხალი უჯრედების ძირითადი მაკონტროლებელი ნაწილი, რომელსაც ძირითადად აქვს სფეროს ფორმა, რომელიც დაფარულია მემბრანით და შეიცავს გენეტიკურ კოდებს ორგანიზმის სიცოცხლისათვის აუცილებელი ფუნქციების შესრულებისათვის. ბირთვის მიერ კონტროლირდება უჯრედის გამრავლებისა და ზრდის პროცესი.

## NULL CELL

**ნულოვანი უჯრედები** - ლიმფოციტები, რომლებიც სი-ნ-თეზირდება ძვლის ტვინში და საჭიროებს B და T ლიმფოციტების ზედაპირული მარკერების თავისებურებებს. ნულოვანი უჯრედები ლიმფური უჯრედების პოპულაციის მცირე ნაწილს წარმოადგენს. ანტიგენის სტიმულაციის შედეგად ნულოვანი უჯრედებს შეუძლიათ გარკვეული სამიზნე უჯრედებზე შეტევის განხორციელება და მათ ნატურალური კილერები ეწოდებათ.



## OCULAR

**თვალის, ოკულარული** - დაკავშირებული თვალთან ან მხედველობასთან.

## OFFICE OF AIDS RESEARCH (OAR)

**შიდსის კვლავების ოფისი** - აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტს დაქვემდებარებული დანესებულება, რომელიც პასუხისმგებელია აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სამეცნიერო, ბიუჯეტური, კანონმდებლობის და პოლიტიკის განხორციელებაზე. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.nih.gov/od/oar>.

## OFF-LABEL USE

**გამოყენება არარეგისტრირებული ჩვენებების გამო** - მედიკამენტის გამოყენება იმ მდგომარეობის სამკურნალოდ, როდესაც აღნიშნული მედიკამენტი არ არის ლიცენზირებული საკვები პროდუქტების ხარისხის სანიტარული ზედამხედველობის სააგენტოს მიერ.

## OI - OPPORTUNISTIC INFECTIONS

**ოპორტუნისტული ინფექცია** - იხილეთ **ოპორტუნისტული ინფექციები**.

## ONCOLOGY

**ონკოლოგია** - მედიცინის განხრა, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა სახის სიმსივნეებს.

## OPEN-LABEL TRIAL

**ღია კლინიკური კვლევა** - კლინიკური კვლევის სახე, სადაც როგორც ექიმმა, ისე პაციენტმა იცის რომელ პრეპარატს ან ვაქცინას იღებს პაციენტი.

## OPPORTUNISTIC INFECTIONS

**ოპორტუნისტული ინფექციები** - დაავადებები, გამოწვეული სხვადასხვა სახის ორგანიზმებით, რომელიც როგორც წესი არ იწვევს დაავადებას ნორმალური იმუნური სტატუსის მქონე პირებში. პირები, რომლებიც აივ ინფიცირებულები არიან დროთა განმავლობაში ავადდებიან თავის ტვინის, ფილტვების, თვალების და სხვა ორგანოების სხვადასხვა ოპორტუნისტული ინფექციებით. შიდსის სტადიაში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი ოპორტუნისტული ინფექციები: *Pneumocystis carinii*-ით გამოწვეული პნევმოცისტური პნევმონია, კაპოშის სარკომა, კრიპტოსპო-

რიდიოზი, ჰისტოპლაზმოზი, სხვა პარაზიტული, ვირუსული და სოკოვანი ინფექციები, ზოგიერთი სახის სიმსივნეები.

## ORAL

### პირის ღრუ

#### ORAL HAIRY LEUKOPLAKIA (OHL)

**პირის ღრუს თმოვანი ლეიკოპლაკია** - თეთრი ფერის ძაფისებრი დაზიანებები რომელიც ვითარდება ენასა და ლოყის შიდა ზედაპირზე. პირის ღრუს თმოვანი ლეიკოპლაკია ძირითადად ვითარდება იმუნური სისტემის დაქვეითების დროს და ძირითადად გამოწვეულია ებშტეინ ბარის ვირუსით. პირის ღრუს თმოვანი ლეიკოპლაკიის პირველი შემთხვევები აღინერა აივ ეპიდემიის დანყების შემდეგ.

## ORGANELLE

**ორგანელა** - ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში აღმოჩენილი სხვადასხვა ნაწილაკები, როგორცაა მიტოქონდრია, გოლჯის კომპლექსი, ენდოპლასტიური რეტიკულოციტები, ლიზოსომები და ცენტრიოლები.

## OSTEONECROSIS

**ოსტეონეკროზი** - იგივე ვასკულარული (სისხლძარღვოვანი) ნეკროზი. ძვლის ქსოვილის გენერალიზებული კვდომა. ბოლო კვლევებმა უჩვენა, რომ თედოს ოსტეონეკროზი დამახასიათებელია აივ ინფიცირებული პაციენტებისათვის. აივ ინფიცირებულებში ოსტეონეკროზის გამომწვევი მიზეზი უცნობია, თუმცა კვლევაში მონაწილე პაციენტები რომლებსაც დაუდასტურდათ ოსტეონეკროზი იღებდნენ ტესტოსტერონს, ლიპიდებით მდიდარ პრეპარატებს და კორტიკოსტეროიდებს აივ ინფექციით გამოწვეული მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ.

## OSTEOPENIA

**ოსტეოპენია** - ძვლის ქსოვილის განლევა ან ძვლის სიმკვრივის შემცირება.

## OUTREACH

**საველე, გასვლითი ღონისძიებები** - აივ ინფექცია/მიდს-თან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც ძირითადად ტარდება მაღალი რისკის ქცევის მქონე პირებთან იმ ადგილებში, სადაც ისინი (მაღალი რისკის ქცევის მქონე პირები) იყრიან თავს. გასვლითი ღონისძიებები მოიცავს კონდომების, საინფორმაციო მასალების გავრცელებას. ასევე შესაძლებელია აივ ტესტირება. საველე აქციების ძირითად მიზანს მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენლებისათვის აივ-ზე ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს.

**P24**

**P24** - ბულიტის (ტყვიის) მსგავსი ბირთვი, რომელიც წარმოქმნილია სხვა სახის ცილისგან, და გარს ეკვრის აივ რნმ-ს. **p24** ანტიგენის ტესტის დადებითი შედეგი ხშირ შემთხვევაში მიუთითებს ორგანიზმში აივ აქტიურ რეპლიკაციაზე. **p24** პერიფერიულ სისხლში აღმოჩენა კორელაციაში მოდის პერიფერიულ სისხლში აივ რაოდენობასთან. **p24** დონის განსაზღვრა სისხლში გამოიყენება ვირუსული დატვირთვის მონიტორინგისათვის, თუმცა ის არ არის მიჩნეული როგორც ზუსტი საზომი მეთოდი, **p24** ანტისხეულების არსებობის გამო, რომლებიც უკავშირდებიან **p24** ანტიგენს და მათ არაგანსაზღვრადს ხდიან.

**PACKAGE INSERT**

**ნამლის ინსტრუქცია** - დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს მიერ და იდება ნამლის კოლოფში მწარმოებელი ფირმის მიერ. დოკუმენტში მითითებულია მისი გამოყენების ჩვენებები, უკუჩვენებები და შესაძლო გვერდითი ეფექტები.

**PALLIATIVE**

**პალიატიური** - მკურნალობა, რომელიც მოიცავს პაციენტის მდგომარეობის შემსუბუქებას და არა მის მკურნალობას.

**PALLIATIVE CARE**

**პალიატიური დახმარება, მოვლა**- პალიატიური დახმარება მოიცავს სიცოცხლისათვის საშიში ქრონიკული დაავადებების, განსაკუთრებით ბოლო სტადიაზე მყოფი პაციენტების მოვლას. პალიატიური დახმარება შედგება აქტიური და მზრუნველობითი თერაპიისაგან დაავადების ბოლო სტადიაზე მყოფი პაციენტის და მისი ოჯახის წევრების მხარდაჭერის და კომფორტის შექმნის მიზნით. პალიატიური დახმარება ითვალისწინებს მკურნალობას ტკივილების მოხსნის და მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, საუბარს პაციენტთან და მის ოჯახის წევრებთან. ასეთი მიდგომა (ორიენტირებული პაციენტსა და მის ოჯახის წევრებზე) მოითხოვს მულტიდისციპლინარული გუნდის არსებობას, რომელიც უწყვეტად განაგრძობს პაციენტის და მისი ოჯახის წევრების მოვლას, მზრუნველობას რელიგიური კუთხის ჩათვლით.

## PANCREAS

**პანკრეასი** - ჯირკვალი, რომელიც მდებარეობს მუცლის ღრუს მარცხენა ფერდქვემა არეში, და რომელიც ახდენს საჭმლის მომნელებელი ნვენის სეკრეციას და მის გადატანას ნანლავებში. პანკრეასის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ინსულინის გამოომუშაება.

## PANCREATITIS

**პანკრეატიტი** - პანკრეასის ანთება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მწვავე ტკივილები და სხვადასხვა ორგანიზმის გამოომფიტავი დაავადებები. ამ დროს პერიფერიულ სისხლში მომატებულია პანკრეასის ფერმენტის - ამილაზას დონე.

## PANCYTOPENIA

**პანციტოპენია** - სისხლში ყველა სახის უჯრედის დეფიციტი.

## PANDEMIC

**პანდემია** - დაავადება, რომელიც ვრცელდება მთელს ქვეყანაში, კონტინენტსა და მსოფლიოში. იხილეთ **ეპიდემია (epidemic)**.

## PAP SMEAR

**პაპ ნაჯი** - ქალის გენიტალური ტრაქტის, განსაკუთრებით საშვილოსნოს ყელის გამოკვლევის მეთოდი, რომლის დროსაც შესაძლებელია საშვილოსნოს ყელის კობოს და სხვა პათოლოგიური პროცესების ადრეული დიაგნოსტირება.

## PAPILLOMA

**პაპილომა** -

1. კეთილთვისებიანი სიმსივნე (როგორცაა კონდილომა, მეჭეჭი ან პოლიპი), გამონვეული სისხლძარღვოვან შემაერთებელ ქსოვილზე (მაგ., კანი) ეპითელიუმის უჯრედების უნესრიგო ზრდით.
2. ვირუსით გამონვეული ეპითელიუმის სიმსივნე. იხილეთ **კონდილომა, აპითელიუმი, JC ვირუსი**.

## PARALLEL TRACK

**პარალელური კურსი** - ექსპერიმენტული ნამლები ადმინისტრირება იმ პაციენტებზე, რომლებიც არ არიან ჩართულები კლინიკურ კვლევებში და ამ სახის მკურნალობა ერთადერთი გამოსავალია მათთვის. იხილეთ **კლინიკური კვლევა (clinical trial)**.

## PARASITE

**პარაზიტი** - ცოცხალი ორგანიზმი რომელიც ცხოვრობს, იკვებება სხვა ცოცხალი ორგანიზმით (მასპინძლით) და ინვესს მასპინძელი ორგანიზმის დაზიანებას.

## **PARENTERAL**

**პარენტარალური** - მიღების ფორმა, რომლის მიღება არ ხდება პერორალურად და შესაბამისად არ ხვდება საჭმლის მომწელებელ სისტემაში. მაგ. ტრანსფუზია (ვენაში ინექცია), კანქვეშა ან კუნთში ინექცია.

## **PARESTHESIA**

**პარესთეზია** - ისეთი პათოლოგიური შეგრძნებები, როგორცაა წვა, ჩხვლეტა ან დაბუყება. პარესთეზია ძირითადად ასოცირებულია პერიფერიული ნეიროპათიის პირველ სიმპტომებთან, ან შესაძლებელია გამონვეული იყოს ნამღებების გვერდითი ეფექტით, რომელიც არ უარესდება დროთა განმავლობაში. ცირკუმოტორალური პარესთეზია ძირითადად მოიცავს პირის ირგვლივ არეს.

## **PASSIVE IMMUNITY**

**პასიური იმუნიტატი** - იგივე შეძენილი იმუნიტეტი. ორგანიზმის მიერ გამომუშავებული რეზისტენტობა, რომელიც ვითარდება ინფექციურ აგენტთან ან ანტიგენტთან ექსპოზიციის შედეგად. იმუნიტეტი შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. პასიური იმუნიტეტი ყალიბდება ერთი ადამიანიდან მეორეზე ან ცხოველიდან ადამიანზე ანტისხეულების გადაცემით; ან ბიოლოგიურად - დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე ძუძუთი კვების დროს, ან ვაქცინაციით.

## **PASSIVE IMMUNOTHERAPY**

**პასიური იმუნოთერაპია** - პროცესი, რომლის დროსაც აივ ინფიცირებულ პაციენტებში (ვისაც აღენიშნებათ აივ ანტი-სხეულების დაბალი ტიტრი), ხდება აივ ანტი-სხეულებით გამდიდრებული პლაზმის, ან ასეთი პლაზმისგან (აივ ანტი-სხეულებით გაჯერებული პლაზმა) მიღებული იმუნოგლობულინების გადასხმა. პლაზმა მიიღება მაღალი აივ ანტი-სხეულების ტიტრის მქონე უსიმპტომო აივ ინფიცირებულ ბისაგან.

## **PATHOGEN**

**პათოგენი** - დაავადების გამომწვევი მიკრობი ან ნივთიერება.

## **PATHOGENESIS**

**პათოგენეზი** - დაავადების განვითარების ციკლი.

## **PBMC - PERIPHERAL BLOOD MONONUCLEAR CELL**

**პსმუ** - იხილეთ **პერიფერიული სისხლის მონონუკლური უჯრედები**.

## **PCP - PNEUMOCYSTIS CARINII PNEUMONIA.**

**PCP** - იხილეთ **პნევმოცისტური პნევმონია**.

## PCR – POLYMERASE CHAIN REACTION

**პჯრ** – იხილეთ **პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის** მეთოდი.

## PEDIATRIC AIDS CLINICAL TRIALS GROUP (PACTG)

**პედიატრიული შიდსის კლინიკური კვლევების ჯგუფი** – მსოფლიოში აღიარებული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბავშვებისა და მოზარდებისათვის აივ მკურნალობის შეფასებასა და ახალი მიდგომების შემუშავებაზე აივ ვერტიკალური გადაცემის (დედიდან შვილზე) პრევენციისათვის. მათ მიერ დამტკიცებულია აივ პედიატრიული მკურნალობის და აივ ვერტიკალური გადაცემის პროფილაქტიკური მკურნალობის სტანდარტები. იხილეთ ვებ გვერდი: <http://pactg.s-3.com>.

## PELVIC INFLAMMATORY DISEASE (PID)

**გინეკოლოგიური ანთებითი დაავადება** – ინფექციებით (ძირითადად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით) გამონვეული გინეკოლოგიური დაავადებები, მდგომარეობები, რომელიც საშვილოსნოდან ვრცელდება ქალის რეპროდუქციულ სისტემაში. გამოვლინება შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, შესაძლებელია გამოიწვიოს აბსცესები და ტკივილი თითქმის მთელს გენიტალურ ტრაქტში. არანამკურნალებ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიწვიოს უშვილობა ან გახანგრძლივებული ციკლი. გართულებულ შემთხვევებში შესაძლებელია ინფექცია გადავიდეს ღვიძლში და თირკმელებში, გამოიწვიოს შინაგანი სისხლდენა ლეტალური გამოსავლით.

## PEPTIDE

**პეპტიდი (პოლიპეპტიდი)** – ბიოქიმიური ბმა, რომელიც აუცილებელია ამინომჟავების ჯაჭვის წარმოსაქმნელად (ფორმირდება 50-მდე ამინომჟავის შეერთებით). ამინო-მჟავების ჯაჭვი ქმნის ცილას. ამინომჟავები ერთმანეთს უერთდება პოლიპეპტიდური ბმით, სადაც ერთი ამინომჟავის აზოტის ატომი უერთდება მეორე ამინომჟავის ნახშირჟანგის ატომს. მრავალ პეპტიდს, როგორცაა ვაზოპრესინი და ადენოკორტიკოტროპული ჰორმონი (ACTH) გააჩნია ფიზიოლოგიური ან ანტიბაქტერიული ფუნქცია.

## PERIANAL

**პერიანალური** – ანუსის გარშემო.

## PERINATAL

**პერინატალური** – შემთხვევა, მდგომარეობა, რომელიც ხდება დაბადების დროს ან მის ახლო პერიოდში.

## PERINATAL TRANSMISSION

**პერინატალური გადაცემა** – პათოგენის, მაგ აივ-ის გადაცემა დედიდან ნაყოფზე/ახალშობილზე დაბადებამდე, მშობიარობის პერიოდში ან დაბადების შემდეგ. აივ ინფიცირებული ბავშვების

90% დაინფიცირებულია აივ ინფიცირებული დედისგან პერი-ნატალურ პერიოდში.

### **PERIPHERAL NEURITIS**

**პერიფერიული ნევრიტი** - ნერვული დაბოლოებების, ან ტერმინალური ნერვების ანთება, რომელსაც ხშირად თან ახლავს ტკივილი, კუნთების სისუსტე და რეფლექსების დაქვეითება.

### **PERIPHERAL NEUROPATHY**

**პერიფერიული ნეიროპათია** - მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ზედა და ქვედა კიდურების მგრძობელობის დაქვეითებით, ტკივილით, კუნთების სისუსტით, კუნთის ატროფიით. შესაძლებელია დაინყოს თითებში წვის ან ჩხვლეტის შეგრძნებით. იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიწვიოს დამბლა. პერიფერიული ნეიროპათია შესაძლებელია განვითარდეს როგორც აივ ასოცირებული მდგომარეობა, ან შესაძლებელია იყოს გარკვეული პრეპარატების, განსაკუთრებით ნუკლეოზიდის ანალოგების გვერდითი ეფექტი.

### **PERSISTENT GENERALIZED LYMPHADENOPATHY (PGL)**

**პერსისტული გენერალიზებული ლიმფადენოპათია (პგლ)** - არასიმსივნური გენეზის ლიმფური კვანძების ქრონიკული, დიფუზური გადიდება. ძირითადად ნანახია პირებში, რომლებიც ინფიცირებულები არიან რომელიმე ბაქტერიით, ვირუსით ან სოკოთი. აივ ინფიცირებულებში პგლ არის მდგომარეობა, როდესაც ლიმფური კვანძები 3 და მეტი თვის განმავლობაში გადიდება სულ მცირე სხეულის 2 სხვადასხვა ნაწილში და არ არსებობს ამ ლიმფური კვანძების გადიდების სხვა მიზეზი (აივ ინფექციის გარდა).

### **PGL - PERSISTENT GENERALIZED LYMPHADENOPATHY**

**პგლ** - იხილეთ **პერსისტული გენერალიზებული ლიმფადენოპათია**.

### **PHAGOCYTE**

**ფაგოციტი** - უჯრედი, რომელსაც უცხო ნივთიერების (ბაქტერიის ჩათვლით) შთანთქმის და მონელების (დაშლის) უნარი გააჩნია.

### **PHAGOCYTOSIS**

**ფაგოციტოზი** - ფაგოციტის მიერ უცხო სხეულის (ვირუსი, ბაქტერია და ა.შ.) შთანთქმის, მონელების და დაშლის პროცესი. იხილეთ **მაკროფაგი (macrophage); მონოციტი (monocyte)**.

### **PHARMACOKINETICS**

**ფარმაკოკინეტიკა** - ცოცხალ ორგანიზმში წამლის ან ვაქცინის ადსორბციის, გავრცელების, მეტაბოლიზმის და გამოდევნის პროცესი.



## PHASE I TRIALS

**I ფაზის კვლევა** - ახალი საკვლევი პრეპარატის ადამიანზე გამოცდის პირველი ეტაპი. I ფაზის კვლევა მკაცრად კონტროლირებადია და შეიძლება ჩატარდეს პაციენტში ან ჯანმრთელ ადამიანზე. კვლევა ტარდება წამლის მეტაბოლიზმის და ფარმაკოლოგიური აქტივობის დადგენის მიზნით, სადაც ასევე განისაზღვრება ამ პრეპარატის დოზის მომატებასთან დაკავშირებული უსაფრთხოება, გვერდითი ეფექტები. კვლევის I ფაზა ასევე შეიძლება მოიცავდეს ადამიანებში წამლის სტრუქტურული აქტივობის, მოქმედების მექანიზმის განსაზღვრას ბიოლოგიური მექანიზმის გააქტიურების ან დაავადების პროცესის მიმდინარეობაზე. I ფაზის კვლევის დროს კვლევაში მონაწილე ადამიანების რაოდენობა მკაცრად შეზღუდულია (20-დან 80-მდე). კვლევის წარმატებულობა განსაზღვრავს მის II ფაზაში გადასვლას.

## PHASE II TRIALS

**II ფაზის კვლევა** - კონტროლირებადი კლინიკური კვლევა, რომელიც მოიცავს წამლის ეფექტურობის ხანმოკლე გვერდით ეფექტებსა და რისკის განსაზღვრას, რაც ასოცირებულია ამ პრეპარატის მიღებასთან გარკვეული მდგომარეობის ან დაავადების დროს. II ფაზის კვლევები მკაცრად კონტროლირებადია და მოიცავს რამოდენიმე ასეულ ადამიანს.

## PHASE III TRIALS

**III ფაზის კვლევა** - კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი კვლევების გაფართოება. კვლევის III ფაზა ტარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამტკიცდება წამლის ეფექტურობის წინასწარი შედეგები. კვლევის III ფაზაში უფრო ჩალრმავებულად ხდება წამლის ეფექტურობის და უსაფრთხოების შესწავლა, რაც აუცილებელია პრეპარატის რისკის და სარგებლიანობის დადგენისათვის და მისი სამედიცინო დანიშნულებით გამოყენების ძირეული ინფორმაციის წარდგენისათვის. კვლევის III ფაზაში პაციენტების რაოდენობა მერყეობს რამოდენიმე ასეულიდან რამოდენიმე ათასამდე.

## PHASE IV TRIALS

**IV ფაზის კვლევა** - წამლის ლიცენზირების შემდეგ ჩატარებული კვლევები. ზოგადად კვლევის IV ფაზაში კვლევა რანდომიზირებულია და შემუშავებულია გრძელვადიანი უსაფრთხოების და ეფექტურობის დასადგენად. კვლევის IV ფაზა მნიშვნელოვანია აივ სამკურნალო პრეპარატების შესაფასებლად, რადგან მრავალი აივ პრეპარატი დამტკიცებულია მცირე რაოდენობით ჩატარებული კლინიკური მონაცემების საფუძველზე.

## PHENOTYPIC ASSAY

**ფენოტიპური ანალიზი** - პროცედურა, სადაც აივ ინფიციური ტარებული პაციენტის აივ დნმ გამოკვლევა ტარდება ანტირეტრო-

ვირუსული პრეპარატების მიმართ მგრძობელობისა და რეზისტენტობის დასადგენად. იხილეთ **რეზისტანტობა (resistance)**.

## PHOTOSENSITIVITY

**ფოტოსენსიტიურობა, სინათლისადმი მგრძობელობა** – კანის გაძლიერებული საპასუხო რეაქცია მზის ან ულტრა-იისფერი სხივების მიმართ (მზის სხივების ზემოქმედებით განვითარებული სწრაფი დამწვრობა).

## PITUITARY GLAND

**პიტუიტარული ჯირკვლები (ჰიპოფიზი, ტვინის დანა-მატი)** – მცირე ზომის ოვალური ჯირკვლები, რომლებიც განთავსებულია თავის ტვინში. მას ასევე ეწოდება „მასტერ ჯირკვლები“, რადგან მისი საშუალებით კონტროლირდება სხვა ენდოკრინული ჯირკვლების სეკრეცია და სტიმულაცია.

## PLACEBO

**პლაცეპო** – არააქტიური ნივთიერება, რომელიც ჰგავს ნამდვილ ნამალს (ზომთ, ფორმით, გემოთი და სხვ), რომელიც გამოიყენება კვლევებში, იმისათვის რომ დადგინდეს ექსპერიმენტული ნამლის უსაფრთხოება და ეფექტურობა.

## PLACEBO CONTROLLED STUDY

**პლაცეპო კონტროლირებადი კვლევა** – ნამლების კვლევის დროს გამოყენებული არააქტიური ნივთიერება, პლაცეპო, რომელიც ეძლევა პაციენტების 1 ჯგუფს, პარალელურად გამოსაცდელი პრეპარატი მეორე ჯგუფს. ორივე ჯგუფიდან მიღებული შედეგების შედარებით ხდება გამოსაცდელი პრეპარატის ეფექტურობის დადგენა.

## PLACEBO EFFECT

**პლაცეპო ეფექტი** – ემოციური ან ფიზიკური ეფექტი, რომელიც ვითარდება პლაცეპოს მიცემით. ეფექტი შეიძლება იყოს დადებითი, პაციენტის მოლოდინიდან გამომდინარე, რაც დამოკიდებულია პაციენტის განწყობაზე, თუ როგორ იმოქმედებს ეს ნამალი მასზე.

## PLASMA

**პლაზმა** – სისხლის და ლიმფის თხევადი ნაწილი, რომელიც შეიცავს ელექტროლიტებს, ალბუმინს, შემადგენელ ფაქტორს, ჰორმონებს, გაზებს, ბიოლოგიურ ნარჩენებს და სხვ.

## PLASMA CELLS

**პლაზმური უჯრედები** – დიდი ზომის ანტისხეულების წარმომქმნელი უჯრედები, რომლებიც ფორმირდება B უჯრედებში. იხილეთ **ანტისხეულები (antibodies)**; **B ლიმფოციტები (B lymphocytes)**.

## PLATELETS

**თრომბოციტოზი** - უჯრედები, რომლებიც აქტიურდება, სისხლძარღვების რაიმე სახის დაზიანების დროს. თრომბოციტები სისხლის დაკარგვისგან დაცვის მიზნით ეკრობიან დაზიანებული სისხლძარღვების კედლებს და წარმოქმნიან კოაგულს. მნიშვნელოვანია თრომბოციტების ნორმის შენარჩუნება, ნორმალური კოაგულაციის შესანარჩუნებლად. ზოგიერთ აივ ინფიცირებულში ვითარდება თრომბოციტოპენია (1 მლ სისხლში 100,000 ნაკლები თრომბოციტი).

## PML - PROGRESSIVE MULTIFOCAL LEUKOENCEPHALOPATHY

**პმლ** - იხილეთ **პროგრესირებადი მრავალკეროვანი (მულტიფოკალური) ლიიკონცეფალოპათია**.

## PNEUMOCYSTIS CARINII PNEUMONIA (PCP)

**პნეიმოცისტური პნეიმონია** - ფილტვის ინფექცია, რომელიც გამოწვეულია *Pneumocystis jiroveci*-თ, იგივე *Pneumo-cystis carinii*, რომელიც ბოლო მოსაზრებებით პროტოზოას მიეკუთვნება. მაგრამ უფრო ახლოს დგას სოკოებთან. *P. ji-roveci* სწრაფად იზრდება მიდსით დაავადებულ ადამიანში და ხშირად ხდება სიკვდილის მიზეზი. *P. jiroveci* შესაძლებელია მოხვდეს მთელს ორგანიზმში (კანი, თვალები, ელენთა. ღვიძლი, გული, ფილტვი). ფილტვის ფორმის ტიპური გამოვლინებაა ხველა, ქოშინი, ცხელება.

## POL (pol )

**POL (პოლ)** - აივ-ის გენი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფერმენტების: პროტეაზას, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას და ინტეგრაზას კოდირება.

## POLYMERASE

**პოლიმერაზა** - ერთ-ერთი ფერმენტი, რომელიც პრეკურსორი ნივთიერებებიდან აჩქარებს დნმ-ს ან რნმ-ს ფორმირებას.

## POLYMERASE CHAIN REACTION (PCR)

**პოლიმერიზაციის ჯაჭური რეაქციის მეთოდი (პჯრ)** - ლაბორატორიული პროცესი, რომლის დროსაც ხდება დნმ-ს ჯაჭვიდან დნმ-ს ფრაგმენტის სელექცია (ამორჩევა) და მისი გამრავლება იმისათვის, რომ ადვილად მოხდეს მისი ანალიზი. აივ-თან კავშირში - მაღალმგრძობიარე ტექნოლოგიური მეთოდი, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს და დათვალოს აივ-ის რაოდენობა ადამიანის სისხლში ან ლიმფურ კვანძებში. იგივე მყისიერი პჯრ მეთოდი. ეს მეთოდი ლიცენზირებულია მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს მიერ, ვირუსული დატვირთვის განსაზღვრისათვის.

## POLYNEURITIS

**პოლინეპრიტი** - ერთდროულად მრავალი ნერვის ანთება.

## **POLYPEPTIDE**

**პოლიპეპტიდი** - იხილეთ **პეპტიდი**.

## **POLYVALENT VACCINE**

**პოლივალენტური ვაქცინა** - ვაქცინა, რომელიც გამოიყენება რამოდენიმე ვირუსის საწინააღმდეგოდ (სამკურნალოდ ან პროფილაქტიკის მიზნით).

## **POST - EXPOSURE PROPHYLAXIS (PEP)**

**ექსპოზიციის უმეფომი პროფილაქტიკა** - აივ ინფექციასთან კავშირში - პრევენციული სახის მკურნალობა ანტირეტროვირუსული პრეპარატებით, რომელიც იწყება ექსპოზიციის მომენტიდან (ნემსის ჩხვლეტა, დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, საერთო ნემსის გამოყენება) 2-72 საათის განმავლობაში.

## **PPD TEST - PURIFIED PROTEIN DERIVATIVE TEST**

**PPD ტესტი** - იხილეთ **ბანაენდილი პროტეინის დერივატი (ბანაენდილი ცილის პროდუქტი)**.

## **PRECLINICAL**

**პრეკლინიკური** - ტესტ-ტუბებში ან ცხოველებში ექსპერიმენტული ნამულების ტესტირება. პრეკლინიკური კვლევა გამოიყენება მანამდე, სანამ ექსპერიმენტული პრეპარატის გამოცდა მოხდება ადამიანებში.

## **PRECONCEPTION COUNSELING**

**პროფილაქტიკური კონსულტირება** - აშშ-ში მეანობისა და გინეკოლოგიის ამერიკული კოლეჯის მიერ რეკომენდირებული მიდგომა, რომლის დროსაც შვილოსნობის ასაკის ქალებში ტარდება პირველადი სამედიცინო გამოკვლევა. მისი მიზანია შვილოსნობის ასაკის ქალებში დადგინდეს პათოლოგიური ორსულობის ან მკვდრადშობადობის გამომწვევი რისკ ფაქტორები, ჩატარდეს თვითთულ პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონსულტაციები, და მოხდეს იმ სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა ან სტაბილიზირება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის სიმახინჯე ან სიკვდილი.

## **PRECURSOR CELLS**

**პრეკურსორი უჯრედები** - უჯრედები, რომლებიც ბუნებრივ პროცესში ახდენენ ახალი უჯრედების ფორმირებას.

## **PREVALENCE**

**პრევალენტობა, დაავადებუანობა** - მოცემულ დროში გარკვეული დაავადების მქონე ადამიანების რიცხვის შეფარდება მთლიან პოპულაციასთან.

## **PRIMARY HIV INFECTION**

**პირველადი აივ ინფექცია** - იხილეთ **მწვავე აივ ინფექცია**.

## PRIMARY ISOLATE

**პირითადი (პირველადი) იზოლატი** - აივ ინფიცირებული პირიდან აღებული აივ-ის შტამი.

## PROCTITIS

**პროქტიტი** - სწორი ნაწლავის ლორწოვანის ანთება.

## PRODROME

**პროდრომული პერიოდი** - სიმპტომები, რომელიც მიგვანიშნებენ დაავადების განვითარებაზე.

## PRODRUG

**პრო ნაშალი** - არააქტიური, ან ნაწილობრივად აქტიური პრეპარატი, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ იცვლის მეტაბოლიზმს და ხდება აქტიური.

## PROGRESSIVE MULTIFOCAL LEUKOENCEPHALOPATHY (PML)

**პროგრესირებადი მრავალკერძანი (მულტიფოკალური) ლეიკოენცეფალოპათია (პმლ)** - სწრაფად განვითარებადი ოპორტუნისტული ინფექცია, გამოწვეული **JC** ვირუსით, რომელიც აინფიცირებს თავის ტვინის ქსოვილებს და აზიანებს თავის ტვინს და სპინალურ ქორდას. სიმპტომები მრავალფეროვანია, უხშირესად ვითარდება დამბლა, სიბრმავე, მეტყველების პრობლემები და დაქვეითებული მენტალური სტატუსი. პმლ-მ შეიძლება გამოიწვიოს კომატოზური მდგომარეობა ლეტალური გამოსავლით.

## PROPHYLACTIC DRUG

**პროფილაქტიკური პრეპარატი** - წამლები, რომლებიც იცავენ სხვადასხვა დაავადების ან პირველადი ინფექციის განვითარებისაგან. იხილეთ **პროფილაქტიკა**.

## PROPHYLAXIS

**პროფილაქტიკა** - მეურნალობის სახე, რომელიც ხელს უშლის დაავადების განვითარებას (პირველადი პროფილაქტიკა) ან ქრონიკული დაავადების დროს სიმპტომების ხელახალ განვითარებას (მეორეული პროფილაქტიკა, შემანარჩუნებელი თერაპია).

## PROTEASE

**პროტეაზა** - ფერმენტი, რომელიც შლის ცილებს პეპტიდებამდე. აივ-ის პროტეაზა შლის ვირუსული ცილების გრძელ ჯაჭვს და წარმოქმნის ახალი ვირუსის ნაწილაკებს, რომლებიც იჭრებიან უჯრედის მემბრანაში. პროტეაზა არის აივ პირველი ცილა, რომლის მესამეული სტრუქტურა იქნა აღწერილი. იხილეთ **პროტეინი (protein)**.

## PROTEASE INHIBITORS

**პროტეაზას ინჰიბიტორი** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, რომელიც თრგუნავს აივ პროტეაზას მოქმედებას და ხელს უშლის

ვირუსის გამრავლებას. კერძოდ ეს პრეპარატები ბლოკავენ პროტეაზას ფერმენტის - ვირუსული ჯაჭვის განყვეტის და ახალი ცილების წარმოქმნის ფუნქციას.

## **PROTEASE-SPARING REGIMEN**

**პროტეაზადეპრესანტივირული მკურნალობის რეჟიმი** - ანტი-რეტროვირუსული თერაპია, რომელიც არ შეიცავს პროტეაზას ინჰიბიტორს.

## **PROTEINS**

**ცილები, პროტეინები** - ცოცხალ უჯრედში აღმოჩენილი რთული კომპლექსური შენაერთი. ცილები ორგანიზმის გათ-ბობის და ენერჯის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ცილები აუცილებელია ქსოვილის ფორმირების, და დაზიანებული ქსოვილების აღდგენისათვის.

## **PROTOCOL**

**პროტოკოლი, განაწესი** - კლინიკური კვლევის ჩატარების დეტალური აღწერა. განაწესი მოიცავს კვლევის რაციონალურობის, მიზნის, წამლის ან ვაქცინის დოზის, კვლევის პერიოდულობის, კვლევაში მონაწილე პაციენტების რაოდენობის, კვლევაში ჩართულობის და გამორიცხვის კრიტერიუმების დეტალურ აღწერას და სხვა სპეციფიკურ ინფორმაციას.

## **PROTOZOA**

**პროტოზოა** - ერთუჯრედიანი ორგანიზმი, ამებას ჩათვლით. ზოგიერთ პროტოზოას აივ ინფიცირებულ პირებში შეუძლია გამოიწვიოს პარაზიტული დაავადება, მაგ. ტოქსოპლაზმოზი და კრიპტოსპორიდიოზი.

## **PROVIRUS**

**პროვირუსი** - დნმ-ის ფორმით არსებული ვირუსული გენეტიკური მასალა, რომელიც ინტეგრირდება მასპინძელი უჯრედის გენომში. აივ-ის პროვირუსი ეწოდება აივ-ს, რომელიც ადამიანის უჯრედში არააქტიურ ფორმაში (მთვლემარე მდგომარეობაში) იმყოფება.

## **PSEUDO-CUSHING'S SYNDROME**

**ფსევდო კუშინგის სინდრომი** - იგივე ლიპოდისტროფია. სინდრომი, რომელიც ხასიათდება სხეულის ცხიმოვანი შრის არასწორი განლაგებით, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მალალექტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის გვერდითი ეფექტით, განსაკუთრებით როდესაც მკურნალობა შეიცავს პროტეაზას ინჰიბიტორებს.

## **PSEUDOVIRION**

**ფსევდოვირიონი** - ვირუსის მსგავსი ნაწილაკი.

## **PULMONARY**

**პულმონარული** - ფილტვის.

## **PURIFIED PROTEIN DERIVATIVE (PPD)**

**განმანდობილი პროტეინის დერივატი (PPD), (განმანდობილი ცილის პროდუქტი)** – მასალა, რომელიც გამოიყენება ტუბერკულოზის კანის ტესტად და ითვლება ყველაზე გავრცელებულ ტესტად ორგანიზმის *Mycobacterium tuberculosis*-ით ინფიცირების დასადგენად. PPD ზოგჯერ გამოიყენება, როგორც ტუბერკულოზის კანის ტესტის სინონიმი. PPD ტესტის დროს ტუბერკულოზის გამომწვევის *Mycobacterium tuberculosis* ცილის მცირე ნაწილი შეყავთ ადამიანის კანქვეშ. თუ პაციენტი ადრე იყო ამ ცილით ინფიცირებული, ინექციის ადგილზე განვითარდება წითელი ფერის შეშუპება, ჰიპერსენსიტიური (ჰიპერმგრძობიარე) რეაქცია, რომელსაც ინდურაციას უწოდებენ.

## **PWA**

**შიდსით დაავადებული ადამიანი** – ასევე გამოიყენება აბრევიატურა შიდსის დაავადებით მცხოვრები ადამიანები.



## Q

### **QUALITATIVE DATA**

**სარისკობრივი მარჯვენაპლანი** – არარიცხოვრივი მონაცემები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ქცევების შესახებ, ფოკუს ჯგუფებში ჩატარებული ინტერვიუების შესახებ, პირდაპირი დაკვირვების მონაცემებს, ეთნოგრაფიული კვლევების მონაცემებს.

### **QUANTITATIVE DATA**

**რაოდენობრივი მონაცემები** – რიცხოვრივი სიდიდე როგორცაა რიცხვი, ფარდობა და პროცენტი. ძირითადად გამოიყენება სტატისტიკური ანალიზისათვის.



**RADIOLOGY**

**რადიოლოგია** – მეცნიერება რომელიც მოიცავს რადიოაქტიური ნივთიერებებით (რენტგენი, რადიოაქტიური იზოტოპები, იონიზირებული რადიაცია, კომპიუტერული სკანირება) დიაგნოზის დასმის ან მკურნალობის მეთოდებს.

**RANDOMIZED TRIAL**

**რანდომიზირებული კვლევა** – კვლევა, სადაც კვლევაში მონაწილეების განაწილება ხდება შემთხვევითობის პრინციპით 2 ან მეტ ჯგუფში განსხვავებული სახის მკურნალობის მისაღებად. ხშირ შემთხვევაში ერთ ჯგუფში ადმინისტრირებულია პლაცებო. შემთხვევითობის პრინციპით ჯგუფებში განაწილებას მინიმუმამდე დაჰყავს ჯგუფებში მონაწილეთა სხვაობა და თითქმის თანაბრად ანაწილებს სხვადასხვა მახასიათებლების მქონე ადამიანებს სხვადასხვა ჯგუფში.

**REBOUND**

**აივ ვირუსული დატვირთვის გავითრი მატება (რიკოშეტი, რეაუსელი)** – აივ ანტირეტროვირუსული თერაპიის დროს ვირუსული დატვირთვის დაცემის შემდეგ ვირუსული მარცვლების მატება.

**RECEPTOR**

**რეცეპტორი** –

1. უჯრედის ზედაპირზე მდებარე მოლეკულები, რომლებიც მონაწილეობენ ანტიგენის, ანტისხეულის ან სხვა უჯრედული ან იმუნოლოგიური კომპონენტის შეკავშირებასა და/ან ამოცნობაში.
2. ცენტრისკენული ნერვული დაბოლოებები, რომლებიც იღებენ გალიზიანებას.

**RECOMBINANT**

**რეკომბინანტი** – ორგანიზმი, რომლის გენომი შეიცავს სხვა ორგანიზმის გენეტიკურ მასალას. გამოიყენება გენურ ინჟინერიაში ლაბორატორიული ექსპერიმენტების გენური ან სხვა სახის კულტურების წარმოებისათვის.

**RECOMBINANT DNA**

**რეკომბინანტური დნმ** – იხილეთ **ბიოტექნოლოგია, გენური ინჟინერია**.

## RECOMBINANT DNA TECHNOLOGY

**რეკომბინანტური დნმ ტექნოლოგია** - იხილეთ **გენეტიკა**-რი ინჟინერია.

## REFERRAL

**მიმართვა, გადამისამართება, რეფერალი** - პროცესი, რომლის დროსაც პაციენტს არსებულ მომსახურების დამატებით ესაჭიროება რაიმე სახის დახმარება (მაგ პრევენციული, მოვლის ან მზრუნველობის რაიმე სახის ჩარევა) და ამ მიზნით მას რეფერალს უკეთებენ სხვა სპეციალისტთან.

## REFRACTORY

**რეზისტენტული, ძნელად სამკურნალო** - დაავადება, რომელიც ძნელად ემორჩილება მკურნალობას.

## REGULATORY GENES

**მარეგულირებელი გენები** - აივ-ს გააჩნია 3 სახის მარეგულირებელი გენი ტატი, რევი, და ნევი, და 3 ე.ნ. აუქსილიარული გენი ვივი, ვპრ, და ვპუ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმ ცილების სინთეზის შესახებ, რომელიც აუცილებელია აივ მაკონტროლებელი ცილების სინთეზისათვის, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავენ ვირუსით უჯრედის დაინფიცირების შესაძლებლობას, ვირუსის ახალი კოპიების წარმოქმნას და დაავადების განვითარებას.

## REGULATORY T CELLS

**T მარეგულირებელი უჯრედები** - T უჯრედები, რომლებიც არეგულირებენ სხვა იმუნურ უჯრედების სპეციფიკური ფუნქციის შესრულებას. ყველაზე მთავარი მარეგულირებელი იმუნური უჯრედები (CD4+ T უჯრედები ან T ჰელპერები) წარმოადგენენ აივ სამიზნე უჯრედებს.

## REMISSIONS

**რემისია** -

1. ავადმყოფობისათვის დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლენის დროებითი შეჩერება;
2. დაავადების გავრცელების დროებითი შეჩერება.

## RENAL

**თირკმლის** - თირკმელთან დაკავშირებული.

## REPLICATION

**რეპლიკაცია, გამრავლება.**

## RESISTANCE

**რეზისტენტობა** - რაიმე პრეპარატის მიმართ დაავადების გამომწვევი პათოგენის მგრძობილობის შემცირება. რეზისტენტობა ხშირად ვითარდება გენური მუტაციის გამო. აივ ინფექციის დროს, აივ-მა შესაძლოა განიცადოს მუტაცია, რაც

გამონვეულია ვირუსული ფერმენტებისა და ცილების სტრუქტურის ცვლილებებით. შედეგად ვითარდება რეზისტენტობა გარკვეული ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიმართ. პათოგენის გენეტიკური მასალის მიხედვით რეზისტენტობის განსაზღვრას ეწოდება გენოტიპური რეზისტენტობა, ხოლო პათოგენის ლაბორატორიული კულტურის რეზისტენტობის განსაზღვრას რაიმე პრეპარატის მიმართ - ფენოტიპური რეზისტენტობა.

## RESISTANCE TESTING

**რეზისტენტობის ტესტი** - იხილეთ **გენოტიპირების ანა-ლიზი**, **ფენოტიპირების ანალიზი**.

## RETINA

**ბაღურა** - თვალის უკანა მხარეს მდებარე სინათლის მიმართ მგრძობიარე ქსოვილი, რომელიც მხედველობით იმპულსებს გადასცემს თავის ტვინს ოპტიკური ნერვების საშუალებით. იხილეთ **რეტინიტი (retinitis)**.

## RETINAL DETACHMENT

**ბაღურის ჩამოშლა** - მდგომარეობა, როდესაც ხდება თვალის შიდა კედლიდან ბაღურის ქსოვილის აშრევა. შიდასით დაავადებულ პაციენტებში ეს მდგომარეობა შესაძლებელია გამონვეული იყოს ციტომეგალოვირუსული ინფექციით. ბაღურის ჩამოშლამ შესაძლებელია გამოიწვიოს მხედველობის დაკარგვა. შესაძლებელი მკურნალობა - თვალში სილიკონის შეყვანა, რომელიც წნევით დაანვება ბაღურას და დააფიქსირებს მას.

## RETINITIS

**რეტინიტი** - თვალის ბაღურის ანთება. აივ ინფიცირებულებში რეტინიტი შესაძლებელია გამონვეული იყოს ციტომეგალოვირუსული ინფექციით. არანამკურნალებ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიწვიოს სიბრმავე.

## RETROVIRUS

**რეტროვირუსი** - ვირუსის ტიპი, რომელიც სხვა სახის ვირუსებისაგან განსხვავებით, თავისუფალ მდგომარეობაში (როდესაც არ არის შეჭრილი უჯრედში) ინახავს გენეტიკურ ინფორმაციას ერთ სპირალიან რნმ-ში. სხვა სახის ვირუსებში გენეტიკური ინფორმაცია ინახება 2 სპირალიან დნმ-ში. აივ-ი რეტროვირუსების ერთ-ერთი წარმომადგენელია. მას შემდეგ რაც რეტროვირუსი შეიჭრება უჯრედში, იგი სპეციალური ფერმენტის საშუალებით ახდენს დნმ-ს სინთეზს, რასაც შებრუნებითი ტრანსკრიპტაზა ეწოდება.

## REV (rev)

**REV** - აივ-ის 3 სახის მარეგულირებელი გენიდან ერთ-ერთი. 3 აივ მარეგულირებელი გენი ტატ, რევ, და ნეფ და 3 ე.წ. აუქსილიარული გენი ვიფ, ვპრ, და ვპუ მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას იმ ცილების სინთეზის შესახებ, რომლებიც

განსაზღვრავენ ვირუსით უჯრედის დაინფიცირების შესაძლებლობას, ვირუსის ახალი კოპიოების წარმოქმნას და დაავადების განვითარებას.

## REVERSE TRANSCRIPTASE

**შებრუნებითი ტრანსკრიპტაზა, უკუტრანსკრიპტაზა** - აივ-ის და სხვა რეტროვირუსების ფერმენტი, რომლის საშუალებითაც ხდება ვირუსის რნმ-დან საკუთრივ დნმ-ის სინთეზი. გარკვეული ანტირეტროვირუსული პრეპარატები - ნუკლეოზიდის შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორები სერთიფიცირებულია აშშ წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სააგენტო მიერ.

## RIBONUCLEIC ACID (RNA)

**რიბონუკლიინის მჟავა (რნმ)** - ნუკლეინის მჟავა, რომელიც ძირითადად უჯრედის ციტოპლაზმაში მდებარეობს. იგი ცილების სინთეზის ერთ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სხვადასხვა სახის უჯრედში რნმ-ის რაოდენობა სხვადასხვაა. რნმ სტრუქტურულად დნმ-ს მსგავსია, ჯაჭვი, რომელიც წარმოქმნილია ნუკლეო-ტიდებისაგან, მაგრამ დნმ-სგან განსხვავებით ერთ სპირალიანია. ზოგიერთი ვირუსი (რეტროვირუსები) მათ შორის აივ-ი, რნმ შემცველი ვირუსია, სადაც ვირუსის გენეტიკური ინფორმაცია ინახება რნმ-ში და მათი მასპინძელი უჯრედის გენომში დამკვიდრება ხდება შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას საშუალებით. იხილეთ **ციტოპლაზმა (cytoplasm); რეტროვირუსი (retrovirus).**

## RIBOSOME

**რიბოსომა** - ციტოპლაზმაში მდებარე ორგანელა, რომელიც შედგება რიბონუკლეინის მჟავისა და ცილისაგან. მისი ფუნქციაა ცილების სინთეზი. რიბოსომა უკავშირდება საინფორმაციო რნმ-ს და ამინომჟავები შესაბამისი თანამიმდევრობით გადააქვს პოლიპეპტიდის ჯაჭვზე.

## RISK BEHAVIOURE

**სარისკო ქცევა** - აივ-თან კავშირში, რაიმე სახის ქცევა, რომელიც აძლიერებს აივ-ით დაინფიცირების რისკს. მაგ. დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, ზიარი ნემსის და შპრიცის გამოყენება და სხვ.

## RISK FACTOR

**რისკ ფაქტორი** - აივ ინფექციასთან მიმართებაში - ფაქტორი, რომელიც ზრდის აივ-ით ინფიცირების რისკს. მაგ. შეუმონმბელები სისხლის გადასხმა, არასტერილური ინსტრუმენტების გამოყენება და სხვ.

## RISK GROUP

**რისკის ჯგუფი** - აივ ინფექციასთან კავშირში - მაღალი რისკის ქცევის მქონე პირთა ერთობლიობა. მაგ. ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები.

## **RITONAVIR (ABT-538)**

**რიტონავირი** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები: დისკომფორტი, სისუსტე, აბდომინალური სიმპტომები, ცხელება, ცირკომოტორული პარესთეზია, გულისრევა, ლებინება, დიარეა, მუცლის ტკივილი, თავის ტკივილი, კანის მგრძობელობის მომატება, სისხლში ლიპიდების დონის მომატება, წამლისმიერი ჰეპატიტი.

## **RNA – RIBONUCLEIC ACID.**

**რნმ** – იხილეთ **რიბონუკლეინის მჟავა**.

## **ROUTE OF ADMINISTRATION**

**აღმინისტრირების წყარო** – იხილეთ **აღმინისტრირება**.

## **RTI – REVERSE TRANSCRIPTASE INHIBITORS**

**შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას (უკუტრანსკრიპტაზას) ინჰიბიტორი** – იხილეთ **შებრუნებითი ტრანსკრიპტაზა**.

## **RT-PCR – REVERSE TRANSCRIPTASE POLYMERASE CHAIN REACTION**

**შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას პოლიმარიზაციის ჯაჭვური რეაქციის მეთოდი (მყისიერი პოლიმარიზაციის ჯაჭვური რეაქციის მეთოდი)** – მედიკამენტების და საკვები პროდუქტების ხარისხის სანიტარული ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დამტკიცებული მეთოდი ვირუსული დატვირთვის განსაზღვრისათვის. იხილეთ **პოლიმარიზაციის ჯაჭვური რეაქციის მეთოდი (polymerase chain reaction)**.

**SALMONELLA**

**სალმონელა** – გრამ უარყოფითი ბაქტერია, რომლითაც ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს თერმულად დაუმუშავებული კვერცხის და დაბინძურებული რძის პროდუქტების და სხვა სახის საკვების მიღებით. შესაძლებელია გამოინვიოს სერიოზული დაავადება, განსაკუთრებით აივ ინფიცირებულ პირებში.

**SALVAGE THERAPY**

**გალარჩინის რაჟიმი, თერაპია** – მკურნალობა, რომელიც ენიშნებათ აივ ინფიცირებულ პაციენტებს, რომელთა ანტირეტროვირუსული თერაპია 2-ჯერ უშედეგო იყო ან მკურნალობის ფონზე ვირუსული დატვირთვა დაბალ დონეზე შენარჩუნდა (არ გახდა არაგანსაზღვრადი).

**SAQUINAVIR (Ro 31-8959) Hard gel capsules**

**საჰკინავირი (მყარი ჟელატინის კაფსულაჰი)** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი, გვერდითი ეფექტები: გულისრევა, დიარეა, თავის ტკივილი.

**SAQUINAVIR (Ro 31-8959) Soft gel capsules**

**საჰკინავირი (რბილი ჟელატინის კაფსულაჰი)** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, პროტეაზას ინჰიბიტორი, გვერდითი ეფექტები: გულისრევა, დიარეა, თავის ტკივილი, დისკომფორტი აბდომინალურ ღრუში, უძილობა.

**SARCOMA**

**სარკომა** – კანისა და რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნე.

**SEBORRHEIC DERMATITIS**

**საპორული დერმატიტი** – უცნობი ეტიოლოგიის კანის ქრონიკული დაავადება, რომელიც ხასიათდება საშუალო სიმძიმის ერითემატოზური მშრალი, სველი, ცხიმოვანი აქერცვლით და ყვითელი პიგმენტებით სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, განსაკუთრებით სახის შუა ნაწილში, ყურების, თვალის ორბიტის ირგვლივ, გენიტალურ არეში და სკალპის მიდამოში.

**SECONDARY PROPHYLAXIS**

**მეორეული პროფილაქტიკა** – იხილეთ **შემანარჩუნებელი თერაპია**.

**SEPSIS**

**საფსისი** – სისხლში პათოლოგიური მიკროორგანიზმის ან ტოქსინების არსებობა.

## **SEROCONVERSION**

**სეროკონვერსია** - გარკვეული ანტიგენის მიმართ ანტისხეულების წარმოქმნა. როდესაც ადამიანი აივ ანტისხეულებს გამოიშუაავებს, ეს იმის მაჩვენებელია რომ მან განიცადა სეროკონვერსია და მისი აივ ტესტის შედეგი აივ უარყოფითიდან აივ დადებითზე გადავიდა. სეროკონვერსია შესაძლებელია რამოდენიმე კვირიდან რამოდენიმე თვემდე გაგრძელდეს. სეროკონვერსიის დროს სისხლში ჩნდება აივ სანინალმდეგო ანტისხეულები და ტესტის შედეგი იძლევა დადებით პასუხს. იხილეთ **ინკუბაციური პერიოდი** (incubation period); ე.წ. **ფანჯრის პერიოდი** (window period).

## **SEROLOGIC TEST**

**სეროლოგიური ტესტი** - ტესტი, რომელიც ადგენს სისხლში/ შრატში ვირუსის ანტიგენის სანინალმდეგოდ გამოიშუაავებული ანტისხეულების არსებობას.

## **SEROPREVALENCE**

**სეროპრევალენტობა** - აივ ინფექციასთან კავშირში - დროის მოცემულ მონაკვეთში ინდივიდების პროპორცია (პროცენტი), რომელთა სეროლოგიური ტესტი დადებითია აივ ინფექციაზე.

## **SEROSTATUS**

**სეროსტატუსი** - სპეციფიკური ანტისხეულებზე სისხლის ტესტირების შედეგი (დადებითი ან უარყოფითი).

## **SERUM**

**შრავი** - სისხლის გამჭვირვალე თხიერი ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება სისხლის შედედების შედეგად. შრავი არ შეიცავს სისხლის ფორმიან ელემენტებს, თრომბოციტებს ან ფიბრინოგენს.

## **SET POINT**

**საკონტროლო წერტილი, პლატო** - ვირუსული დატვირთვის განსაზღვრის დროს ვირუსების ან იმუნურ სისტემის განსაზღვრადი წერტილი. ვირუსული საკონტროლო წერტილი ისაზღვრება ინფიცირების რამოდენიმე კვირიდან რამოდენიმე თვემდე და მიჩნეულია სანყის წერტილად რის შედეგადაც გამოითვლება რა დრო არის საჭირო დაავადების განვითარებისათვის.

## **SEXUALLY TRANSMITTED DISEASE (STD)**

**სქესობრივი გზით გადავადები დაავადებები (სგვდ)** - იგივე ვენერიული დაავადებები. სგვდ არის ინფექციური დაავადება, რომლითაც ინფიცირება სქესობრივი კონტაქტის შედეგად ხდება. სგვდ-ში გარდა სიფილისი, გონორეისა და სხვა გავრცელებული დაავადებებისა, მოიაზრება აივ ინფექცია, ქლამიდიოზი, გენიტალური ჰერპესი, ადამიანის პაპილომა ვირუსით გამოწვეული ინფექცია, შანკროიდიოზი, B ჰეპატიტი, ტრიქომონიაზი და ექტოპარაზიტული დაავადებები (დაავადებები გამოწვეული პარაზიტებით, რომლებიც მასპინძელი ორგანიზმის გარეთ

ცხოვრობენ). ამჟამად 20-ზე მეტი მიკროორგანიზმი მიჩნეულია როგორც სქესობრივი გზით გადამდები.

### **SGOT – SERUM GLUTAMIC OXALOACETIC TRANSAMINASE**

**ჰრატის გლუტამინის ოქსალაოცეტატის ტრანსამინაზა** – იგივე ასპარტატ ამინოტრანსფერაზა (asat; AST) ღვიძლის ფერმენტი, რომელიც მონაწილეობს ცილების მეტაბოლიზმში. სისხლში ასპარტატ ამინოტრანსფერაზის დონის მომატება მიუთითებს ღვიძლის დაზიანებაზე.

### **SGPT – SERUM GLUTAMIC PYRUVATE TRANSAMINASE**

**ჰრატის გლუტამინის პირუვატის ტრანსამინაზა** – იგივე ალანინამინოტრანსფერაზა (alat, – ALT), ღვიძლის ფერმენტი, რომელიც მონაწილეობს ცილების მეტაბოლიზმში. სისხლში ალანინამინოტრანსფერაზის დონის მომატება მიანიშნებს ღვიძლის დაზიანებაზე.

### **SHINGLES**

**სარტყლინეაჰური ლიქენი** – იხილეთ **ჰერპესის ვარიცელა ზოსტარის ვირუსი**.

### **SHIV**

**SHIV** – გენეტიკური ინჟინერიით მიღებული ვირუსი, რომელსაც აქვს აივ-ის გარსი და მივ-ის (მაიმუნის იმუნოდეფიციტის ვირუსის) ბირთვი.

### **SIDE EFFECTS**

**გვერდითი ეფექტი** – წამლის/ვაქცინის მოქმედება, რომელიც შესაძლებელია განვითარდეს პრეპარატის მიღების შედეგად როგორც თანმხლები ეფექტი. ტერმინი ძირითადად გამოიყენება წამლის/ვაქცინის უარყოფითი ეფექტის განსაზღვრისათვის (აღწერისათვის). მაგ. თავის ტკივილი, ქავილი, ღვიძლის დაზიანება და სხვ. ექსპერიმენტული წამლები უნდა შეფასდეს მისი მომენტალური და გვიანი გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით.

### **SIMIAN IMMUNODEFICIENCY VIRUS (SIV)**

**მაიმუნის იმუნოდეფიციტის ვირუსი (მივ)** – აივ-ის მსგავსი ვირუსი, რომლითაც ინფიცირდებიან მაიმუნები – შიმპანზე, მწვანე მაიმუნები და სხვა სახის პრიმატები.

### **SINUSITIS**

**სინუსიტი** – სინუსების და ცხვირის ღრუს ანთება.

### **SIV – SIMIAN IMMUNODEFICIENCY VIRUS**

**მივ** – იხილეთ **მაიმუნის იმუნოდეფიციტის ვირუსი**.

### **SOCIODEMOGRAPHIC FACTORS**

**სოციალურ – დემოგრაფიული ფაქტორები** – ინფორმაცია პოპულაციის სქესის, ასაკის, რასის, განათლების, შემოსავლის და



გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კვლევებში, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები შეიძლება დაეხმაროს კვლევის ანალიზის პროცესს.

## **SOCIOECONOMIC STATUS (SES)**

**სოციო-ეკონომიკური სტატუსი** - პირის სოციალური სტატუსის განსაზღვრა შემოსავლის, განათლების, საცხოვრებლის ან უძრავი ქონების მიხედვით.

## **SPINAL TAP**

**სპინალური არხი** - იხილეთ **ლუმბარული პუნქცია**.

## **SPLEEN**

**ელენთა** - დიდი ზომის ლიმფური ორგანო, რომელიც მდებარეობს მარცხენა ფერდქვეშა არეში და აქვს რამოდენიმე ფუნქცია - სისხლში არსებული უცხო ნივთიერების დაჭერა, დეგრადირებული სისხლის ნითელი უჯრედების დაშლა, ახალი ლიმფოციტების და ანტისხეულების წარმოქმნა. ელენთა ასევე წარმოადგენს სისხლის დეპო ორგანოს.

## **SPLENOMEGALY**

**სპლენომეგალია** - ელენთის გადიდება.

## **SPUTUM ANALYSIS**

**ნახველის ანალიზი** - გარკვეული ინფექციების დიაგნოსტიკის ერთ-ერთი მეთოდი (განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის მიზნით), რომელიც ითვალისწინებს ნახველის შეგროვებას და შემდეგ მის ტესტირებას.

## **STANDARDS OF CARE**

**მოვლის სტანდარტი** - მკურნალობის რეჟიმი, რომელიც დაფუძნებულია პაციენტის მოვლის არსებულ სტანდარტებზე.

## **STAPHYLOCOCCUS**

**სტაფილოკოკი** - ბაქტერია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დაავადება.

## **STAVUDINE (d4T)**

**სტავუდინი** - ანტირეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები - გულისრევა, პერიფერიული ნეიროპათია. იშვიათ შემთხვევაში უჯრედული მიტოქონდრიალური გამა პოლიმერაზას დათრგუნვით გამოწვეული აციდოზი.

## **STD - SEXUALLY TRANSMITTED DISEASE**

**სბგლ** - იხილეთ **სქესობრივი გზით გადადები დაავადებები**.

## STEM CELLS

**ლეროვანი უჯრედები** - უჯრედები, საიდანაც ხდება ყველა სისხლის უჯრედის წარმოქმნა. ძვლის ტვინი გაჯერებულია ლეროვანი უჯრედებით.

## STEROID

**სტეროიდი** - ლიპიდების სტრუქტურის მსგავსი ნივთიერება. სტეროიდების მოლეკულის ძირითადი ჩონჩხი შედგება 4 ერთმანეთთან დაკავშირებული ნახშირის რგოლისაგან. სხვადასხვა სახის სტეროიდებს სხვადასხვა ფუნქცია გააჩნიათ. ყველა ბუნებრივი სქესობრივი ჰორმონი სტეროიდია. ანაბო-ლიკური სტეროიდები ზრდიან კუნთის მასას. ანთების სანინალმდეგო სტეროიდებს (ან კორტიკოსტეროიდებს) უნარი აქვთ შეამცირონ ტკივილი, შეშუპება და სხვა სახის ანთებითი პროცესის დროს გამოხატული სიმპტომები.

## STEVENS-JOHNSON SYNDROME

**სტივენს ჯონსის სინდრომი** - მულტიფორმული ერითემის იშვიათი და ზოგჯერ ფატალური ფორმა, რომელიც ხასიათდება კონიუქტივით (თვალის ანთება, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს სიბრმავე), ანგინით და გენიტალიების და ანუსის მიდამოში წყლულების/დანეკროზებული უბნების გაჩენით.

## STOMATITIS

**სტომატიტი** - პირის ღრუს ლორწოვანის ანთებითი პროცესი, რომელიც ხასიათდება პირის ღრუში სხვადასხვა სახის გამონაყარით. სტომატიტი შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა მიზეზით. მაგ. მექანიკური ტრამვით, ლორწოვანის გაღიზიანებით, ალერგიული რეაქციით, ვიტამინების დეფიციტით ან რაიმე სხვა სახის ინფექციით.

## STRAIN

**შტამი** - სახეობის სუბ-ჯგუფი, იგივე ტაქსონები.

## STRATEGIC FRAMEWORK FOR ACHIVING UNIVERSAL ACCESS

**უნივერსალური ხელმისაწვდომობის სტრატეგიული ჩარჩო** - გლობალური შეთანხმება აივ ინფექცია/შიდსის ინტერვენციების (პროგრამების) განსახორციელებლად. ეს არის მიშვნელოვანი შეთანხმება ხანგრძლივი ჯანმრთელობის და მილენიუმის განვითარების მიზნების მისაღწევად. შეთანხმება მიღებული იქნა 2005 წლის ივლისში, დიდი რვიანის სამიზე შოტლანდიაში. სამიტზე მიღებული შეთანხმება გულისხმობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით „ჯანმოსთან, გაეროს შიდსის პროგრამების განმახორციელებელ ცენტრთან, და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებულიყო და განხორციელებულიყო აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლის პროგრამების პაკეტი, რომელიც 2010 წლის ბოლოსათვის მაქსიმალურად მიუახლოვდებოდა უნივერსალურ ხელმისაწვდომობას“. უნივერსალური ხელმისაწ-

ვდომობის სტრატეგია ასევე მიღებული იქნა გაეროს წევრი ორგანიზაციების მიერ მოწყობილ 191-ე შეხვედრაზე და კიდევ ერთხელ დამტკიცდა 2006 წელს 31 მაისიდან - 2 ივნისამდე ნიუ იორკში ჩატარებულ გაერთიანებული ერების მსოფლიო სამიტზე.

## **STRATIFICATION**

**სტრატიფიკაცია** - შრეობრივი კონფიგურაცია.

## **STRUCTURED INTERMITTENT THERAPY (SIT)**

**დაგეგმილი (სტრუქტურული) პერიოდული თერაპია** - წამლის მიღების პერიოდულობა, რომელიც ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა იყოს შერჩეული, რომ შენარჩუნებული იქნას ვირუსული დატვირთვის სტაბილური მაჩვენებელი. გამოიყენება მკურნალობის საფასურის შემცირების მიზნით.

## **STRUCTURED TREATMENT INTERRUPTION (STI)**

**დაგეგმილი (სტრუქტურული) თერაპიის შეწყვეტა** - ეს არის ყველა ანტირეტროვირუსული პრეპარატების მიღების დაგეგმილი შეწყვეტა. არსებობს შეწყვეტის 4 მიზეზი:

1. პაციენტებისათვის არაეფექტური არც თერაპიისგან ტოქსიკურობის შემცირების მიზნით პაციენტისთვის ე.წ. „წამლების დასვენების“ მოწყობა მისი გადარჩენის რეჟიმზე გადაყვანის წინ ორგანიზმის პასუხის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.
2. აივ სპეციფიკური იმუნიტეტის განახლების მიზნით პაციენტის დასვენება და შემდეგ მისი „რე-იმუნიზაცია“ არც პრეპარატებით.
3. ანტირეტროვირუსული აგენტების მოქმედების შედეგად გამომწვეული ტოქსიკურობის შემცირების, პრეპარატების საფასურის და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
4. ანტირეტროვირუსული პრეპარატების შეწყვეტა ორსულობის პირველი ტრიმესტრის პერიოდში.

## **STUDY ENDPOINT**

**კვლევის გამოსავალი** - კვლევის პირველადი ან მეორეული შედეგები, რომლითაც განისაზღვრება მკურნალობის ეფექტურობა.

## **SUBARACHNOID SPACE**

**სუბარაქნოიდული ღრუ** - სივრცე, ღრუ, სადაც ხდება სპინალური სითხის მოძრაობა (ცირკულაცია).

## **SUBCLINICAL INFECTION**

**სუბკლინიკური (უსიმპტომო) ინფექცია** - ინფექცია ან ინფექციის ფაზა, რომელიც მიმდინარეობს დაავადების სიმპტომების ან ნიშნების გარეშე.

## **SUBCUTANEOUS (SQ)**

**კანქვეშა** — კანის საფარველის ქვეშ არსებული ან კანქვეშ შეყვანილი (მაგ, კანქვეშა ინექცია).

## **SUBFEBRILE**

**სუბფებრილური** - სხეულის ტემპერატურის მცირედი მატება ( $37.1^{\circ}\text{C}$  -  $38^{\circ}\text{C}$ ).

## **SUBUNIT HIV VACCINE**

**აივ ვაქცინის სუბერთეული** - გენეტიკური ინჟინერიის შედეგად შემუშავებული ვაქცინა, რომლის საფუძველს წარმოადგენს აივ მოლეკულის ნაწილი.

## **SULFA DRUG**

**სულფო პრეპარატები** - სულფანილამიდური ჯგუფის პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ. ეს პრეპარატები თრგუნავენ ფოსფორის ამინობენზომჟავის მოქმედებას, რაც აუცილებელია ბაქტერიის გამრავლებისათვის.

## **SULFONAMIDES**

**სულფანილამიდი** - ფოსფორის ამინობენზომჟავას სულფონამიდის სინთეზური პრეპარატები.

## **SUPPRESSOR T CELLS**

**T სუპრესორი უჯრედები** - T უჯრედების ჯგუფი, რომლებიც ანტისხეულების და სხვა სახის იმუნური პასუხის წარმოქმნას აფერხებენ.

## **SURROGATE MARKERS**

**სუროგატი მარკერები** — ცვლადი(ები), რომელსაც აკვირდებიან კლინიკურ კვლევებში, როდესაც ძირითად მაჩვენებელზე დაკვირვება ვერ ხერხდება. აივ კლინიკურ კვლევებში სუროგატი მარკერებია  $\text{CD4}^+$  T და პლაზმაში აივ რნმ რაოდენობის განსაზღვრა.

## **SURVEILLANCE**

**ზედამხედველობა** - იხილეთ **ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა**.

## **SUSCEPTIBLE**

**მიმღები** - დაავადების ან ინფექციის მიმართ განწყობილი ან მონყვლადი.

## **SYMPTOMS**

**სიმპტომები** - პაციენტის მიერ გადმოცემული ნებისმიერი სუბიექტური ცვლილება, რომელიც მიუთითებს დაავადების რომელიმე ფაზაზე.

## SYNCYTIA

**სინციტია (პიგანტი უჯრედები)** - უფუნქციო, მრავალ-უჯრედული გროვები, რომელიც ფორმირდება უჯრედების შენებებით. აივ-ით ინფიცირებული უჯრედები შესაძლებელია შეუერთდეს იქვე მდებარე არაინფიცირებულ უჯრედებს და წარმოქმნას ბუშტის მსგავსი გიგანტური უჯრედები რომლებსაც სინციტია ეწოდება. კვლევებში გიგანტურ უჯრედებს უნარი აქვთ გაანადგურონ არაინფიცირებული უჯრედები. აივ ინფიცირებულ პირებში ე.წ. სინციტია - ინდუცირებული აივ შტამები დაკავშირებულია დაავადების სწრაფ პოგრესირებასთან.

## SYNDROME

**სინდრომი** - პაციენტის მიერ გამოცემული სიმპტომების და გამოკვლევის შედეგად აღმოჩენილი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული მდგომარეობისათვის.

## SYNERGISM, SYNERGISTIC

**სინერგიზმი, სინერგიული** - ორი ან მეტი პრეპარატით მკურნალობა, რომელსაც აქვს უფრო მეტი ეფექტი ვიდრე თითოეული პრეპარატით მკურნალობის ეფექტების ჯამს.

## SYNTHESIS

### სინთეზი -

1. ქიმიურად მარტივი კომპონენტებისგან ან ელემენტებისგან უფრო რთული კომპონენტების შექმნა.
2. ქიმიური ელემენტებისგან გარკვეული ელემენტის, ჯგუფის ან მარტივი ნაერთის შემუშავება, ან კომპლექსური ნაერთის დაშლა მარტივ ნაერთებამდე, ელემენტებამდე.

## SYPHILIS

**სიფილისი** - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადება, რომელიც გამოწვეულია *spiroqeta Treponema pallidum*-ით. სიფილისი ასევე შესაძლებელია აღმოჩენილი იქნას საშვილოსნოში ორსულობის დროს.

## TARGET POPULATIONS

**სამიზნე პოპულაცია** - პოპულაცია, რომლის მიმართაც აქტიურად ხორციელდება აივ პრევენციული ღონისძიებები, სამიზნე პოპულაციაში აივ გავრცელება აღემატება სხვა პოპულაციაში აივ გავრცელების მაჩვენებლებს ან ამ პოპულაციაში აღინიშნება აივ-ით ინფიცირების მაღალი სარისკო ქცევები. ამ ჯგუფების იდენტიფიცირება ხშირად ხდება სარისკო ქცევის და სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების კომბინაციით.

## TAT

**ტატ** - აივ ერთ ერთი მარეგულირებელი გენი. ტატ გენი არის გენი, რომელიც ხელს უწყობს ვირუსის რეპლიკაციას. იხილეთ **ნაფ, რაპ**.

## TB - TUBERCULOSIS

**ტუბ-ი** - იხილეთ **ტუბერკულოზი**.

## T CELLS

**T უჯრედები (T ლიმფოციტები)** - T ლიმფოციტები არის სისხლის თეთრი უჯრედები, რომელიც წარმოიქმნება თიმუსში, და მონაწილეობს უჯრედ - განპირობებულ იმუნურ პასუხში. არსებობს 3 სახის T უჯრედები: ჰელპერები (დამხმარები), კილერები (მკვლელები) და სუპრესორები (დამთრგუნავები). ისინი წარმოადგენენ იმუნური სისტემის „მესაზღვრეებს“ რომლებიც პასუხისმგებლები არიან ინფიცირებული ან კანცეროგენული უჯრედის პოვნასა და განადგურებაზე.

## T4 CELL

**T4 უჯრედები** - იგივე T ჰელპერები. ანტისხეულების მასტიმულირებელი იმუნური უჯრედები, რომლებიც ეძებენ და ანადგურებენ უცხო მიკროორგანიზმებს. მაკროფაგები „იძახებენ“ T4 უჯრედებს ინფიცირების კერაში, სადაც T4 უჯრედები გამოიმუშავენ ცილებს. ეს ცილები თავის მხრივ იწვევენ B უჯრედების სტიმულაციას, აწვდიან სიგნალს ნატურალურ კილერებს ან ციტოტოქსიკურ (თვითმკვლელ) T უჯრედებს და „იძახებენ“ მათ ინფექციის ადგილზე. ჯანმრთელ იმუნურ სისტემაში T4 უჯრედები 2-ჯერ აღემატება T8 უჯრედებს. შიდათ დაავადებულ პირებში ეს თანაფარდობა იცვლება და T8 უჯრედების რაოდენობა აღემატება T4 უჯრედების რაოდენობას. როდესაც აივ შეიჭრება T4 უჯრედში, ვირუსის გენეტიკური

ინფორმაცია ვირუსის რნმ-დან გადადის მასპინძელი უჯრედის დნმ-ში. შედეგად – T4 უჯრედი ხდება აივ გამრავლების საწარმო. აივ ინფიცირებული T4 უჯრედი შეიძლება არ მოკვდეს, მაგრამ შეიძლება დაკარგოს თავის ფუნქცია. ინფიცირებულ T4 უჯრედი ამავე დროს იწყებს ე.წ. ხსნად სუპრესიის ფაქტორის სეკრეციას, რომელიც თავის მხრივ აფერხებს არაინფიცირებულ T უჯრედების ნორმალურ ფუნქციონირებას.

## **T8 CELL**

**T8 უჯრედი (T კილაჩი) –** იმუნური უჯრედები, რომლებიც უცხო ორგანიზმის განადგურების შემდეგ წყვეტენ იმუნურ პასუხს. როდესაც იმუნური პასუხი მიაღწევს თავის მიზანს, მოცირკულირე ლიმფოციტების მიმართ მგრძობიარე T8 უჯრედები იწყებენ საკუთარი ლიმფოციტების გამომუშავებას. ისინი კოორდინირებული შეტევისათვის ინფორმაციას აწვდიან იმუნური სისტემის სხვა კომპონენტებს. B ლიმფოციტების გარკვეული რაოდენობა რჩება ცირკულაციაში იმისათვის რომ თავიდან აიცილოს უცხო მიკროორგანიზმის განმეორებითი შეტევა.

რადგან აივ ინფიცირებულებში იმუნური პასუხი არ მუშაობს, T4 უჯრედები არ ფუნქციონირებენ და ლიმფოციტები სისხლის მიმოქცევაში განიცდიან პროლიფერაციას, T8 უჯრედებს ექმნებათ “პრობლემები” (ლიმფოციტების დიდი რაოდენობით არსებობის გამო), უცხო სხეულის/ნაწილაკის გაძევების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე. აივ-ის CD4 უჯრედში გამრავლებას თან სდევს T8 უჯრედების გააქტიურება. ეს მდგომარეობა კი ხელს უწყობს ინფექციური აგენტების (მაგ., ციტომეგალოვირუსის) გააქტიურებას და დაავადების განვითარებას.

## **TDF – TENOFOVIR DISOPROXIL FUMARATE**

იხილეთ **ტენოფოვირი**.

## **TEMPLATE**

**შაბლონი, შტამი –** მატრიცა, შაბლონი, რომელიც გამოიყენება როგორც გზამკვლევი. ბიოლოგიაში – მოლეკულა, (როგორიცაა დნმ), რომელიც სხვა თაობის მაკრომოლეკულის (მაგ., რნმ) წარმოქმნის ყალიბს წარმოადგენს. იხილეთ **რიზონუკლინის შპაპა**.

## **TENOFOVIR DISOPROXIL FUMARATE (TDF)**

**ტენოფოვირი –** ანტირეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, პირველი შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლო გვერდითი ეფექტები – გულისრევა, ლებინება, დიარეა. არ აღენიშნება ნეფროტოქსიკურობა.

## **TERATOGENICITY**

**ტერატოგენულობა –** უნარი გამოიწვიოს ნაყოფის ფიზიკური დეფექტი (დაბადებისას დეფექტის გამოწვევი). გარკვეულ

პრეპარატებს, როგორც გვერდითი ეფექტი ახასიათებს ტერატოგენურობა.

## TESTOSTERONE

**ტესტოსტერონი** - მამაკაცის ორგანიზმში გამომუშავებული ჰორმონი. მისი, როგორც პრეპარატის დანიშვნა ინვევს კუნთის მასის მომატებას, ზრდის სქესობრივ აქტივობას და შესაძლებელია გამოიწვიოს აგრესიული ქცევა. აივ ინფიცირებულ მამაკაცებში ხშირ შემთხვევაში დაქვეითებულია ტესტოსტერონის დონე.

## THERAPEUTIC HIV VACCINE

**თერაპიული აივ ვაქცინა** - იგივე სამკურნალო ვაქცინა - ვაქცინა, რომელიც შემუშავებულია აივ ინფექციის საპასუხოდ იმუნური პასუხის გასააქტიურებლად. თერაპიული ვაქცინა განსხვავდება პროფილაქტიკური ვაქცინისაგან, რადგან პროფილაქტიკური ვაქცინა შემუშავებულია იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ინფიცირება.

## THREE BY FIVE INITIATIVE – „3 BY 5“ INITIATIVE

**3 x 5 ინიციატივა** — „ვუმკურნალოთ 3 მილიონ აივ ინფიცირებულს 2005 წლის ბოლოსათვის“. ეს იყო ჯანმოს მიერ ინიცირებული გადაუდებელი პასუხი დახმარებოდა ქვეყნებს ანტირეტროვირუსული თერაპიის დასაწერგად.

## THROMBOCYTOPENIA

**თრომბოციტოპენია** - თრომბოციტების (უჯრედები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სისხლის შედედებაში) რაოდენობის შემცირება.

## THRUSH

**რძინა, კანდიდოზური სტომატიტი** - პირის ღრუში ნეკლოვანი სახის გამონაყარი, გამონეული სოკო *Candida albicans*-ით. კანდიდოზური სტომატიტი ხშირად გვხვდება როგორც იმუნური სუპრესიის პირველადი გამოვლინება. სოკო, როგორც წესი ბინადრობს პირის ღრუში, მაგრამ ინვევს დაავადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმის რეზისტენტობა დაქვეითებულია ანტიბიოტიკების მიღების ან აივ ინფექციის შედეგად. იხილეთ **კანდიდოზი (candidiasis)**

## THYMOSIN

**თიმოზინი** - თიმუსის პოლიპეპტიდური ჰორმონი, რომელიც გავლენას ახდენს T უჯრედების მომწიფებაზე. თიმოზინი ძირითად როლს თამაშობს უჯრედული იმუნიტეტის ფუნქციონირებაში.

## THYMUS

**თიმუსი** - ჯირკვლოვანი ქსოვილის გროვა (ლიმფოიდური ორგანო), რომელიც ადამიანებში მდებარეობს გულმკერდის ზედა ნაწილში მკერდის ძვლის უკან. თიმუსი აუცილებელია ორგანიზმის იმუნური სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი



ფუნქციონირებისათვის. თიმუსი წარმოქმნის სისხლის თეთრ უჯრედებს (ლიმფოციტებს), რომლებიც ორგანიზმში ანადგურებენ უცხო სხეულებს და ასტიმულირებენ სხვა სახის იმუნურ უჯრედებს ანტისხეულების წარმოსაქმნელად. თიმუსის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს იმ ლიმფოციტების ბლოკირება, რომლებიც ანადგურებენ ორგანიზმის მიერ გამომუშაებულ ცილებს, რითაც იცავენ ორგანიზმს აუტოიმუნური დაავადებისაგან. თიმუსი იზრდება დაბადებიდან სქესობრივი მომწიფების ასაკამდე და შემდეგ ნელ-ნელა იწყებს ზომაში კლებას. იხილეთ **თიმოზინი (thimosin)**

## TISSUE

**ქსოვილი** - მსგავსი უჯრედების ერთობლიობა, რომლებიც ერთდროული მოქმედებით ასრულებენ გარკვეულ ფუნქციას. არსებობს 4 ძირითადი სახის ქსოვილი: ეპითელიუმი, შემაერთებელი, კუნთოვანი და ნერვული.

## TITER (Also titre)

**ტიტრი** - ლაბორატორიული სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ნაერთის ან ხსნარის კონცენტრაციას ან რაოდენობას.

## T LYMPHOCYTE PROLIFERATION ASSAY

**T ლიმფოციტების პროლიფერაციული ტესტი** - ტესტი, რომლითაც განისაზღვრება აივ და/ან სხვა მიკროორგანიზმების მიმართ T მესხიერების უჯრედების, T ლიმფოციტების ქვეჯგუფის პასუხი.

## T LYMPHOCYTES

**T ლიმფოციტები** - იხილეთ **T უჯრედი**

## TOXICITY

**ტოქსიკრობა** - ორგანიზმზე მოწამვლის ან უარყოფითი მოქმედების გამონწვევის თვისება, ხარისხი.

## TOXOPLASMIC ENCEPHALITIS

**ტოქსოპლაზმური ენცეფალიტი** - იხილეთ **ტოქსოპლაზმოზი**.

## TOXOPLASMOSIS

**ტოქსოპლაზმოზი** - ტოქსოპლაზმოზი, ეს არის ინფექცია, რომელიც გამოწვეულია პროტოზოა *Toxoplasma gondii*-თ. ტოქსოპლაზმოზის ბუნებრივ რეზერვუარებს წარმოადგენენ კატები, ფრინველები და სხვა ცხოველები. აღმოჩენილია კატის ექსკრემენტებით დაბინძურებულ ნიადაგსა და ღორის ხორცში. პარაზიტს შეუძლია დააინფიციროს ფილტვის ქსოვილი, რეტინა (თვალის ბადურა), გული, პანკრეასი, ღვიძლი, მსხვილი ნაწლავი და სათესლე ჯირკვლები/საკვერცხე. როდესაც *T. gondii* შეიჭრება ორგანიზმში და იმყოფება მიძინებულ მდგომარეობაში. დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ვითარდება მაშინ, როდესაც ხდება იმუნური სისტემის დაქვეითება. როდესაც იმუნური სისტემის ფუნქცია მკვეთრად ქვეითდება, მაგ. შიდსით

დაავადებულ პირებში, *T. gondii* ინყებს გამრავლებას და შეიძლება გამოინვიოს მძიმე დაავადება. აივ ინფიცირებულ პირებში ის ძირითადად აზიანებს თავის ტვინს და ინვესს ანთებას და ტოქსოპლაზმურ ენცეფალიტს. მკურნალობიის შემდეგ აუცილებელია პროფილაქტიკური თერაპია მთელი ცხოვრების მანძილზე ტოქსოპლაზმის ხელმეორედ განვითარების პრევენციის მიზნით.

## TRANSAMINASE

**ტრანსამინაზა** – ლვიდლის ფერმენტი. ლაბორატორიული ტესტირების შედეგად ტრანსამინაზების დონის შეფასებით ხდება ლვიდლის დაზიანების ხარისხის დადგენა.

## TRANSMISSION CATEGORIES

**ინფიცირების გზა, ინფიცირების კატეგორია** — ინფიცირებული პირების კლასიფიკაცია გადაცემის გზების მიხედვით (იმის მიხედვით, თუ რა რისკ ქცევა/რისკ ფაქტორი ჰქონდა ამ ადამიანს აივ ინფიცირებისათვის).

## TRANSPLACENTAL

**ტრანსპლაცენტარული** – პლაცენტაში ან მის ირგვლივ. ხშირ შემთხვევაში იხმარება როგორც ორსულსა და ნაყოფს შორის საკვები, ნარჩენი და სხვა ნივთიერებების (მაგ., ნაშლევი) გაცვლის განმარტებით.

## TRANSCRIPTION

**ტრანსკრიპცია** – დნმ-ს მოლეკულის გამოყენებით გენეტიკური ინფორმაციის საინფორმაციო რნმ-ზე გადატანა და მისი (საინფორმაციო რნმ) აწყობა. აივ ინფექციასთან კავშირში – პროცესი, როდესაც პროვირუსიდან წარმოიქმნება ახალი ვირუსი. საინფორმაციო რნმ ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ მასპინძელ უჯრედში არსებულმა ცილის მწარმოებელმა „მანქანამ“ შეძლოს მისი ამოცნობა და წაკითხვა. უჯრედული ფერმენტები, რნმ პოლიმერაზა II ჩათვლით, ხელს უწყობს ტრანსკრიპციის პროცესს. ვირუსულ გენებს ნაწილობრივ შეუძლია გააკონტროლოს ეს პროცესი. მაგ, ტატ გენი დაშიფრავს ცილას, რომელიც აჩქარებს ტრანსკრიპციის პროცესს. იხილეთ **რიბონუკლეინის მჟავა (ribonucleic acid)**.

## TRANSFUSION

**გადასხმა** –

1. სითხის ვენაში გადასხმის პროცესი;
2. ერთი ინდივიდის თავსებადი მთლიანი სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმა მეორე ინდივიდისათვის.

## TRANSLATION

**ტრანსლაცია** – საინფორმაციო რნმ-ში ჩანერილი ცილის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის ცილის სინთეზირებად მოლეკულაში გადატანის პროცესი. აივ ინფექციასთან კავშირში: პროცესი, რის შედეგადაც აივ საინფორმაციო რნმ-ი უჯრედის

ბირთვიდან ტრანსპორტირება ციტოპლაზმაში. ციტოპლაზმაში საინფორმაციო რნმ გამოყენებით ხდება ვირუსის ცილების და ფერმენტების წარმოქმნა.

## TRANSMISSION

**გადაცემა, დაინფიცირება** - აივ ინფექციასთან კავშირში - აივ გადაცემის გზა. აივ ინფექცია გადაეცემა:

1. სქესობრივი კონტაქტით,
2. სისხლის გზით.
3. ვერტიკალური გზით.

აივ ინფიცირებულთან სქესობრივი კონტაქტის შედეგად ვირუსი შეიძლება შეიჭრას ორგანიზმში ვაგინის, ქალის გარეთა სასქესო ორგანოების, პენისის, სწორი ნაწლავის და იშვიათად პირის ღრუს ლორწოვანი გარსიდან. დაინფიცირების ალბათობა იზრდება ლორწოვანი გარსის დაზიანების ხარისხის გაზრდასთან ერთად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ პაციენტს აქვს ისეთი დაავადებები, რომელიც იწვევს წყლულების, ეროზიების და ანთებითი პროცესებს კანსა და ლორწოვანზე განვითარებას.

აივ ინფექცია ასევე გადაეცემა ინფიცირებულ სისხლთან კონტაქტით, განსაკუთრებით ზიარი შპრიცის, ნემსის გამოყენების დროს, რომელიც დაბინძურებულია ინფიცირებული სისხლის მცირე ერთეულით.

განვითარებულ ქვეყნებში აივ ინფექციის გადაცემა იშვიათია სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმით გადასასხმელი სისხლის აივ ინფექციაზე ტესტირების გამო.

ახალშობილი შეიძლება დაინფიცირდეს აივ-ით (ვერტიკალური გადაცემა) ინფიცირებული დედიდან ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების პერიოდში.

## TRIGLYCERIDE

**ტრიგლიცერიდი** - შენაერთი, რომელიც შედგება ცხიმოვანი მჟავებისაგან და გლიცეროლისგან. ტრიგლიცერიდებს შეიცავს უმრავლესი ცხოველური და მცენარეული ცხიმები და წარმოადგენს ძირითად წყალში არახსნად ნივთიერებას (ლიპიდებს), რომელიც ცირკულირებს სისხლში. სისხლში ისინი უერთდებიან პროტეინებს (ცილებს) და წარმოქმნიან მაღალ და დაბალ მოლეკულურ ლიპოპროტეინებს. ტრიგლიცერიდების დონის მომატება (განსაკუთრებით ქოლესტერინის დონის მომატება) კავშირშია ათეროსკლეროზის, გულის გარკვეული დაავადებების და შესაძლებელია სტენოკარდიული შეტევის განვითარებასთან.

აივ ინფექციასთან კავშირში, გარკვეული პრეპარატები იწვევს ტრიგლიცერიდების დონის მნიშვნელოვან მატებას სისხლში.

## T SUPPRESSOR CELLS

**T სუპრესორი უჯრედები** - T ლიმფოციტები პასუხისმგებლები არიან გამორთონ იმუნური პასუხი მას შემდეგ რაც ორგანიზმი

განთავისუფლდა ინფექციისგან. ისინი მიე-კუთვნებიან CD8+ ლიმფოციტებს.

### **TUBERCULIN SKIN TEST (TST)**

**ტუბერკულინის კანის ტესტი** - ტუბერკულინის განმედილი პროტეინის დერივატი, რომელიც უკეთდება კანში გაკანვრის, ჩხვლეტის ან ინტრადერმალური ინექციის სახით. თუ ინექციის ირგვლივ განვითარდა შეწითლება, შეშუპება ან შემაგრება, ითვლება რომ ეს პიროვნება სენსიტიურია (მგრძნობიარეა) ტუბერკულინის მიმართ და ტესტი ითვლება დადებითად.

### **TUBERCULOSIS (TB)**

**ტუბერკულოზი** - ბაქტერიული ინფექცია გამონვეული *Mycobacterium tuberculosis*-ით. ტუბერკულოზის მიკობაქტერია გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით, ტუბერკულოზის აქტიური ფორმით დაავადებული პაციენტის მიერ დახველების, დაცემინების და ლაპარაკის დროს გამოყოფილი წვეთებით. ნორმალური იმუნური სტატუსის მქონე ადამიანები იშვიათად ავადდებიან ტუბერკულოზით. ტუბერკულოზიანთან ექსპოზიციაში მყოფი ჯანმრთელი იმუნური სტატუსის მქონე პირში ტუბერკულოზის მიკობაქტერია რჩება ფილტვის ძალიან მცირე ნაწილში. თუ იმუნური სისტემა დაქვეითებულია აივ ინფექციის, საკვები პროდუქტების მიღების დეფიციტის ან სხვა რაიმე ფაქტორების გამო მიკობაქტერია იწყებს ფილტვის ქსოვილში და სხვა ქსოვილებში გამრავლებას. ტუბერკულოზი საკმაოდ ხშირად ვითარდება აივ ინფიცირებულ პირებში. აივ ინფიცირებულები ძირითადად ავადდებიან ტუბერკულოზის ფილტვის ფორმით, მაგრამ შესაძლებელია ასევე განვითარდეს ლიმფური კვანძების, თავის ტვინის, თირკმლის ან ძვლის ტუბერკულოზი (ექსტრა-პულმონარული ტუბერკულოზი). ექსტრაპულმონარული ტუბერკულოზი უფრო ხშირია აივ პოზიტიურებში ვიდრე აივ ნეგატიურებში.

### **TUMOR NECROSIS FACTOR (TNF)**

**სიმსივნური ნეკროზის ფაქტორი** - ციტოკინი, რომელიც წარმოქმნის მაკროფაგს და ხელს უწყობს T უჯრედების გააქტიურებას. მან ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს აივ-ის აქტივობის გაძლიერება. სიმსივნური ნეკროზული ფაქტორი მაღალია აივ ინფიცირებულ პირებში და ნაწილობრივ მონაწილეობას იღებს აივ ასოცირებულ განლევის სინდრომის, ნეიროპათიის და დემენციის განვითარებაში. სიმსივნური ნეკროზული ფაქტორი ააქტიურებს ბიოქიმიურ პროცესს რომელიც იწვევს უჯრედის თვით-მკვლელობას - აპოპტოზს. ის ასევე ააქტიურებს იმ ძირითად მოლეკულებს, რომლებიც ბლოკავენ აპოპტოზს და ამით ამყარებს სიკვდილ - სიცოცხლის ბალანსს უჯრედის შიგნით.

## UNAIDS – JOINT UNITED NATIONS PROGRAMME ON HIV/AIDS

**ბაეროს შიღის პროგრამა (UNAIDS)** – შედგება სათაო ოფისისაგან, რომელიც მდებარეობს ჟენევაში, შვეიცარია, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ოფისებისაგან და 10 თანასპონსორი ორგანიზაციისაგან. თანასპონსორები არიან: გაერთიანებული ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაერთიანებული ორგანიზაციის ლტოლვილების უმაღლესი კომისარიატის ოფისი (UNHCR), მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), გაეროს განვითარების ფონდი (UNDP), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისი (UNODC), საერთაშორისო დასაქმების ორგანიზაცია (ILO), გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), და მსოფლიო ბანკი.

## UNDP – THE UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME

**ბაეროს განვითარების პროგრამა** – ძირითადად პასუხისმგებელია აივ ინფექცია/შიდსთან ეფექტური პასუხის მიზნით პოლიტიკის და საკანონმდებლო აქტების შემუშავებაზე, რაც ითვალისწინებს: ყველა დონის ლიდერთან ქმედებაზე დაფუძნებული ადვოკაციას და პოლიტიკურ დიალოგს; ქვეყნებში აივ ინფექცია/შიდსზე მოქმედების გეგმის შემუშავების დახმარებას; ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას; ქვეყნებში აივ ინფექციით გამონეული ადამიანური რესურსების დანაკარგების შემსუბუქებას და სხვ.

## UNESCO – THE UNITED NATIONS EDUCATIONAL, SCIENTIFIC AND CULTURAL ORGANIZATION

**UNESCO** – გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია. ორგანიზაციის ძირითადად მუშაობს აივ პრევენციულ ღონისძიებებზე და მოიცავს: ადვოკატირებას ყველა დონეზე, აივ ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფებისათვის ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას კულტურალური თავისებურებების გათვალისწინებით, ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო მასალების შემუშავებას, პროგრამების მონიტორინგის და შეფასების სისტემის სამუშაო მეთოდის შემუშავებას.

## UNFPA – THE UNITED NATIONS POPULATION FUND

**ბაიროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)** – მხარს უჭერს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდებში აივ სექსობრივი გზით გადაცემის, ორსულებში აივ ინფექციის პრევენციაზე; ქაღისა და მამაკაცის კონდომებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე და სხვ.

## UNIVERSAL ACCESS TO HIV/AIDS TREATMENT AND CARE

**აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობის და მოვლის უნივერსალური ხელმისაწვდომობით მოცვა** – შედეგა 3 ძირითადი კომპონენტისაგან:

1. უნივერსალური ხელმისაწვდომობა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური, ეკონომიკური და სოციო-კულტურალურ ხელმისაწვდომობას. უნივერსალური ხელმისაწვდომობის მიღწევა გაეროს 2010 წლის მთავარ მიზანს წარმოადგენს.
2. მოცვა – პოპულაციის, ვიზეც განხორციელდა გარკვეული ინტერვენციები, შეფარდება მასთან ვინც საჭიროებდა ამ სახის ჩარევას.
3. გავლენა – ახალი აივ ინფიცირების შემთხვევების შემცირება ან არსებული აივ ინფიცირებულების სიცოცხლის გახანგრძლივება სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით.

## UNIVERSAL ACCESS TO HIV/AIDS PREVENTION, TREATMENT CARE AND SUPPORT

**აივ ინფექცია/შიდსზე ტანტირაჟის, მკურნალობის, მოვლის და მხარდაჭერის უნივერსალური ხელმისაწვდომობა** – გულისხმობს ყველა დაინტერესებული ადამიანის ფიზიკურ, ეკონომიკურ და სოციო-კულტურალურ ხელმისაწვდომობას როგორც აივ ინფექციაზე კონსულტირების და ტეტსიტების მიზნით, ასევე მოსახლეობის პრევენციული ღონისძიებებით, მკურნალობის, ზრუნვისა და მხარდაჭერის მოცვით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია/UNAIDS ვარაუდობს, რომ 9.8 მლნ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს დაბალი ან საშუალო ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნებში დასჭირდება მკურნალობა 2010 წლის ბოლოსათვის (გათვლაში მოიაზრებიან ის პირების, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან მკურნალობაზე). დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე:

<http://www.who.int/hiv/universalaccess2010/en/index.html>

## UN MILLENIUM DECLARATION

**განვითარების ათასწლეულის გეგმა** – მიღებული იქნა 147 სახელმწიფო წარმომადგენლის მიერ და დანერგილი იქნა 191 ქვეყანაში. დეკლარაცია მოუწოდებს სპეციალურად შემუშავებული ეკონომიკური და სოციალური ინდიკატორების მეშვეობით მოხდეს ქვეყნის პროგრესის განსაზღვრა სიღარიბის დასაძლევად, რომელიც ბოლომდე დაძლეული უნდა იყოს 2015 წლისათვის. შემუშავებული იქნა 45 ინდიკატორი, რომელიც

გაერთიანებული იქნა 8 ძირითად რგოლში. აივ ინფექციასთან მიმართებაში განვითარების ათასწლეულის მიზნებს აქვს 2 სახის გავლენა:

1. შიდა მიღებული იქნა ათასწლეულის სამიტის დეკლარაციაზე, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება რომ 2015 წლისათვის უნდა უკუაქციონ დაავადების გავრცელება.
2. ათასწლეულის განვითარების გეგმა ეხმაურება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურალური ფაქტორების გაუმჯობესებას, რაც გავლენას ახდენს აივ მონყვლად პოპულაციაზე.

8 ძირითადი ინდიკატორი შემდეგია:

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
2. საყოველთაო დანყებითი განთლება;
3. სქესთა თანასწორობა და ქალთა სრულყოფილებიანობის მიღწევა;
4. ბავშვთა სიკვდილობის შემცირება;
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
6. აივ-ინფექცია/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;
7. გარემოს დაცვა;
8. გლობალური პარტნიორობა განვითარებისათვის.

## **UNHCR – THE OFFICE OF THE UNITED NATIONS HIGH COMMISSIONER FOR REFUGEES**

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი** – რამოდენიმე წლის წინ გახდა UNAIDS-ის მე-10 კო-სპონსორი, რათა უზრუნველყოს და გააძლიეროს გაეროს პასუხი გლობალური ეპიდემიის წინააღმდეგ.

## **UNICEF – THE UNITED NATIONS CHILDREN'S FUND (UNICEF)**

**გაეროს ბავშვთა ფონდი** – დაარსდა როგორც აივ ინფექცია/შიდსის ერთ ერთი ძირითადი პრიორიტეტი, რომელიც ძირითადად მუშაობს 4 მიმართულებით: აივ პრევენცია ახალგაზრდებში, აივ დედიდან შვილზე გადაცემის პროფილაქტიკა, აივ ინფიცირებული მშობლებისგან დაობლებული ბავშვების მოვლა, მზრუნველობა და მხარდაჭერა და აივ ინფიცირებული ბავშვების, მოზარდების და მოვლა და მხარდაჭერა.

## **UNODC – THE UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME**

**UNODC** – გაეროს ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისი, ხელს უწყობს აივ პრევენციული პროგრამების დანერგვას ახალგაზრდებსა და მაღალი რისკის ჯგუფის პირებში და წამალდამოკიდებული პირებისათვის ჩანაცვლებითი ცენტრების გაფართოვებას.

**V3 LOOP**

**V3 მარჯუნი** - აივ-ის ზედაპირზე gp120 ცილის სექცია. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ანტისხეულების განეიტრალებაში.

**VACCINATION**

**ვაქცინაცია** - დაავადების სანინაალმდეგოდ მყარი იმუნიტიტის წარმოქმნის მიზნით ნივთიერების (მაგ., ვაქცინის) ორგანიზმში შეყვანა.

**VACCINE**

**ვაქცინა** - ნივთიერება, რომელიც შეიცავს ინფექციის გამომწვევი მიკროორგანიზმის ანტიგენურ კომპონენტს. იმუნური პასუხის სტიმულაციით ვაქცინა იცავს ორგანიზმს ამ დაავადების შემდგომი განვითარებისგან. არსებობს ვაქცინის 2 სახე - პრევენციული და თერაპიული (სამკურნალო).

**VAGINAL CANDIDIASIS**

**ვაგინალური კანდილოზი** - ვაგინალური ინფექცია, გამონვეული *Candida albicans*-ით. სიმპტომები მოიცავს ტკივილს, ქავილს, სინითლეს და თეთრი ფერის ლაქებს საშვილოსნოს ყელზე. განსაკუთრებით მაღალი მიმღებლობა ახასიათებთ აივ ინფიცირებულ ქალებს. მკურნალობა: სპეციალური კრემის საშვილოსნოს ზედაპირზე წასმა. აივ ინფიცირებულებში დაავადებამ შესაძლებელია ხშირი რეციდივის ხასიათი მიიღოს, რის გამოც აუცილებელია მათი სისტემატიური მკურნალობა. იხილეთ **კანდილოზი (candidiasis)**.

**VARIABLE REGION**

**ცვალებადი (ცვლადი) რეგიონი** - ანტისხეულების სტრუქტურის ცვალებადი ნაწილი, რომელიც სხვადასხვა სხვადასხვა ანტისხეულში.

**VARICELLA ZOSTER VIRUS (VZV)**

**ვარიცელა ზოსტერის ვირუსი** - ჰერპესის ოჯახის წარმომადგენელი ვირუსი, რომელიც იწვევს ჩუთყვავილას და ჩუთყვავილის გადატანის შემდეგ შესაძლებელია გამოიწვიოს ფუფხის გაჩენა იმუნოკომპრომენტირებულ პირებში.

**VCT – VOLUNTARY COUNSELING AND TESTING**

**ნკტ** - იხილეთ **ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება**.



## VECTOR

**ვექტორი** - არაპათოგენური ბაქტერია ან ვირუსი, რომელიც ანტიგენის ორგანიზმში შეტანით დამცველობითი იმუნიტეტის სტიმულაციას იწვევს (მაგ, ვაქცინა).

## VERTICAL TRANSMISSION

**ვერტიკალური გადაცემა** — აივ-ის დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე გადაცემა მუცლად ყოფნის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების პერიოდში.

## VIRAL BURDEN

**ვირუსული დატვირთვა** - მოციკულოირე სისხლში ვირუსების რაოდენობის განსაზღვრა. ვირუსული დატვირთვის მონიტორინგი აივ ინფიცირებულ პირში აუცილებელია სხვადასხვა ოპორტუნისტული ინფექციების განვითარების პრევენციის მიზნით. რაც უფრო მაღალია ვირუსული დატვირთვა, მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება.

ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი ეხმარება კლინიციუსს მიიღოს გადაწყვეტილება ანტირეტროვირუსული მკურნალობის დაწყების შესახებ. ასევე გამოიყენება კლინიკურ კვლევებში ნამლის ეფექტურობის შესაფასებლად.

## VIRAL CORE

**ვირუსის ბირთვი** - ვირუსის გენეტიკური მასალის შემცველი რნმ ან დნმ, რომელიც შემოსაზღვრულია ცილებით. აივ-თან კავშირში - ვირუსის გარსის შიგნით მოთავსებული ბულიტის ფორმის ბირთვი, რომელიც შედგება რნმ-სგან, რომელიც დაფარულია (შემოსაზღვრულია) p24 ცილით. რნმ სპირალი შედგება ვირუსის 9 გენისაგან. სამი მათგანი (გაგ, პოლ და ენვ) არის სტრუქტურული გენი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას რაც აუცილებელია სტრუქტურული ცილების სინთეზისათვის. იხილეთ **სუროგატი მარკერები** (Surrogate Markers).

## VIRAL CULTURE

**ვირუსული კულტურა** - ვირუსის გაზრდა ლაბორატორიულ პირობებში (ვირუსის კულტივაცია).

## VIRAL ENVELOPE

**ვირუსის გარსი** — აივ-თან კავშირში — აივ-ი არის სფეროს ფორმის ვირუსი, რომლის დიამეტრია 1/10,000მმ. გარსის გარეთა შრე შედგება 2 ლიპიდური შრისაგან, რომელიც მიღებული აქვს ადამიანის უჯრედებისაგან. გარსში ჩაშენებულია მრავალი უჯრედული პროტეინი (ცილა), მათ შორის სოკოს ფორმის აივ პროტეინები (ცილები), რომლებიც გამოშვებულია ვირუსის ზედაპირზე. თითოეული სოკოს ფორმის პროტეინი შედგება 4 ვირუსის გარსში ინტეგრირებული gp41 მოლეკულისაგან. ეს ცილები გამოიყენება ვირუსის უჯრედზე მიმაგრების და მისი ინფიცირებისათვის.

## **VIRAL LOAD TEST**

**ვირუსული დატვირთვის ტესტი** – აივ ინფექციასთან კავშირში – ტესტი, რომელიც განსაზღვრავს სისხლში აივ რნმ რაოდენობას. შედეგები განისაზღვრება 1 მლ სისხლის პლაზმაში არსებული ვირუსების რაოდენობით. მკვლევარები ვარაუდობენ რომ სისხლში ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი **CD4** დატვირთვისთან შედარებით უფრო ზუსტად ასახავს დაავადებების განვითარების პროგრესირებას. რაც უფრო დაბალია ვირუსული დატვირთვა, მით უფრო გვიან ვითარდება შიდსი. ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი ასევე გამოიყენება მკურნალობის დაწყებისათვის.

## **VIREMIA**

**ვირემია** – ვირუსის სისხლის მიმოქცევაში არსებობა. იხილეთ **საფსისი (Sepsis)**

## **VIRICIDE**

**ანტივირუსული პრეპარატი** – ნებისმიერი აგენტი, რომელიც დაშლის ან გაანეიტრალებს ვირუსს.

## **VIRION**

**ვირიონი** – ვირუსის ნაწილაკი, რომელიც თავისუფალ მდგომარეობაში მდებარეობს მასპინძელი უჯრედის გარეთ.

## **VIROLOGY**

**ვირუსოლოგია** – ვირუსებისა და ვირუსული დაავადებების შემსწავლელი მეცნიერება.

## **VIRUS**

**ვირუსი** – ორგანიზმი, რომელიც ძირითადად შედგება ნუკლეინის მჟავისაგან, რომელიც ცილებითაა დაფარული. როდესაც ვირუსი შედის ცოცხალი ორგანიზმის (ბაქტერია, მცენარე, ცხოველი, ადამიანი) უჯრედში, გამრავლებისათვის იყენებს მასპინძელი უჯრედის ენერჯიას, ცილებს და ნუკლეინის მჟავის მასინთეზირებელ შესაძლებლობებს. უხშირეს შემთხვევაში მასპინძელი უჯრედი კვდება მას შემდეგ, რაც ინფიცირებული მასპინძელი ორგანიზმი წარმოქმნის ვირუსულ კომპონენტებს და უჯრედის შიგნით გამონთავისუფლდება ვირუსული ნაწილაკები. ზოგიერთი ვირუსი არ კლავს მასპინძელ უჯრედს, მაგრამ გარდაქმნის მას კანცეროგენულ უჯრედებად. ზოგიერთ შემთხვევაში ვირუსი ინვეს დაავადების განვითარებას, შემდეგ გადადის ლატენტურ მდგომარეობაში, რომლის გააქტიურებამ შემდგომში შესაძლებელია გამოიწვიოს დაავადების უფრო მძიმე ფორმა. ადამიანებში ყველაზე ხშირი ვირუსული დაავადებებია წითელა, წითურა ჩუთყვავილა, პოლიომიელიტი, გრიპი და სხვ. ზოგიერთი ვირუსული დაავადების განკურნება შესაძლებელია.

## **VISCERAL**

**ვიცერალური** – შინაგან ორგანოებში არსებული (შინაგან ორგანოებთან დაკავშირებული).

## **VOLUNTARY COUNCELLING AND TESTING**

**ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება** – აივ ინფექცია/შიდსზე კონსულტირება და ტესტირება, რომელიც დაფუძნებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე.

**WASTING SYNDROME**

**განლევის სინდრომი** - იხილეთ **შიდსთან ასოცირებული განლევის სინდრომი**.

**WESTERN BLOT**

**იმუნობლოტიინგი** - ლაბორატორიული ტესტირების მეთოდი, რომელიც გამოიყენება აივ იმუნოფერმენტული ან სხვა პირველადი მეთოდებით მიღებული დადებითი შედეგის დასადასტურებლად. ძირითადად გამოიყენება როგორც დამადასტურებელი (კონფირმაციული) მეთოდი.

**WORLD FOOD PROGRAME (WFP)**

**მსოფლიო სასურსათო პროგრამა** - სურსათი და საკვები პროდუქტები აუცილებელი პირობაა აივ ინფექცია/შიდსთან ბრძოლისათვის. მსოფლიო სასურსათო პროგრამას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ოპერაციული კვლევებში, რომელიც უზრუნველყოფს ღარიბი ადამიანების სასურსათო დახმარებას განვითარებად ქვეყნებში.

**WHITE BLOOD CELLS**

**სისხლის თეთრი უჯრედები** - იხილეთ **ლეიკოციტები**.

**WHO – WORLD HEALTH ORGANIZATION**

**ჯანმო** - იხილეთ **ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია**.

**WILD – TYPE VIRUS**

**ვალური ვირუსი** — აივ-ის პირველადი ტიპი, რომელსაც არ აქვს განვითარებული რეზისტენტობა რაიმე პრეპარატის მიმართ. ასევე:

1. ვირუსის ტიპი მასპინძელ ორგანიზმში გენეტიკური მუტაციის დაწყებამდე.
2. ვირუსი, რომელიც გამოყოფილია მასპინძელი ორგანიზმიდან და რომელიც განსხვავდება ლაბორატორიული კულტურიდან.

**WINDOW PERIOD**

**ფანჯრის პერიოდი** - ორგანიზმში ვირუსის შეჭრიდან ანტი-სხეულების წარმოქმნამდე პერიოდი.

## **WORLD BANK (WB)**

**მსოფლიო ბანკი** - მსოფლიო ბანკი ეხმარება ქვეყნებს აივ ინფექცია/შიდსით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღ- მოფხვრისათვის და აფინანსებს სხვადასხვა სახის პროგრამებს, რაც დაკავშირებულია აივ ინფექციასთან, მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე და სხვ.

## **WORLD HEALTH ORGANIZATION (WHO)**

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო)** — გაერ- თიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობა, რომელიც კოორდინაციას უწევს ჯანმრთელობის სფეროს. იგი წარმოადგენს წამყვან ორგანიზაციას გლობალური ჯანმრთელობის საკითხების, კვლევის, სტანდარტების და ნორმების შემუშავების, მტკი- ცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის, ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების და ჯანმრთელობის მონიტორინგის და შეფასების მიმდინარეობაში. გაეროს შიდსის პროგრამების - 10 კო-სპონსორიდან, ჯანმოს უდიდესი როლი მიუძღვის ანტი- რეტროვირუსული მკურნალობის და მონიტორინგის, პროფი- ლაქტიკური თერაპიის და ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობის, აივ სამედიცინო დაწესებულებებში პრევენციის, სისხლის უსაფრთხოების, ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების, სგვი დიაგნოსტირების და მკურნალობის, აივ მკურნალობისა და პრევენციული ცენტრების ურთიერთკავშირის გაძლიერების და სხვადასხვა სახის აივ-თან დაკავშირებული კვლევების ჩატარებაში. გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად ჯანმო წარმოადგენს ერთ ერთ ლიდერ ორგანიზაციას აივ დედიდან შვილზე გადაცემის პრევენციის დარგში.



**YEAST INFECTION**

**საფუარა ინფექცია – იხილეთ კანდიდოზი.**

**ZALCITABINE (ddC)**

**ზალციტაბინი** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლებელი გვერდითი ეფექტები – პერიფერიული ნეიროპათია, პანკრეატიტი.

**Zidovudine (ZDV/AZT)**

**ზიდოვუდინი** – ანტირეტროვირუსული პრეპარატი, ნუკლეოზიდის ანალოგი, შებრუნებითი ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი. შესაძლებელი გვერდითი ეფექტები – გულისრევა, დისკომფორტის შეგრძნება მუცლის არეში, თავის ტკივილი, უძილობა. უფრო იშვიათად შესაძლებელია გამოვლინდეს ძვლის ტვინის ფუნქციის სუპრესია, კუნთის ქსოვილის განლევა და/ან ნეიტროპენია.

**ZINC FINGERS**

**„თუთიის თითაჰი“** – ამინომჟავების ჯაჭვი, რომელიც არსებობს დნმ ან რნმ შემცველ უჯრედებში. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უჯრედის სასიცოცხლო ციკლში. მათ ენობათ „თუთიის თითები“ იმის გამო, რომ ისინი იჭერენ თუთიის იონებს, რომლებიც ხელს უწყობენ რნმ ან დნმ მატრიცის ჩამოყალიბებას. აივ ნუკლეოკაფსიდში შეიცავს 2 „თუთიის თითს“, რომლებიც ჩაბმულები არიან ინფიცირებულ მასპინძელ უჯრედში ვირუსული რნმ-ს შეკავშირებასა და მისი ახალ ვირიონში გადატანაში. ნუკლეოკაფსიდის ცილებთან ერთად ისინი ასევე მონაწილეობენ შებრუნებითი ტრანსკრიპტაზის პროცესში.

**ZINC FINGER INHIBITORS**

**„თუთიის თითაჰის“ ინჰიბიტორი** – ექსპერიმენტული აივ სანინალმდეგო პრეპარატი, რომელიც ხელს უშლის აივ გავ პროტეინს (რომელიც შეიცავს „თუთიის თითების“ ამინომჟავის სტრუქტურას) ვირუსის გენეტიკური ინფორმაციის ახალ ვირიონში გადატანას.